პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთველის პრო-
სპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—43

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 191 ოთხშაბათი 22 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 191

დ ღ ი უ რ ი

— ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ფინეთის მთავრობას რუსეთის მოქალაქეთა უმიზეზოთ დატუსაღების გამო.

— მოსკოვში ჩავიდა გერმანიის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ვირტი.

— ჩინეთის მთავრობის წრეებში საჭიროთ თვლიან ს. ს. რ. კ. მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებას.

— გერმანიაში მუშებს შორის მღელვარება გრძელდება. იწყება გაფიცვების ახალი ტალღა. მუშები მოითხოვენ შტრეზემანის გადადგომას და მუშურ გლეხური მთავრობის მოწყობას.

დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს

აღმასკომის პრეზიდიუმი

ატყობინებს განათლების განყოფილების სექციაში ჩაწერილ საბჭოს ყველა წევრებს, გამოცხადდნენ აღმასკომის დარბაზში 23 აგვისტოს საღამოს 6 საათზე დანიშნულ საორგანიზაციო კრებაზე, დასწრება სავალდებულოა.

2—1 **პრეზიდიუმი.**

პარტ. სახ. პრესის ცენტრალური კანტორისაგან

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ხელის მოწერის შესახებ

დღემდე სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო გაძნელებული იყო ჟურნალ გაზეთების გამოწერა. დღეს ხელის მოწერა გაადვილებულია. ამიერიდან ხელის მომწერლებს შეუძლიათ გამოიწერონ ყველა ჟურნალ-გაზეთები ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებების საშუალებით, სადაც დაგზავნილია ცირკულიარი ამის შესახებ.

გაზეთების არა რეგულიარული მიღების შესახებ.

ჩვენს კანტორაში შემოდის საჩივრები, რომ ხელის მომწერნი დაგვიანებით ღებულობენ გაზეთებს ან და სულ ვერ ღებულობენ.

კანტორა აცხადებს, რომ ხშირად მისამართები არ არის სწორად აღნიშნული და ამის გამო დანიშნულ ალაგს გაზეთები ვერ აღწევს, ამიტომ საჭიროა მისამართები სწორად იგზავნებოდეს. აგრეთვე შესაძლებელია ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში რჩებოდეს გაზეთები. თუ რომელიმე ხელის მომწერი ვერ მიიღებს გაზეთს, მან ამის შესახებ უნდა დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორას, რომ მას მიეცეს შეძლება თავის დროზე მიიღოს საჭირო ზომები.

ოქროს მომგებიანი სესხი

(თეზისები).

1. საბჭოთა ხელისუფლებას ნათლად აქვს შეგნებული ის ზარალი, რომელიც აქვს ჩვენ სახალხო მეურნეობას ხმარებაში ახალ ფულის ნიშნების განუწყვეტელი გამოშვებით, რაც უკვე 7 წლის განმავლობაში გრძელდება.

2. ამ გამოშვების (ემისიის) აუცილებელი შედეგი ფულის ღირებულების თანდათანი დაკარგვა, რაც ძალიან დიდ დაბრკოლებებს ჰქმნის მრეწველობისა და ვაჭრობისათვის და არღვევს წესიერ საქონლის ბრუნვას ქალაქსა და სოფელს შორის. კიდევ უფრო მეტად, მანეთის განუწყვეტელი დაცემა გავლენას ახდენს მშრომელთა მდგომარეობაზე, რომელთა ხელფასი ყოველთვის ჩამორჩენილია პირველ მოთხოვნილების საგნების ფასის ზრდისაგან, რასაც იწვევს მანეთის ღირებულების დაკარგვა.

3 ემისიის შეწყვეტა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მოსახერხებელი იქნა საბიუჯეტო წონასწორობის დამყარება, როდესაც სახელმწიფოს ხარჯების დიდი ნაწილი დაიფარებოდა სახელმწიფოს შემოსავლით, დანარჩენი ნაწილი კი—სესხით. მანამ, სანამ თავიდან არ არის აცილებული საბიუჯეტო დეფიციტი, მისი დაფარვა შეიძლება მხოლოდ სათანადო ემისიით

4. საბჭოთა ხელისუფლება, დადგა რა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გზაზე, იღებს ენერგიულ ზომებს სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტის თავიდან ასაცილებლად.

ერთის მხრივ დაუზოგავად მცირდება სახელმწიფოებრივი ხარჯები და მოსამსახურეთა შტატი, მეორეს მხრივ მიღებულია ყოველგვარი ზომები სახელმწიფო წარმოებათა შემოსავლიანობის გასადიდებლად და ფულად გადასახადების სისტემის განსავითარებლად. ასეთი ფინანსიური პოლიტიკის შედეგები უკვე სჩანს. 1922 წლის დასაწყისში ემისია ფარავდა სახელმწიფოს ყველა ხარჯების 80 პროცენტს და უკვე ამ წლის ბოლოში—ხარჯების 40 და 60 პროც. იფარებოდა ფულად შემოსულ გადასახადებით (წარმოების მოგება და გადასახადები).

5. მაგრამ, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოს შემოსავალი მნიშვნელოვნათ გაიზრდება. შემოსავლიანად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენში ჯერ-ჯერობით მსუბუქი ინდუსტრია, რომელიც ნავარაუდევია მასიური მომხმარებლის ყველაზე საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, და რომელსაც ესაჭიროება შედარებით უმნიშვნელო მოწყობილება. მთელი მძიმე ინდუსტრია, ტრანსპორტი და მსხვილი მრეწველობა ომიანობის 7 წლის განმავლობაში იმდენად აიწეწა და მისი წყობილება იმდენად დაძველდა, რომ საჭიროა სახალხო მეურნეობის ამ დარგების აღსადგენად ისეთი დიდი ძირითადი თანხის დახარჯვა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ამჟამად არ მოეპოვება. საჭიროა მრეწველობის ამ ძირითად დარგების თანდათანობითი აღდგენა ყოველგვარი ძალების დაჭიმვით. ასეთ პირობებში კი მათ შემოსავლიანობაზე არ შეიძლება დიდი იმედების დამყარება.

6. ამგვარათვე შეზღუდულია საგადასახადო შესაძლებლობანი პირდაპირი შემოსავლის ქვალობაზე, გადასახადი არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის საფუძვლად; საბჭოთა სახელმწიფოებში მსხვილ მრეწველთა კლასების პირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის ამ მთავარ ობიექტის უქონლობის გამო. გადასახადების ფართოდ შემოღება მთელი თავისი სიმძიმით დააწვებოდა მშრომელთა მასებს, რაც საბჭოთა ხელისუფლებას, მშრომელთა ხელისუფლებას დაუშვებლად მიაჩნია. მრეწველობის დაბეგვრა კი, რომელიც ეს არის იწყებს გამოცოცხლებას მსოფლიო და სამოქალაქო ომების შემდეგ უდრის იმას, რომ საბოლოოთ განადგურდეს აღორძინების გზაზე დამდგარი ჩვენი სახალხო მეურნეობა და კიდევ მეტად გაიზარდოს წარმოების ხარჯები, და ამასთან ერთად განსხვავება ფასებში მრეწველობის ნაწარმოებთა და სასოფლო მეურნეობის პროდუქტებს შორის, ეს იქნება არა მჭიდრო კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის, არამედ განხეთქილება მათ შორის.

7. დეფიციტის დასაფარავად, ემისიის გარდა გვრჩება მხოლოდ სესხი. საზღვარგარეთ სესხის აღება შეუძლებელია. გენუას და ჰააგას კონფერენციებმა აშკარად დაგვანახვეს, რომ საერთაშორისო ბურჟუაზიას სრულიადაც არ აუღია ხელი იმ აზრზე, რომ დაამხოს საბჭოთა რუსეთის სახით პროლეტარული რევოლიუცია და იგი სცდილობს ეკონომიური სალტების მოჭერას და უნდა ხელი მოგვაწერინოს სესხის მონურ პირობებზე. როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ უარყოფს თავის თავს, ე. ი. მშრომელთა ხელისუფლებას და კაპიტალიზმის უღელს არ დაადგამს მშრომელთა მასებს კისერზე.

ამიტომ ამ ჟამად ზედმეტია ლაპარაკი საზღვარ გარეთელ სესხის შესახებ.

8. რჩება ამგვარად, ერთი გზა—მოვაწყოთ შინაური სესხი თვით მშრომელთა მასების შორის, ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ წინადადება მივსცეთ მათ, თავისი დოვლათი სკივრებში კი არ შეინახონ, სადაც იგი ჰკარგავს ღირებულებას, ან უცხოეთის ვალიუტა კი არ შეიძინონ, არამედ მოახმარონ იგი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის და განვითარების საქმეს. მხოლოდ ეს გზა მიგვიყვანს ჩვენ საბიუჯეტო წონასწორობის დამყარებამდე, როდესაც მნიშვნელოვნად შემცირდება ემისია, მოისპობა მანეთის ღირებულების განუწყვეტელი დაკარგვა და დამყარდება მტკიცე ფულის სისტემა, როგორც ამას ომამდის ჰქონდა ადგილი.

9. მაგრამ უშვებს რა სესხს, სახელმწიფო არ მოუწოდებს მოქალაქეთ მსხვერპლის გაღებისაკენ, არამედ ისე აყენებს საქმეს, რომ ორივე მხარესათვის, სახელმწიფოსა და სესხის ობლიგაციების მყიდველებისათვის ერთნაირად ხელსაყრელი იყოს იგი.

ამ მიზნით სახელმწიფო უშვებს სესხს 10 წლის ვადით 100 მილ. ოქროს მანეთის რაოდენობით, ე. ი. ობლიგაცების ღირებულება ქაღალდის ფულებზე შეიცვლება ოქროს კურსის შეცვლასთან ერთად, რაც სრულ გარანტიას აძლევს ობლიგაციების მქონეს ქაღალდის ფულის კურსების დაცემის თავიდან აცილებისას. შემდეგ სესხის მიხედვით ყოველ წლიურად ეძლევა მას 6 პროც. და წელიწადში 2-ჯერ სწარმოებს ტირაჟი 13 169 მოგებით, რაც უდრის 1 600 000 მან. ოქროთი, პირველი მოგების რაოდენობა კი 100.000 ოქრ. მანეთს. არც სესხის ობლიგაციები და არც მოგება არ იქნება დაბეგრილი არავითარი განსაკუთრებული გადასახადებით.

სესხის ყველა ეს პირობები ხელსაყრელია იმისათვის, რათა ყოველგვარ რისკის გარეშე ჩადონ მასში თავისი დოვლათი. ბოლოს, რათა საშვალება მიეცეს მშრომელთა ფართო მასებს მონაწილეობა მიიღონ სესხში, უკანასკნელის ობლიგაციები გამოშვებულია ძალიან დაბალი ღირსებით—5 და 25 მანეთი ოქროთი. სესხის დაფარვის დროს, რაც 1928 წლიდან დაიწყება, ტირაჟში გამოშვებული ობლიგაციები გამოცვლილი იქნება მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით 5 და 25 მან. ოქროს მანეთის კურსით.

10. პირველი გათამაშება მოხდა წინაწარ დანიშნულ ვადაზე. 1923 წელს 1 მაისს, გათამაშება გაიმართა ხალხის დიდძალი მასების თანადასწრებით „კავშირთა სახლის" დიდ დარბაზში მოსკოვში და ყველა მოგება დარიგდა სრულად ყოველ გვარ დაკავების გარეშე. მოგებთა მეორე ტირაჟი დაიწყება 1 სექტემბრიდან.

სესხის ობლიგაციები არის ყველაზე უფრო მტკიცე ქაღალდის ფული, და მათი ბირჟის ღირებულება განუწყვეტლივ და ჩქარა იზრდება. პირველი მოგების წინ ობლიგაციაში აძლევდნენ 150 მანეთს 23 წლის საბ. ფულის ნიშნებით, ხოლო დღეს იგი ფასობს 500 მანეთად. სესხის ეს სიმტკიცე მაჩვენებელია იმისა, რომ მისი გამარჯვებით დასრულება უზრუნველყოფილია და რომ ყველასათვის ვინც საშუალო შეძლებისაა, ხელსაყრელია გამოშვებულ სესხში მონაწილეობის მიღება.

11. ამიტომ ყოველი მოქალაქის მოვალეობას და ინტერესს შეადგენს, მოქალაქის, რომელსაც ესმის სახელმწიფოს ამ პირველ დიდ საკრედიტო ოპერაციის მნიშვნელობა ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, რათა მან გაუწიოს სესხის წარმატებით ჩატარებას ყოველგვარი დახმარება, როგორც თავისი დოვლათით ისე სესხის სასარგებლოთ პროპაგანდით ფართო საზოგადოებაში.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტ. საპროპაგ. განყოფილება.

ადგილობრივი ფინანსები

III *).

ადგილობრივ ფინანსების განხილვის დროს უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს და პასუხი გაეცეს შემდეგს კითხვებს:

1) ადგილობრივ ორგანოთა საგადასახადო უფლებები, 2) ადგილობრივ ორგანოს შემოსავლის წყაროები: ა) გადასახადები, ბ) შემოსავალი ქონებასა და მეურნეობიდან და გ) ბიუჯეტი.

დავიწყოთ პირველიდან.

ადგილობრივი ორგანო, როგორც სამეურნეო ორგანიზაცია გადასახადების გაწერა-აკრეფაში უნდა სარგებლობდეს სამსახურ-სამაგიეროს პრინციპით (ჩვენ ამაზედ პირველ წერილში ვილაპარაკეთ). მაშასადამე ამ პრინციპის მიხედვით უნდა იბეგრებოდეს ყველა ის საგანი, რომელიც ქალაქის მოღვაწეობიდან რაიმე სარგებლობას ითვისებს. ასეთი ობიექტები კი უძრავ-მოძრავი ქონება და ვაჭრობა მრეწველობა არის. აღნიშნულ პრინციპით დაბეგვრის დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ის რეალური სარგებლობა, რომელიც მიითვისა საგანმა ადგილობრივ ორგანოს მოღვაწეობიდან. რეალურ სარგებლობის რაოდენობის გამოსაკვლევად საჭიროა გათვალისწინება ადგილობრივ პირობებისა, იმ ხარჯების რაოდენობისა, რომელიც გასწია ადგილობრივმა ორგანომ და იმ სარგებლისა, რომელიც ადგილობრივ ორგანოს მიერ გაწეულმა ხარჯმა და შრომამ მოუტანა დასაბეგრავ პირს. ამას, ეჭვს გარეშეა, ვერ შესძლებს ცენტრალური მთავრობა. ადგილობრივ ორგანოს განკარგულებაში კი იმყოფება ყველა საშუალებანი ამ სარგებლობის რაოდენობის გამოსაკვლევად და განსაზღვრისათვის.

კომუნალურ გადასახადების ორგანიზაციის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს მცხოვრებთა განვითარების საფეხურს, განათლებას, მათს ხასიათს, შრომის და წარმოების პირობების სხვადასხვაობას და სხვა. კომუნალური რეალური გადასახადები არ უნდა ისაზღვრებოდნენ სახელმწიფო გადასახადების ფორმებით და უნდა შეიქმნას ისეთი ორგანიზაცია, რომლისთვის ადვილი იქნება როგორც უძრავ ქონებათა, აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის ადგილობრივ პირობების გათვალისწინება და გადასახადით სამართლიანად დაბეგრავს.

აქედან დასკვნა ის არის, რომ რეალური გადასახადები ადგილობრივ ორგანოთა ფინანსიურ სისტემაში შეზღუდულნი არ უნდა იყვნენ სახელმწიფოს კანონმდებლობით უძრავ ნორმებით და ადგილობრივ ორგანოთ უნდა მიეცეს უფლება ადგილობრივ პირობების მიხედვით გადასახადის განსაზღვრისა.

შემდეგ, განუწყვეტელი და შეუჩერებელი ზრდა და ახელებულ ადგილებისა ამრავლებს და ართულებს ადგილობრივ ორგანოთა მოვალეობათ, რომელთა დაკმაყოფილება ახალ-ახალ საშუალებებს ითხოვს. მართალია დასახელებულ ადგილებში მცხოვრებთა რიცხვის გადიდებასთან ერთად ავტომატიურად უნდა იზრდებოდეს შემოსავალიც, მაგრამ, ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა მართალი, თუ ადგილობრივ ორგანოს მოვალეობანი არ გადააჭარბებდნენ მცხოვრებთა რიცხვის გადიდებით გამოწვეულ შემოსავალს. მაგრამ ერთის ადგილას მცხოვრებთა მეტი რიცხვის შეჯგუფება, მათი სიმკვრივე ადგილობრივ ორგანოს ახალ მოვალეობებს აკისრებს ძველ მოსახლეობისადმიც. თავის თავად ცხადია, რომ ადგილობრივ ორგანოს მოვალეობანი იმ ქალაქში, რომელიც თავის ტერიტორიაზედ იტევს ნახევარ მილიონ მცხოვრებს, როგორც თვისებით, ისე რაოდენობით ბევრათ რთული და მრავალია, ვინემ მცირე ქალაქებისა.

მცხოვრებთა რიცხვის გადიდებით გამოწვეულ მოვალეობათა გამრავლების და გართულების გარდა ადგილობრივ ორგანოს პრობლემები საზოგადოების კულტურულ და სოციალურ ზრდის გამო სწრაფად ვართოვდებიან და ღრმავდებიან. განვითარების და შეგნების ახალ საფეხურზედ ახალ-ახალი მოთხოვნილებანი იჩენენ თავს და მაშასადამე ადგილობრივ ორგანოთა ახალი მოვალეობანიც იბადებიან ისიც თავის თავად ცხადია, რომ პრობლემები იმ ქალაქებისა, რომელნიც მცხოვრებთა რაოდენობით ერთგვარნი იყვნენ, სხვა იყო ოცი ან ათი წლის წინ და სხვა არის დღეს.

აქედან ნათლად სჩანს, რომ ადგილობრივ ორგანოს მოვალეობანი ერთ წერტილზედ არ ჩერდებიან, დროსა და გარემოების მიხედვით იცვლებიან და მათი ცვალებადობის ტენდენცია ყოველთვის ამ მოვალეობათა ზრდასა და გართულებისაკენ არის მიმართული. მათი დღევანდელი მოვალეობანი არ გვანან რაოდენობით და თვისებით გუშინდელს გარემოებათ და ხვალინდელი მოვალეობანი მთლიანად არ არ ეგვანებიან დღევანდელს. მაშასადამე ამ მოვალეობათა განსახორციელებლად საჭირო საშუალებანი ყოველ პირობასა და გარემოებაში არ შეიძლება ერთგვარნი იყვნენ, ისინიც ისე უნდა იცვლებოდნენ, როგორც იცვლება მდგომარეობა.

ამიტომ ადგილობრივ ორგანოს უნდა მიეცეს უფლება თავისი შემოსავალი გაადიდოს და თუ საჭიროება მოითხოვს გადასახადი შეამციროს დროსა და გარემოების მიხედვით. ადგილობრივ ორგანოს საბიუჯეტო უფლება მაშინ იქნება მკვიდრ ნიადაგზე დამყარებული, თუ იგი იქნება ელასტიური.

განსაზღვრული მუდმივი ნორმები გადასახადებისა შემოსავლის რაოდენობას ერთს წერტილზედ ჰყინავს და ადგილობრივ ორგანოს უსპობს შესაძლებლობას მისდიოს ცხოვრებას კვალდაკვალ და მისი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს მაშინ, როდესაც ამას ცხოვრება ითხოვს. ამას შედეგად მოჰყვება ის, რომ ცხოვრება და მისი მოთხოვნილებანი ბევრად გაუსწრებენ მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობას და ადგილობრივი ორგანო მოექცევა არა ცხოვრების სათავეში, როგორც ამას ითხოვს მისი დანიშნულება, არამედ, წინააღმდეგ, ის ცხოვრების უკან დაიწყებს ჩანჩალს და იძულებული იქნება იზრუნოს მხოლოდ არსებულის შენარჩუნებაზე და არა ცხოვრების პირობების გაუმჯობესობაზე.

ამგვარად ადგილობრივ ორგანოთა საგადასახადო უფლება უნდა ემყარებოდეს გადასახადების ელასტიურობაზე და გადასახადების ნორმების განსაზღვრაში უნდა მიეცეთ მათ რამოდენიმეთ ავტონომიური უფლება.

მაგრამ ადგილობრივ ორგანოთ ეს ავტონომიური უფლება გადასახადების განსაზღვრაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მით სარგებლობა ვნებას არ მოუტანს სახელმწიფოს. აღნიშნული უფლებით სარგებლობა ადგილობრივ ორგანოებისა უნდა ჩაყენებულ იქნას **ისეთს ფარგლებში**, რომ მით სახელმწიფო ფინანსიურ სისტემას ვნება და ზიანი არ მიაყენოს. გადასახადების ნორმების განსაზღვრის უფლებით განუსაზღვრელ სარგებლობით ადგილობრივ ორგანოს შეუძლიან მცხოვრებთა ხარჯთ-გადახდის უნარიანობის ამოწურვა და სახელმწიფოს ფინანსების სრული განადგურება. ამიტომ კანონმდებლობამ უნდა განმარტოს ის მაქსიმალური ნორმები გადასახადებისა, რომლითაც სარგებლობა შეუძლიან ადგილობრივ ორგანოს, ხოლო მაქსიმალურ ნორმებზე ზევით გადასახადის დაწესების უფლება ადგილობრივ ორგანოთ უნდა მიეცეს მთავრობის საგანგებო დასტურით. ამ ნორმამდე კი ცხოვრების და კულტურის პირობების მიხედვით სხვადასხვა რაოდენობით გადასახადის დაწესების უფლება უნდა მიეცეს ადგილობრივ ორგანოთ. ამ პრინციპებზე არის აგებული დღეს ა.-კ. ფედერაციაში მოქმედი კანონმდებლობა ადგილობრივ ორგანოთა საგადასახადო უფლებების შესახებ.

აქ ერთის მხრივ დაცულია ელასტიურობა გადასახადისა და ადგილობრივ ორგანოთა ავტონომიური უფლება გადასახადის განსაზღვრისა და მისი ცვალებადობისა მაქსიმალურ ნორმამდე და ამასთანავე დაცულია სახელმწიფო ფინანსიური ინტერესები.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა ადგილობრივ ფინანსების შესახებ არსებითად განსხვავდება რევოლიუციამდის რუსეთში არსებული კანონმდებლობისაგან.

ძველი კანონმდებლობით ვაჭრობა-მრეწველობა ან სულ არ იღებდა მონაწილეობას ადგილობრივ ორგანოს მიერ გაწეულ ხარჯებში და თუ იღებდა - სრულიად მცირედს.

მაგალითად ტფილისში 1919 წელში ადგილობრივმა თვითმმართველობამ ვაჭრობა-მრეწველობიდან მიიღო მხოლოდ 55,000 მ ნ. ეს მაშინ, როდესაც თითქმის თვითეული სავაჭრო დაწესებულება დღეში იღებდა 55,000 მანეთს.

ამ არანორმალურ მოვლენის მიზეზები ძველი თვითმმართველობების სტრუქტურაში უნდა ვეძიოთ, როდესაც ადგილობრივ ორგანოს სვებედის გამგენი იგივ **ვაჭარ-მრეწველნი და უძრავ ქონების მესაკუთრენი** იყვნენ ასეთივე შემადგენლობა იყო სახელმწიფოს მესვეურებისა და ამიტომ მთელი სისტემა სახელმწიფოს და თვითმმართველობის მართვა-გამგეობისა, მესაკუთრეთა და ვაჭარ მრეწველთა მფარველობის სისტემა იყო.

დღეს მდგომარეობა შეცვლილია და სახელმწიფოს და ადგილობრივ ორგანოს მესვეურათ ძლევამოსილი პროლეტარიატია. ამ გარემოებამ შესცვალა თვით კანონმდებლობის სული და ადგილობრივ ორგანოთ მიენიჭათ უფლება ვაჭარ მრეწველთა დაბეგვრისა და საკმაო საგრძნობათაც.

ამაში მდგომარეობს ძირითადი განსხვავება ძველსა და ახალს კანონმდებლობას შორის ადგილობრივ ფინანსების შესახებ.

ახალ კანონმდებლობათ ადგილობრივ ორგანოთ მიენიჭათ უფლება დაბეგრონ ვაჭრობა-მრეწველობა იმდენადვე, რამდენადაც ბეგრავს მას სახელმწიფო ძირითადი სარეწაო გადასახადით და ფუფუნების ნივთების ვაჭრობაზე გადასახადით, ე. ი. ადგილობრივ ორგანოს შეუძლია შეაწეროს ვაჭრობა მრეწველობას აღნიშნულ სახელმწიფო გადასახადის არა უმეტეს 100 პროც. ამავე დროს ადგილობრივ ორგანოს უფლება აქვს მინიჭებული ვაჭრობა მრეწველობა, ადგილობრივ პირობების მიხედვით, დაბეგროს უფრო ნაკლები გადასახადითაც, ვიდრე 100 პროც.

ხ.

---

*) იხ. „კომუნისტი" №№ 182, 183.

რადიო-დეპეშები

(„ზაქროსტას" ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

ს. ს. რ. კ. და ჩინეთი

პეკინი. 19 აგვისტო. ჩინეთის მთავრობის მეთაურის, ვაი-ჩუ-ცინგის აზრით, ჩინეთის მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მიწის ფონდის ხელში ჩაგდება დამთავრებულად ჩაითვლება, რადგანაც ჩინეთის ხელში გადასულ ზონაში ჩინეთის იურისდიქცია ვრცელდებოდა მხოლოდ რკინის გზ[illegible] როგორც სჩანს, ჩუან-ცზო ლინიც ამ აზრს იზიარებს. ველინგტონ-ხუმ ოფიციალურად განაცხადა, რომ ჩინეთი მოუთმენლად ელის მოლაპარაკების დაწყებას აწ. კარახანთან.

საბჭოთა კავშირი და იტალია.

რომი, 19 აგვისტო, გაზეთი „სტამპა" ეხება რუსეთ-იტალიის სავაჭრო ხელშეკრულებას და სწერს: „იტალიას შეუძლია ამ ჟამათ შეიტანოს რუსეთში ნახევარი მილიარდ ლირის საქონელი წელიწადში. თუ მხედველობაში მივიღებთ გერმანულ მრეწველობის კრიზისს, რუსეთმა უნდა გააუქმოს იტალიის იმიგრაციის შეზღუდვა. ორივე მხარემ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სამიწადმოქმედო კონცესიებს, ვიდრე ეს აქამდი იყო. საჭიროა აგრეთვე გადაწყვეტილი იქნეს საკითხი იტალიის მოქალაქეთათვის იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მათ რევოლიუციის დროს ნახეს. სავაჭრო ხელშეკრულება შესავალი უნდა იყოს რუსეთის დეიურე ცნობისათვის."

რუსეთ რუმინეთის მოლაპარაკება.

ვენა 19 აგვისტო. რუმინეთის დელეგაციის ცნობით, ტირასპოლის კონფერენციაზე გადაწყდა დაკმაყოფილდეს საქონლის გაცვლა გამოცვლის საკითხის მოგვარებით საზღვრების განაპირა მცხოვრებლებს შორის.

რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკების მნიშვნელობა იაპონიისათვის.

ტოკიო. 19 აგვისტო. კენსეკაის პარტიის ბელადმა, ნაგაიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკება იაპონიას მოუსპობს ხმელეთზე გასვლის საშუალებას. ჩინელები აშკარათ ცდილობენ იაპონელების განდევნას, რის გამოც იაპონიას ძლიერ უძნელდება თავის პოზიციების დაცვა ჩინეთში.

საბჭოთა კავშირი და ოსმალეთი

ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანი წარმომადგენლის მისალმება

ანგორა. 19 აგვისტო. ეროვნული კრების გახსნის გამო ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ოსმალეთში სურიცმა გაუგზავნა ქემალ-ფაშას მისალმება, რომელშიაც უსურვა წარმატება მშვიდობიანი აღმშენებლობის ასპარეზზე. ისმეტ-ფაშამ ქემალის სახელით მადლობა გამოუცხადა მას, უსურვა ს. ს. რ. კ. გამარჯვება და აღნიშნა, რომ ის იმედს ამყარებს სრულუფლებიან წარმომადგენელთან თანამშრომლობაზე, რაც უფრო განამტკიცებს რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობას.

საბჭოთა კავშირი და ფინეთი

ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანი წარმომადგენლის პროტესტი.

ჰელსინგფორსი. 19 აგვისტო ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გადასცა ფინეთის მთავრობას საპროტესტო ნოტა რუსეთის ყოფილ მოქალაქეების დაპატიმრების გამო, სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მათი რეგისტრაციის შემდეგ.

გერმანიის ამბები

წარმოებლები თაღლითობენ.

ბერლინი. 19 აგვისტო. ბერლინის სტამბების პატრონების კრებაზე, მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ ისინი ვერ შესძლებენ ხელფასის მიცემას ახალი განაკვეთით. ხელფასის დაკლების მიზნით მწარმოებლებს განზრახვა აქვთ შეამცირონ სამუშაო დღე, ისინი იმუქრებიან, სტამბებს დავხურავთ, თუ მუშები უკან არ წაიღებენ თავის მოთხოვნილებებსო

უფსკრულისაკენ მიექანებიან.

ბერლინი. 19 აგვისტო გერმანიის ნახშირის მაღაროს პატრონებმა ქვანახშირის ფასი 63 პროცენტით ასწიეს. ეს გარემოება გააძლიერებს სიძვირეს და გერმანიას მოუსპობს სხვა სახელმწიფოებთან მეტოქეობის უნარს, რადგან გერმანიაში ნახშირის ფასმა მთელი ქვეყნის ბაზრის ფასს გადააჭარბა.

ბერლინ. 19 აგვისტო. რადგან ბერლინის ქალაქის რკინის გზა კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფება, გადასწყვიტეს, ორი კვირით დაითხოვონ ყველა რკინის გზის მოსამსახურეები და ქალაქის რკინისგზის მიმოსვლა შეაჩერონ.

უთანხმოება ცენტრსა და ბავარიას შორის

ბერლინი. 19 აგვის. კარგი დამოკიდებულება, რომელიც დამყარებული იყო საიმპერიო მთავრობასა და ბავარიას შორის, ახალი მთავრობის დროს თანდათან უარესდება. ბურჟუაზიული პრესა მწუხარებას გამოსთქვამს კუნოს გადადგომის გამო და დიდის კმაყოფილებით იტყობინება, რომ ბავარიის კაბინეტი უკმაყოფილოა იმ გარემოებით, რომელთაც ნიადაგი მოამზადეს შტრეზემანის კაბინეტისათვის. ბავარიის მთავრობა შიშობს, რომ გერმანიის ახალი მთავრობა გამოიჩენს ცენტრალისტურ ტენდენციებს, რომელნიც მიმართული იქნება ბავარიის წინააღმდეგ.

ამბობენ, რომ ბავარიის ფინანსთა სამინისტრომ წინადადება მისცა ბავარიის სახელმწიფო ბანკს გამოუშვას თავისი ქაღალდის ფულები; სამინისტრო ასეთ ღონისძიებას იმით ამართლებს, რომ რეიხსბანკიდან მიღებული ფულის რაოდენობა საკმარისი არ არის ბავარიისათვის.

მუშების მოთხოვნილება

ბერლინი. 19 აგვისტო. **პრუსიის ლანდტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ მოითხოვა მთავრობის განკარგულების გაუქმება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების „15-თა კომისიის" დაშლის შესახებ. ბერლინის მუშები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ მუშათა ორგანიზაციების დაშლის წინააღმდეგ. თავის რეზოლიუციებში ისინი მოითხოვენ შტრეზემანის კაბინეტის გადადგომას და მუშურ-გლეხურ მთავრობის მოწყობას.**

კუნო მიემგზავრება ამერიკაში

პარიზი. 21 აგვისტო. ჰამბურგიდან გადმოგვცემენ, რომ კუნოს, პირადი მოსაზრებით, განზრახული აქვს ამე[illegible]ში გამგზავრება.

[illegible]ელნის ბაზრობა გადაიდო

პარიზი. 21 აგვისტო. „ეკო დე პარი"-ს მაინცის კორესპონდენტი იტყობინება, რომ კელნის ბაზრობა, რომელიც უნდა შემდგარიყო ნოემბერში, გერმანის საერთო ეკონომიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით გადაიდო გამოურკვეველ დრომდე.

სათბობი ხელმიუწვდენი გახდა.

ბერლინი. 21 აგვისტო. გერმანიაში ქვანახშირის ფასმა 200 პროცენტით აიწია. ჰაზი და ელექტრონი ისე დაძვირდა, რომ ბერლინის მუნიციპალიტეტს განზრახვა აქვს შეაჩეროს ყოველგვარი მუშაობა ჰაზისა და ელექტრონის სადგურებზე. ბერლინის ტრამვაის ყოველდღიური ექსპლოატაცია 137 მილიარდი ჯდება. ტრამვაის ტარიფის სიმცირის გამო, ეს სამეურნეო დარგი აუარებელ ზარალს იძლევა.

პარიზი. 21 აგვისტო. ორშაბათიდან გერმანიის ქვანახშირის ფასმა ტონაზე 85 მილიონ ქაღალდის მარკას მიაღწია მაშინ, როდესაც ინგლისის ქვანახშირი მხოლოდ 35 მილიონი მარკა ღირს.

მალე სტამბებიც გაჩერდება.

ბერლინი. 21 აგვისტო. ხელფასის უზომო ზრდის გამო, ბერლინის სტამბებში საფიქრებელია მუშაობის შემცირება, თუ სრულიად არ შეჩერდა მუშაობა.

საკონტრიბუციო საკითხი

ყველაფერი გერმანიის ხარჯზე.

ლონდონი. 21 აგვისტო. დღეს ლონდონში ელიან საფრანგეთის პასუხს. „დეილი მეილის" პარიზელ კორესპონდენტი აზრით საფრანგეთის ნოტა შეიცავს საკონტრიბუციო საკითხის საბოლოო გადაჭრის ცდას; ნოტაში აღნიშნულია აგრეთვე ის, რომ ინგლისი მიიღებს საკმაო საშუალებებს ამერიკისათვის, გადასახდელ ვალის დასაფარავათ. იმედი აქვთ, რომ პუანკარე დათანხმდება ინგლისის მოთხოვნილებებზე იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოეპყრობა მთავრობა ახალ საკონტრიბუციო გეგმას. საფრანგეთის ნოტის მიღების დროისთვის ბალდვინი დაბრუნდება ლონდონში. ნოტა განხილული იქნება ხვალ კაბინეტის საჩქარო სხდომაზე.

სამხრეთ-სლავიის პროტესტი.

პარიზი. 21 აგვისტო. გერმანიის მიერ საკონტრიბუციო გადასახადების შეწყვეტის გამო, სამხრეთ-სლავიის მთავრობამ ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ეს შეწყვეტა საერთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევაა გერმანიის მხრივ და ის სამხრეთ სლავიის არსებით ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ საკონტრიბუციო კომისიას გადასცა პროტესტი გადასახადების შეწყვეტის წინააღმდეგ.

ოკუპაციის გარშემო

სურსათის შესყიდვა რურისათვის.

პარიზი. 21 აგვისტო. რეკლინგჰაუზენის რაიონის მაღაროების სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა საოკუპაციო ხელისუფლების წინაშე, იმის შესახებ, რომ უფლება მიეცეს მას გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები. გერმანიის ოკუპაცია არ ქონილ ნაწილში კართოფილის შესასყიდათ.

კატორღით იმუქრებიან.

ბერლინი. 21 აგვისტო. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ ბრძანება გასცა, რომლის ძალითაც საბოტაჟისათვის მაღაროებსა და ქარხნებში დასჯილნი იქნებიან 20 წლის კატორღით, ანდა ნახევარ მილიონ ოქროს მარკის ჯარიმით.

რეინის სეპარატისტები.

პარიზი. 20 აგვისტო. „ჰიუმანიტე" იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობა განაგრძობს მზადებას რეინის რესპუბლიკის გამოსაცხადებლად. ივლისის დამლევისათვის განზრახული გამოცხადება არ მოხდა, რადგან რეინის რესპუბლიკანურ პარტიის წევრთა შორის სერიოზული უთანხმოება დაიბადა, რამაც დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება დააბრკოლა.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი.

ლოზანის ხელშეკრულების განხილვა.

ვენა. 18 აგვისტო. ლოზანის ხელშეკრულება განხილულია ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ კომისიის მიერ და გადაეცემა ეროვნულ კრებას საბოლოო განხილვისათვის.

სტამბოლის ევაკუაციის პროექტი მოწონებულია.

რომი. 21 აგვისტო. ანგორიდან იტყობინებიან, რომ მოწონებულია პროექტი სტამბოლის ევაკუაციის შესახებ.

შავი ჭირი სტამბოლში.

პარიზი. 21 აგვისტო. „ტანი" ოფიციალურად იტყობინება, რომ სტამბოლში აღმოჩენილია შავი ჭირის გაჩენის რამოდენიმე შემთხვევა. ხელისუფლებამ მიიღო სასწრაფო ზომები.

ცვლილებები კონსტიტუციაში.

კონსტანტინოპოლი. 20 აგვისტო. „ჩანატამარტ"-ი იუწყება, რომ სახალხო პარტიას შეაქვს ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაში ოსმალეთის კონსტიტუციის ზოგიერთ ცვლილების პროექტი. პროექტის თანახმათ, არჩევნები უნდა მოხდეს ყოველ 4 წლის შემდეგ; არსებულ კანონით კი დეპუტატების რწმუნების ვადა ორ წელს უდრის. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრება ღია იქნება მხოლოთ 5 თვეს წელიწადში. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ირჩევა თვით კრების მიერ. კომისრის თანამდებობაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ორი კანდიდატი, რომელთაგან კრება ერთიერთს ნიშნავს. ამბობენ, რომ პროექტი მოწონებულია მუსტაფა-ქემალის მიერ.

ოსმალეთის კომისართა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა.

ანგორა. 19 აგვისტო. ოსმალეთის კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ფეთხი-ბეიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ეროვნული კრება დააჩქარებს რეფორმებს ფინანსიურ და ეკონომიურ სფეროში.

ანგორა დარჩება ოსმალეთის სატახტო ქალაქად.

ანგორა. 19 აგვისტო მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ ანგორა უნდა დარჩეს ოსმალეთის სატახტო ქალაქად.

„მომგებიანი სესხი, პარტია და პროფკავშირები"

(„პრავდა"-ს წერილი)

მოსკოვი. 21 აგვისტო. გაზეთი „პრავდა„ მეთაურში „მომგებიანი სესხი, პარტია და პროფკავშირები" სწერს: „ოქროს მომგებიანი სესხის რეალიზაცია არ არის გატარებული ბოლომდის. მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის ზრდა მოითხოვს, რომ მუშას, მოსამსახურეს და გლეხს ჰქონდეს მარაგი. ეს აუცილებელია, რადგან სახელმწიფოს არ შეუძლია შეიტანოს თავის ბიუჯეტში დიდი ხარჯები სოციალურ უზრუნველყოფისათვის, ავათმყოფობისა და უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევისათვის და უმუშევრობისათვის. სახელმწიფო სესხი ძლიერი საშუალებაა, როგორც სახელმწიფოს, ისე ცალკე მშრომელთა ბიუჯეტის უზრუნველსაყოფათ.

საჭიროა სესხის საჩქარო და წარმატებითი რეალიზაცია. ეს ამოცანა სდგას პარტიისა და პროფკავშირების წინაშე და მოითხოვს მასიურ და თანაბარ გატარებას ს. ს. რ. კ. მთელს ტერიტორიაზე. საჭიროა ობლიგაციების თანაბარი განაწილება მთელს ქვეყანაში, ყველა ქარხნებსა და ფაბრიკებში გლეხებს შორის. საჭიროა საუკეთესო საშუალების გამონახვა სესხის მასიურ გავრცელებისათვის, სისტემატიურ და საქმიან პროპაგანდა-აგიტაციისათვის

პროფკავშირების დახმარებით შესაძლებელია ჯამაგირირების მიცემა ობლიგაციებით, იმ ცხრილით, რომელიც დაწესებული უნდა იქნეს შრომის ხელფასის რაოდენობის მიხედვით.

საჭიროა ბანკებს თავის დროზე მიეცეს დირექტივები სპეციალურ სალაროების მოსაწყობათ დიდ წარმოებებთან, სესხის მისაცემათ ობლიგაციების ქვეშ. ასეთივე სალაროების დაარსება საჭიროა გლეხთა მოსახლეობის შორისაც.

მომგებიანი სესხის რეალიზაციის წარმატება მოითხოვს სიმტკიცეს და კიდევ სიმტკიცეს.

პარტიას და პროფკავშირებს ის საკმაოდ მოეპოვებათ".

კავკასიის ცალკე არმიის დაჯილდოვება წითელი დროშის ორდენით

ტფილისი. 21 აგვისტო. კავკასიის ცალკე არმიის სამხედრო—რევოლიუციონურმა საბჭომ რესპუბლიკის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოსაგან მიიღო მოსკოვიდან 20 აგვისტოს თარიღით შემდეგი დეპეშა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის 17 აგვისტოს დადგენილებით, კავკასიის ცალკე არმია დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სახელწოდებით.

ვულოცავ არმიას უდიდეს ჯილდოს."

რესპუბლიკის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: სკლიანსკი.

შორეულ აღმოსავლეთში

ჩინეთი.

ახალი რადიო-სადგური.

ბერლინი. 20 აგვისტო. „ბერლინერ ტაგებლატი" იუწყება, რომ პეკინის მთავრობამააგო კაშგარში (ჩინეთის თურქესტანის დედა-ქალაქია) მძლავრი რადიო სადგური, რომელიც იღებს დეპეშებს ნაუენისა და სხვა სადგურებისაგან. სადგურის აშენება დაკავშირებული იყო წარმოუდგენელ ტეხნიკურ დაბრკოლებებთან. სადგურის მოწყობილობა გადმოზიდული იყო უდაბნო ადგილებით 1.200 აქლემის საშუალებით.

უცხოეთის სახელმწიფოთა ნოტის გამოძახილი.

პეკინი. 20 აგვისტო. ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი გაფაციცებით იხილავს საზღვარ-გარეთელ სახელმწიფოების ნოტას. **ყოველ მხრიდან მიდის საპროტესტო დეპეშები ჩინეთის შინაურ საქმეებში იმპერიალისტების ჩარევის წინააღმდეგ პრესას დაუშვებლად მიაჩნია, რომ ჩინეთის რკინის გზების დაცვა მიენდოს უცხოელებს, რაც დაარღვევდა ჩინეთის სუვერენიტეტს.** საერთო პოლიტიკური მდგომარეობა პეკინში გამოურკვეველია.

სხვადასხვა

შვეცია.

პროტესტი ფინეთის კომპარტიის განადგურების წინააღმდეგ.

სტოკჰოლმი. 19 აგვისტო. შვეციის კომპარტიამ მოაწყო სტოკჰოლმში და გეტებორგში საპროტესტო მიტინგები ფინეთის კომპარტიის განადგურების წინააღმდეგ და დაადგინა მიმართოს შვეციის, ყველა ორგანიზაციებს მოწოდებით გაუწიონ ენერგიული დახმარება ფინეთის პროლეტარიატს.

მფარველობას უწევენ დამნაშავეებს.

სტოკჰოლმი. 19 აგვისტო. შვეციის მთავრობამ პირობით გაანთავისუფლა ორი ძმა ზაიჩევ'სკები, რომლებიც გასამართლებული იყვნენ ხოდეის ანტი-ბოლშევიკური ბანდის საქმის გამო.

ზაიჩევსკები მხეცურად ეპყრობოდენ 1919 წ. რუსებს, რომელთაც ბრალს სდებდენ ბოლშევიკურ მოღვაწეობაში.

ჩეხო-სლოვაკია.

საყოველთაო გაფიცვა.

ვენა. 18 აგვისტო. ჩეხო-სლოვაკიის სამთომადნო მუშებმა ერთხმად დაადგინეს საყოველთაო გაფიცვა მოახდინონ 20 აგვისტოს.

პოლონეთი.

პოლონეთი და ერთა ლიგა.

ჰელსინგფორსი. 18 აგვისტო. „ჰუდვუსტადს ბლადეტ"-ის ცნობით, ბალტიის უკანასკნელ ეკონომიურ კონფერენციაზე დადებულია გამოუქვეყნებელი ხელშეკრულება ბალტიის სახელმწიფოების მიერ, პოლონეთის დელეგატისათვის მხარის დაჭერის შესახებ ერთა ლიგის საბჭოს არჩევნების დროს. გაზეთების სიტყვით, ეს შეთანხმება კვლავ აკავშირებს ფინეთს პოლონეთთან. რაც იწვევს მღელვარებას ფინეთის საზოგადოებრივ წრეებში.

მემელი საერთაშორისო ნავთსადგურია.

ვარშავა. 18 აგვისტო. „გაზეტა ვარშავსკაია" სიტყვით, ელჩთა საბჭოს მიერ შემუშავებული დებულება მემელის შესახებ, მემელს ცნობს საერთაშორისო ნავთსადგურად, რომელსაც მმართველობას გაუწევს საბჭო, რომელშიაც შევლენ: პოლონელი, ლიტველი და მემელელი. პოლონეთს ეძლევა კონცესია 99 წლით. ნავთსადგურის ნაწილის გამოსაყენებლად თავის სამეურნეო საჭიროებისათვის. პოლონეთს აგრეთვე ეძლევა თავისუფალი ტრანზიტის უფლება ნიმანზე და ლიტვის რკინის გზაზე.

პოლონეთი ინგლისის პროტექტორატის ქვეშ.

ვარშავა. 18 აგვისტო. მტკიცდება ცნობები იმის შესახებ, რომ პოლონეთის მთავრობას განზრახვა აქვს მიიწვიოს პოლონეთში ინგლისის საფინანსო მრჩეველი, რომელიც კონტროლს გაუწევს მთავრობის ფინანსიურ ღონისძიებებს. მოწვევის ინიციატივა ეკუთვნის სიკორსკის მთავრობას, რომელიც ეწეოდა მოლაპარაკებას ამის შესახებ ინგლისელ იუნგთან.

დანია.

„მხიარული" კონფერენცია.

კოპენჰაგენი. 18 აგვისტო. კოპენჰაგენში გახსნილი პარლამენტების კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 30 ერი, განუწყვეტელ დღესასწაულებში და ბანკეტებში მიმდინარეობს. შვეციის „სოციალ-დემოკრატ"-იც კი დასცინის კონფერენციას, რომელსაც არ შეუძლია, როგორც ჰგავს, არც ერთი სერიოზული საკითხის გადაწყვეტა. რურის ოკუპაციის საკითხის განხილვის დროს საფრანგეთის სენატორი მარალენი არწმუნებდა დამსწრეებს, რომ საფრანგეთი ყველაზე უფრო მშვიდობიანობის მოყვარული ქვეყანაა. განიარაღების საკითხის შესახებ მიღებულ იქნა ინგლისის გენერალ სპიროს წინადადება კომისიის დაარსების შესახებ ევროპის მდგომარეობის შესასწავლად.

საფრანგეთი.

მალვის საპატივსაცემო მანიფესტაცია

პარიზი. 18 აგვისტო. შესდგა საფრანგეთის ყოფილ მინისტრის მალვის საპატივსაცემო მანიფესტაცია, რომელიც გაძევებული იყო საფრანგეთიდან იმპერიალისტურ ომის დროს. მონაწილეობას ღებულობდა რამოდენიმე ათასი კაცი. მალვიმ განაცხადა რომ ის დაამტკიცებს მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა სიყალბეს. მემარცხენე პრესა აღტაცებით შეხვდა მალვის, მემარჯვენე პრესა კი გაафთრებით ებრძვის მას.

შრომის უნიტარულ კონფედერაციის კრება.

პარიზი. 19 აგვისტო. ორშაბათს შრომის უნიტარული კონფედერაცია მართავს კრებას იმ მომავალ მოქმედებების გასარჩევათ, რომელსაც უნდა დაადგენ საფრანგეთის მუშები არსებულ პირობებში. კრებაზე მოწვეულია კომპარტიის, სოციალისტურ პარტიისა და შრომის საყოველთაო კონფედერაციის წარმომადგენლები.

სოფია რაპოპორტის დასაფლავება.

პარიზი. 18 აგვისტო. სოფია რაპოპორტის დასაფლავება დიდის ზეიმით მოხდა. გასვენებას დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი. განსვენებულის კუბო ბევრი გვირგვინებით იყო შემკული, მათ შორის იყო გვირგვინები რუს-კომუნისტების, საფრანგეთის კომპარტიის და გაზ. „ლ'უმანიტე"-ს რედაქციისაგან. სასაფლაოზე სიტყვა წარმოთქვა კომპარტიის სახელით.

ლიტვა.

მემელის ოლქის გადაცემა ლიტვისათვის.

კოვნო. 19 აგვისტო. ლიტვის მთავრობამ მიიღო კონვენციის პროექტი მემელის ოლქის ლიტვისათვის გადაცემის შესახებ, რომელსაც თან ახლავს ელჩთა კონფერენციის წერილი, რომელშიაც ოლქის გადაცემის აუცილებელ პირობად წამოყენებულია ლიტვის მიერ კონვენციაზე შეუცვლელად ხელის მოწერა. ამის გამო ლიტვის ოფიციოზი სწერს: „ლიტვას არ შეუძლია ხელის მოწერა პროექტზე სადავო საკითხების ხელახლად განუხილველად, თუნდაც რომ ეს გაამწვავებდეს ურთიერთობას ანტანტასთან, რომელმაც მემელი გადააქცია პოლიტიკურ სპეკულაციის საგნად."

ბელგია.

სწორ გზას დაადგნენ.

პარიზი. 19 აგვისტო. ბელგიის რეფორმისტების ოპოზიციის მიუხედავად, ბრიუსელის პროფესიონალურ ორგანიზაციათა კავშირმა დაადგინა ორგანიზაციის წევრებად მიიღოს აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ ეკუთვნიან. ამრიგათ კომუნისტები შესძლებენ გავლენა მოიპოვონ ბრიუსელის პროფკავშირთა საბჭოში.

რუმინეთი.

ამერიკის კონცესიები რუმინეთში.

ვენა. 16 აგვისტო. რუმინეთის მთავრობა მორგანისა და როკფელერის წარმომადგენლებს უფლებას აძლევს რუმინეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებისას კონცესიების სახით.

ნორვეგია.

მოწოდება ბოიკოტისაკენ ფინეთის თეთრგვარდიელების მიმართ.

ქრისტიანია. 19 აგვისტო. ფინეთში კომპარტიის დარბევის გამო, ნორვეგიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „არბეიტერ ბლადეტ" მოუწოდებს ნორვეგიის მუშებს ბოიკოტი გამოუცხადონ ნორვეგიაში მომავალ ფინეთის ბურჟუაზიულ გუნდს, რომელიც უმეტესად შესდგება თეთრგვარდიელებისაგან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ფინეთის პროლეტარული რევოლიუციის ჩაქრობაში.

სამხრეთ-სლავია.

სამხედრო წესები რკინისგზაზე.

ვენა. 18 აგვისტო, იმის მიზეზით, რომ რკინისგზელები თითქოს აპირებდენ ახალი გაფიცვის მოწყობას, სამხრეთ-სლავიის გზათა უწყებამ გადაწყვიტა გააგრძელოს სამხედრო წესები რკინისგზაზე. რკინისგზის პროფორგანიზაციებმა პროტესტი განაცხადეს. მუშების მასიურმა მიტინგმა ბელგრადში პროტესტი განაცხადა რკინის გზების მილიტარიზაციისა და მთავრობის ცდების წინააღმდეგ წაართვას მუშებს გაფიცვის უფლება. გაფიცულმა მეზღვაურებმა და მალაროების მუშებმა განაცხადეს, რომ ყოველის ღონისძიებით იბრძოლებენ მთავრობის განზრახვების წინააღმდეგ.

საბერძნეთი.

მდგომარეობა სერიოზულია.

ვენა. 18 აგვისტო. იტალიის ცნობების მიხედვით, საბერძნეთში მოსალოდნელია რევოლიუციონურ პარტიის აჯანყება და სამხედრო დიქტატურის შექმნა პლასტირასის მეთაურობით. საბერძნეთის მთავრობის წრეები კი აცხადებენ, რომ რევოლიუციონურმა პარტიამ თავისი მოღვაწეობა დაამთავრა ლოზანას საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერით.

ორი პარტიის ბრძოლა.

ვენა. 19 აგვისტო. საბერძნეთში მომავალ საარჩევნო კამპანიის დროს უმთავრესად იბრძოლებს ორი პარტია. პირველის სათავეში სდგას ყოფილი პრემიერი ზაიმისი, რომელიც ცდილობს რევოლიუციონური კომიტეტის დახმარებით შექმნას კოალიციონური მთავრობა, მეორე პარტიის სათავეში სდგას ლეგიტიმისტების ბელადი, გენერალი მეტოქსასი, რომელსაც მხარს უჭერს იტალია.

საბერძნეთის მეფის ცნობა.

პარიზი. 21 აგვისტო. მტკიცდება ცნობა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს იცნოს საბერძნეთის მეფე გიორგი. ცნობა მოხდება საფრანგეთის წარმომადგენლის მიერ ათინაში რწმუნების სიგელის გადაცემით. ამ აქტიდან საფრანგეთის მთავრობა დღემდე თავს იჭერდა. წინააღმდეგ პირველი ცნობისა, რწმუნების სიგელის გადაცემას არ აქვს კავშირი შინაურ პოლიტიკის საკითხებთან.

ინგლისი.

ბრიტანეთის იმპერიის კონფერენცია.

ბერლინი. 21 აგვისტო. ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია გაიხსნება ლონდონში ოქტომბრის 1-ს ბალდვინის თავმჯდომარეობით. კონფერენციის დღის წესრიგში დასმული ბრიტანეთის იმპერიის თავდაცვისა და სინგაპურის სამხედრო ბაზის საკითხი.

ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება.

ლონდონი. 20 აგვისტო. გამოქვეყნდა სტატისტიკური ცნობები საცხოვრებელ მინიმუმისა და უმუშევრობის შესახებ, საიდანაც სჩანს, რომ ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა უკან-უკან მიდის. უმუშევართა რიცხვი ივლისის გასულს უდრიდა 1.235.000 კაცს. ივნისთან შედარებით უმუშევართა რიცხვი 40.000 გაზრდილა.

კრიზისი.

ლონდონი. 18 აგვისტო. ინგლისის კომერციულ წრეებში გამეფებული შიში თავის გამოხატულებას ჰპოულობს „ლონდონის გაერთიანებულ სიტის და მიდლენდ-ბანკის" (უდიდესი ბანკია მსოფლიოში) ყოველთვიურ მიმოხილვის წერილებში, სადაც გულახდილათ ირჩევა ბრიტანეთის ვაჭრობის მდგომარეობა. ამ ბანკის გამგეობის თავმჯდომარეა მაკ-კენი,—ყოფილი კანდიდატი სახელმწიფო ხაზინის ლორდ-კანცლერის თანამდებობაზე. წერილებში აღნიშნულია, რომ ინგლისი, საგარეო ვაჭრობისაგან მისი უდიდეს დამოკიდებულების მიხედვით, ალბათ, ერთად ერთი სახელმწიფოა მთელს მსოფლიოში. საფრანგეთს და სხვა მრავალ ქვეყანას შეუძლია არსებობა დაკეტილ საზღვრებში, ინგლისისთვის კი ეს შეუძლებელია. **სრულიად აშკარაა იმ ფაქტის აბსოლიუტური მნიშვნელობა, რომ ინგლისის ექსპორტის რაოდენობა 1913 წელთან შედარებით 20 პროცენტით დაეცა. ამის ნაწილობრივ შედეგს წარმოადგენს ინგლისის უმუშევართა არმია 1 250.000 კაცით.** სრულიათ სწორ ცნობების თანახმად იმპორტის მდგომარეობა კიდევ უფრო სერიოზულია. 1913 წლიდან ბრიტანეთის მოსახლეობა 2 მილიონით გაიზარდა და, რათა მოსახლეობის კეთილდღეობის დონე შენარჩუნებულ იქნეს 1913 წლის სიმაღლეზე, ინგლისის ნაციონალური შემოსავალი შესაფერისათ უნდა გაზრდილიყო. „მაგრამ,—ნათქვამია ერთერთ წერილში,—ნაციონალურ დოვლათის დაგროვების უნარი შესუსტებულია ომის მიერ მოტანილ ზიანის, ინვალიდებისა და დაბეჩავებულების მაღალ პროცენტის გამო. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის შემადგენლობაზე მისი წარმოებითი ნაყოფიერებითი თვალსაზრისით, რადგან შემოსავალი ერთი პირისა, რომელიც ჩაბმულია შრომაში და რომელიც ხელფასს ბაზრის განაკვეთის მიხედვით იღებს. იყოფა უფრო მეტ უმუშევართა შორის, როგორიც არიან ბავშვები, ავადმყოფები, ომში დასახიჩრებულნი და სხვა, ვიდრე ეს ომამდე ხდებოდა. ასეთ პირობებში და თუ კიდევ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქვეყნის კეთილდღეობა თვალსაჩინოთ დაეცა, —ცხადია, რომ ბრიტანეთი დგას შემდეგი ალტერნატივის წინაშე: უნდა არჩეულ იქნეს ან მისი მოსახლეობის შემცირება, ან მისი ვაჭრობის თვალსაჩინოთ გაძლიერება".

მაკედონიის რევოლიუციის მე-20 წლის თავი.

კონსტანტინოპოლი. 20 აგვისტო. კონსტანტინოპოლის გაზეთები იუწყებიან, რომ 2 აგვისტოს სოფიაში მაკედონელთა ორგანიზაცია დღესასწაულობდა 1903 წლის რევოლიუციის მე-20 წლის თავს. დილიდან სოფიის სობოროს გარშემო და მახლობელ ქუჩებზე შეიკრიბა აურაცხელი ხალხი. ზეიმს დაესწრენ ბულგარეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული მაკედონელთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ორატორთა შორის გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარეც ცანკოვი, რომელმაც მოიხსენია მაკედონიის მწარე ბედი და ის უბედურებები, რომლებიც განიცადა ბულგარეთის ხალხმა სხვადასხვა დიპლომატიურ ინტრიგების გამო. ორატორების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მაკედონია ბალკანეთის კავშირის დამოუკიდებელი და თავისუფალი წევრი უნდა იყოს.

შეერთებული შტატები

ხორბლეულის ნათესების შემცირება.

ნიუ-იორკი. 16 აგვისტო. სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტის ცნობებით, ანეულის ნათესობამ 15 პროცენტით იკლო.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

იაპონია.

პოლიცია გაძლიერებული მუშაობს.

ტოკიო. 19 აგვისტო. პოლიციამ დააპატიმრა 130 გაფიცული მუშა ტოკიოში და 200 კაცი კიოტოში.

უნგრეთი.

მუშების უკმაყოფილება.

ვენა. 19 აგვისტო. ბუდაპეშტში, მუშა მელითონეების წარმომადგენელთა კრებაზე გაილაშქრეს უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს გაუბედავი მოქმედების წინააღმდეგ სიძვირესთან ბრძოლის და სამუშაო ხელფასის მტკიცე კურსით დარიგების საკითხში.

ორატორებმა განაცხადეს, რომ თუ პროფკავშირები ენერგიულად არ მოჰკიდებენ საქმეს ხელს, მაშინ მასები დამოუკიდებლათ იმოქმედებენ.

საბჭოთა კავშირში

გერმანიის ყოფ. რეიხს-კანცლერი ვირტი მოსკოვში.

მოსკოვი. 20 აგვისტო. მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის ყოფილი რეიხს-კანცლერი ვირტი.

საფრანგეთის სენატორი დემონზი მოსკოვში

მოსკოვი. 20 აგვისტო. სენატორი დემონზი ესტუმრა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კამენევს, საგარეო ვაჭრობის კომისარს ამხ. კრასინს და საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. პიატაკოვს.

სენატორი დემონზი ამხ. ჩიჩერინთან.

მოსკოვი. 19 აგვისტო. საფრანგეთის სენატორმა დემონზიმ ინახულა ამხ. ჩიჩერინი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

ერთიანი სახელმწიფო პურის ინსპექცია.

მოსკოვი. 18 აგვისტო. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა დებულება ერთიანი სახელმწიფოებრივი პურის ინსპექციის შესახებ, რომლის ამოცანას შეადგენს: ყოველწლიურად წინასწარ მოსავლის ხარისხის გამოკვლევა, ხორბლის მიღების კონდიციების დაწესება, ხორბლის გაწმენდის და წამლობის საკითხების და მოსავლის მავნეებთან ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავება და სხვ. პურის ინსპექციას, რომელიც სასურსათო სახ. კომისარიატის გამგებლობაში იმყოფება, აქვს საკუთარი ორგანიზაციები ყველა რაიონებსა, ელევატორებსა და ნავთსადგურებში.

რუსეთი.

ლემკეს გარდაცვალება.

მოსკოვი. 18 აგვისტო. გარდაიცვალა ცნობილი პუბლიცისტი—ისტორიკოსი ლემკე.

პროფ. იგნატიევის გარდაცვალება.

ტულა. 18 აგვისტო. გარდაიცვალა ტულას უნივერსიტეტის პროფესორი იგნატიევი, ასტრონომიასა და მათემატიკაში მრავალ შრომების ავტორი—ძველი კომუნისტი.

ოდესის სარკინიგზო სახელოსნოების 60 წლის იუბილე.

ოდესა. 20 აგვისტო. ოდესის მუშები დღესასწაულობენ ოდესის სარკინიგზო სახელოსნოების 60 წლის იუბილეს. რევოლიუციურ მოძრაობის ისტორიაში სახელოსნოების მუშები მუდამ მოწინავე რაზმებში იყვნენ. სახელოსნოებმა მოლოცვა მიიღეს კალინინისა, ტროცკისა, პეტროვსკისა, ძერჟინსკისა და სხვა ამხანაგებისაგან.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

კალმიკები გამოფენაზე.

მოსკოვი. 20 აგვისტო. მოსკოვში სრულიად საკავშირო გამოფენაზე ჩამოვიდა კალმიკების პირველი ჯგუფი რომელიც 30 კაცისაგან შესდგება.

სრულიად საკავშირო გამოფენა—რუსეთის ხალხის სიძლიერის მაჩვენებელია.

მოსკოვი. 20 აგვისტო. სრულიად საკავშირო გამოფენას დაესწრნენ მთელი დიპლომატიური კორპუსი და ამ ჟამათ მოსკოვში მყოფი უცხო სტუმრები—სენატორი დემონზი, ჩინეთის დელეგაცია, ინგლისელ მრეწველთა ჯგუფი ბალდვინის მეთაურობით, ამერიკის კონგრესის წევრი ფოში და სხვები. ყველა ისინი გამოფენაში ხედავენ რუსეთის ხალხის სიძლიერეს, რომელმაც მოკლე დროის განმავლობაში შესძლო ასეთი დიდი წარმოების შექმნა. გამოფენაში მრავალ უცხო სახელმწიფოების მონაწილეობა, უცხო სტუმრების აზრით, ხელს შეუწყობს განახლებულ რუსეთის ეკონომიურ დამოკიდებულებათა განმტკიცებას დასავლეთთან.

„ჩვენი გამოფენა და ჩვენი მომავალი"

„იზვესტია"-ს წერილი.

მოსკოვი. 21 აგვისტო. „იზვესტია"-ს მეთაურ წერილში „ჩვენი გამოფენა და ჩვენი მომავალი", ამხ. ნარიმანოვი სწერს: „სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა მდიდარ მასალას აძლევს გონებას და გრძნობას. აქამდე უნუგეშო მდგომარეობა იყო; ევროპით—არც ერთი ნაბიჯი წინ, მაგრამ ეხლა, როდესაც ხედავ, რის მიღწევა შევძელით ჩვენ—გული მაგრდება იმ შეგნებით, რომ იხსნება უდიდესი გზა აღორძინებისა და არა თუ მარტო საბჭოთა ქვეყნებისათვის, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთისთვისაც.

მთავარი რამ,—აღორძინება,—იწყება პროლეტარულ კულტურის დაკოჟრილ ხელებით. წარმოვიდგინოთ ხვალ იფეთქებს პროლეტარულ რევოლიუციის ცეცხლი დასავლეთში. ვისი საზრუნავათ დარჩება შემდეგში აღმოსავლეთის კულტურული განვითარება? ეს საქმე ჩვენს ხელში იქნება. ჩვენ ვიცნობთ აღმოსავლეთს, ჩვენ გვაქვს უდიდესი გამოცდილება, გვაქვს პროლეტარული სახელმწიფო. დასავლეთის პროლეტარული რევოლიუცია პოლიტიკურ და ეკონომიურ თავისუფლებას მიანიჭებს აღმოსავლეთს. მაგრამ აღმოსავლეთის წინ იმ თავითვე დადგება საკითხი, საიდან გამოიტანონ ყოველივე ის, რაც საჭიროა ახალ საზოგადოებრივ წესწყობილებისათვის.

მაშინ ჩვენ გავხდებით მთელი აღმოსავლეთის ყურადღების ცენტრათ, მოსკოვისაკენ დაიწყება ლტოლვა ახალ გზის, ახალ ცხოვრების ყველა მაძიებლების. ეს მისია მონიჭებული გვაქვს ჩვენ თვით ისტორიით. ამან უნდა გვაიძულოს ჩვენ შევისწავლოთ გამოფენაზე ყოველი ჩვენი ნაკლი და გავაათკეცოთ ჩვენი ენერგია, რათა მზათ ვიყოთ იმ დროისთვის, როდესაც ამას ისტორიული მომენტი მოგვთხოვს".

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

წვიმების შედეგი.

ბათომი. 20 აგვისტო. ნიაღვრებმა გაანადგურა სიმინდის ნათესები. ძალიან დაზარალდა ზემოაჭარის ვენახები. მთებზე თოვლი მოვიდა.

ამხ. სემაშკო აჭარაში.

ბათომი. 20 აგვისტო. რუსეთის სოც. ფედ. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო საქართველოს ჯანმრთელობის კომისრის თანხლებით ბათომში ჩამოვიდა. ამხ. სემაშკომ, აჭარის სამკურნალო დაწესებულებათა რევიზიის დროს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მალიარიასთან ბრძოლის საქმეს და მაზრაში სამკურნალო დახმარების მდგომარეობას.

საზღვრების თვალყური.

ბათომი. 20 აგვისტო. შავი ზღვის ფლოტილიის სამხედრო საზღვაო კომისარიატმა საზღვრების სამეთვალყუროდ აღადგინა გამანადგურებელი „პილკი", რომელიც ზღვაში ჩაუშვეს და მეთვალყურეობას უწევს კონტრაბანდას.

იაფი ქინა-ქინა.

ბათომი. 20 აგვისტო. აჭარის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვით, მალიარიის გავრცელების გამო, ფარმაციის განყოფილებამ მთელი მოსახლეობისათვის დააწესა დაბალი ფასები ხინაზე და სასაქმებელ ზეთზე ადგილობრივ აფთიაქებში. თითო მიღება ხინაზე 6 კაპეიკის ნაცვლად 3 კაპეიკი დაწესდა, სასაქმებელ ზეთზე კი 10 კაპეიკის ნაცვლად —5 კ.

სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

ბათომი. 20 აგვისტო. აჭარაში სასოფლო-სამეურნეო აღწერა, სასტატისტიკო ცენტრალურ ბიუროს ცნობებით, წვიმებისა გამო, კიდევ ერთის თვით გაგრძელდა.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა,
პარასკევს, 24 აგვისტოს
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგში დასმულ იქნეს საკითხი
„ოქროს მომგებიან სესხის შესახებ".
თეზისები გამოქვეყნებულია ყველა გაზეთებში.
ტფილისის კომიტეტის მდივანი—რუბენი.

პოლიტ პარტ-განმანათლებელი მუშაობა 1-ლ ლეგიონში.

ივლისის თვის განმავლობაში ცალ-ცალკე გუნდებში და ჯგუფებში ჩატარებულია პოლიტ-საათები 23-ჯერ შემდეგ თემებზე: გაცნობა ლეგიონის მეთაურების, გაცნობა დივიზიის მეთაურებისა, გაცნობა რევოლიუციის ბელადებისა, რისთვის და როდის დაარსდა ს. ს. რ. კავშირი, რომელი ავტონომიური რესპუბლიკები შედიან ს. ს. რ. კავშირში, ს. ს. რ. კავშირი და ბურჟუაზიული ქვეყნები, ძველი უფლება მემამულეების, მეფეების და ბურჟუების, იმპერიალისტური ომი, თებერვლის რევოლიუცია, ოქტომბრის რევოლიუცია, კომპარტიის დანიშნულება, ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. კავშირის შესახებ—4 საუბრათ, ამიერ-კავკასიის წარსული ისტორია, ამიერ-კავკასიის ისტორია ოქტომბრის რევოლიუციამდე, ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. კავშირის სახელმწიფოს ძირითადი წყობილება, წითელი არმია კავკასიაში, წითელი არმიის როლი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში, კავკასიის ცალკე არმია და ქართული ნაციონალური დივიზია, კავკასიის ცალკე არმიის ამოცანები ამიერ-კავკასიაში, გამოცდები და სხვა.

ზემოხსენებულ პოლიტ-საათს მთელი თვის განმავლობაში დაესწრო 9350 წითელ-არმიელი და 300 მეთაური. პოლიტ-საათს ვერ ესწრებოდენ მთელი შემადგენლობა, რის მიზეზი იყო პრაქტიკული სროლა, საგუშაგოზე გასვლა, შვებულება და ავადმყოფობა.

პოლიტ-საათი ტარდებოდა საუბრის მეთოდით. შეთვისება დამაკმაყოფილებელია. პოლიტ-საათისათვის პოლიტ-ხელები ემზადებიან დიდის ენერგიით. სულ თვის განმავლობაში იყო ასეთი დილის მეცადინეობა 15-ჯერ. პოლიტ-ხელების პოლიტ-საათისათვის მასალებს კრებდენ გაზეთებიდან და ჟურნალ „კრასნი ბოეციდან".

მეთოდიური თათბირი პოლიტ-ხელებისა იმართებოდა ორ კვირაში ერთხელ, სადაც ირჩეოდა მეთოდიური მხარე პოლიტ-საათის ჩატარებისა.

პოლიტ-მეცადინეობა მეთაურებთან იყო 7. მეთაურები დაინტერესებული არიან პოლიტიკის შესწავლით. დასწრება მათი უდრის 80 პროც. შეთვისებულის გასინჯვა ჯერ არ მომხდარა.

ივნისის დასაწყისში დაარსდა სამი პარტ. წრე, რომლებშიაც ირიცხება 121 კაცი. უპარტიოები ჯერ არ არიან ჩაწერილი. პარტ-წრის-მუშაობას ხელს უშლის პარტ-ძალების და წრეების ხელმძღვანელების დროის უქონლობა.

არსებობს პოლიტ-ცოდნის შემამოწმებელი კოლეგია, რომელიც დროის უქონლობის გამო, ძალიან სუსტათ მუშაობს.

წითელი კუთხეები მოწყობილია ყველა გუნდებში-კარვებში, რომლებიც გამშვენიერებულია რევოლიუციის ბელადების სურათებით და პლაკატებით. კუთხეებს აქვს კავშირი სამკითხველოსთან და კლუბთან. ხშირათ იმართება პოლიტ-ლატარიები, სადაც წითელ არმიელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ

პარტ-უჯრედები

ლეგიონში არსებობს სამი კომუჯრედი. პარტ-ამხანაგები რეგულიარულათ ესწრებიან კომუჯრედის სხდომებს და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას პარტ-აღმშენებლობაში

ნაგრი.

კომკავშირის რაჭის სამაზრო კომიტეტის ანგარიში ივლისში.

უმთავრეს მიღწევათ სამაზრო კომიტეტისა ივლისის თვეში ჩაითვლება ის ფაქტი, რომ ორგანიზაციაში, მიუხედავათ ახალი წევრების მიღების შეწყვეტისა, შემოდის აუარებელი განცხადებები კავშირში მიღების შესახებ. გარდა ასეთ „საალყო" მდგომარეობისა, განცხადებების სიმრავლის გამო, მაზკომს უხდებოდა რაიონებში, როგორიც არის: ონის, ჰებალოს და ამბროლაურისა ძალაუნებურად პასუხის გაცემა თვით ახალგაზრდების მიერ დაარსებულ უჯრედებზე. ასეთი გავლენით სარგებლობს ჩვენი კავშირი უპარტიო ახალგაზრდობაში და რომ ეხლა კავშირში მიღების ნება იყოს ორგანიზაცია გაიზრდებოდა ოთხასიდან რვაას წევრამდე.

გაუწია რა ანგარიში სამაზრო კომიტეტმა იმ გარემოებას, რომ მინდვრებში მუშაობის გამო შესაძლებელია კომკავშირში მუშაობის შენელება, ის რეგულიარულად გზავნიდა ადგილებზე ხან ინსტრუქტორებს, ხან პასუხისმგებელ ამხანაგებს რომელთაც ევალებოდათ ადგილების სინამდვილესთან შეფარდებით ეწარმოებიათ გეგმაშეწონილი მუშაობა. ამას გარდა მოხდა უჯრედების მდივნების გადარჩევა, რომ სამუშაოზედაც გამოყენებული იქმნენ ადგილობრივ კავშირის უფრო მომზადებული და სტაჟიანი წევრები; სამუდამოთ გამოსწორებულ იქმნა დისციპლინა, რამაც რამოდენიმე კავშირის წევრი ორგანიზაციის გარეშე დატოვა

ივლისში ქ. ონში გახსნილ იქმნა ორთვიანი პედაგოგიური კურსები, სადაც კომკავშირის მაზრკომმა შესძლო გაეგზავნა 20 ამხანაგი კავშირიდან. აგრეთვე ონში გახსნილ საბუღალტერო კურსებზე გაგზავნილ იქმნა 7 წევრი.

ჩატარდა კამპანია პრესის სასარგებლოთ, რომლისგან შეკრებილი ფული გადაიგზავნა კომკავშირის ცეკას საგამომცემლო განყოფილებას. მუშაობა პოლიტ-წრეებში მიმდინარეობს ზოგ-ალაგას რეგულიარულად, ზოგან კი [illegible] ონში კომკავშირისა და პარტიის წრეები მუშაობენ ერთად.

კომკავშირი ღებულობს მონაწილეობას საბჭოთა აღმშენებლობაში, როგორიცაა გზების გაყვანა და სხვა.

ეკონომიური ცხოვრება

საქართველოს ს. მ. უ. ს. სატყეო განყოფილებაში.

(მუშაობის მიმოხილვა ივლისის განმავლობაში)

სატყეო ტრესტი ივლისში აერთიანებდა სულ 23 წარმოებას, აქედან ამუშავებული იყო 17, იჯარით იყო გაცემული—1 და უმოქმედოთ იყო დატოვებული 5. 17 მომუშავე წარმოებიდან ტფილისში იყო ორი—სახერხი ქარხანა № 3 და გაერთიანებული წარმოებები—გრეხილი ავეჯის ქარხანა და ხის დასამუშავებელი სახელოსნო, პროვინციაში—15, აქედან 8 სახერხი ქარხანა და 7 ხე-ტყის დასამზადებელი რაიონი.

ქვემოდ მოგვყავს ცნობები მხოლოდ ტფილისის ორი წარმოების შესახებ ივლისის განმავლობაში ხოლო რაც შეეხება პროვინციების წარმოებებს, გარდა 4 სახერხი ქარხნისა და ორი ხე-ტყის დასამზადებელი რაიონისა, ცნობები ივლისში გაწეული მუშაობის შესახებ სიშორის გამო არ არის მიღებული და მოყვანილი ცნობები შეეხებიან ივნისის განმავლობაში გაწეულ მუშაობას.

ტფილისის ორ წარმოებაში და ცენტრალურ სამმართველოში ივლისში იყო 110 მუშა და 34 მოსამსახურე, პროვინციების 4 სახერხ ქარხანაში და 5 ხე-ტყის დასამუშავებელ რაიონში ივნისში იყო 94 მუშა და 35 მოსამსახურე. ტფილისის გაერთიანებულ წარმოებებში მოიპოვებოდა 17 საწარმოვო მუშა, გაწეულია 26 დღის მუშაობა შეუჩერებლად და დახარჯულია 1314 კვ. ვერშოკი სატყეო მასალა, ანუ 6 პროცენტი არსებული მარაგისა.

აღნიშნულ ნედლი მასალის რაოდენობიდან დამუშავებულია ხე-ტყის მასალა და დამზადებულია სხვა და სხვა გვარი ავეჯები (საწოლები, სავარძლები, სკამები და სხვ...) სულ 720 საგნის რაოდენობით ტფილისის სახერხ ქარხანაში № 3 ივლისში იყო 21 მუშა, გაწეული იყო 25 დღის მუშაობა, დაიხარჯა ნედლი მასალიდან 13599 კვ. ფუტი ანუ მთელი შრომის 48 პროცენტი. აქედან მიღებულია დახერხილი მასალის სახით 13.917 კვ. ვერ. ტფილისის სახერხი ქარხნის პროდუქცია წარსულ თვესთან შედარებით დიდ განსხვავებას არ შეიცავს არც საწარმოვო გეგმით, რომელიც საშუალოდ გამოიხატა 100 პროცენტით.

ფოთის და ნატანების ორ ქარხანაში იყო 53 საწარმოვო მუშა, აქედან ნატანების ქარხანაში—30 კაცი, გაწეულია 22 დღის მუშაობა 4 დღის შეჩერებით, რაც გამოწვეული იყო ნედლი მასალის სიმცირით. ფოთის ქარხანაში № 1 მუშაობდა 12 მუშა 16 დღის განმავლობაში, მუშაობა შეწყვეტილი იყო 10 დღით მანქანის შეკეთების გამო; ფოთის ქარხანაში № 2 მუშაობდა 11 კაცი 9 დღის განმავლობაში, მუშაობა შეწყვეტილი იყო 17 დღით იმავე მიზეზით, სულ აღნიშნულ ორ ქარხანაში დახარჯულია ნედლი ხე 16869 კვ. ფუტი, ანუ მთელი მარაგის 100 პროცენტი. დახერხილი სატყეო მასალა ივნისში უდრის 14864 კვ. ვერშ სამთავე დასახელებული ქარხნის პროდუქციამ, მუშაობის შეწყვეტის გამო, შეადგინა საწარმოვო გეგმის 50 პროცენტი.

ხუთ ხე-ტყის დასამუშავებელ რაიონში მუშების საერთო რაოდენობა უდრიდა 50 კაცს, აღნიშნულ რაიონებში დამზადებულია ივნისში და მიტანილია რკინის გზის მაგისტრალებთან და საწყობებში: დამზადებულია მორი—12787 კვ. ფუტი, მოტანილია 23896, დამზადებულია სვეტები—6056, გამოტანილია 6000, დამზადებულია შპალები—1130 და გამოტანილია—3319, დამზადებულია და გამოტანილი 9 ბოძი, დამზადებულია 25 კუბ. საჟ. შეშა, გამოტანილია 177 კუბ. საჟ

ხეების დამზადება უმეტესად ხდებოდა აწყურის რაიონში, სადაც ზემოდ აღნიშნულ რაოდენობიდან დამუშავებულია 9900 კვ. საჟ და გამოტანილია 18515 კვ. ფუტი.

წარმოებები სათბობ მასალით სავსებით უზრუნველყოფილი არიან, გარდა ტფილისის გაერთიანებულ წარმოებებისა, რომლებიც სათბობ მასალას ღებულობენ შეშით ს. მ. უ. ს. სათბობი მასალის განყოფილებაში.

ტფილისის გაერთიანებულ წარმოებაში და სახერხ ქარხანაში № 3 ივლისში განაწილებულია მაგარი და გრეხილი ავეჯი და დახერხილი მასალა (914053 ვერშ) სულ 5941 მ. ჩერ. რაოდენობის.

პროვინციის სახერხ ქარხნებში და ხე-ტყის დასამუშავებელ რაიონებში ივნისის განმავლობაში განაღდებულია დახერხილი მასალა—12137 კვ ვერ, მორი—24399 კვ. ფუტ., სვეტები—10410 კვ. ვერ., შპალები—3022 ცალი, ბოძები—299 ცალი და შეშა—38 კუბ. საჟ, სულ 22469 მ. 34 კაპ. (ჩერვ.) ღირებულების.

ტრესტის ყველა წარმოებები უზრუნველყოფილი არიან ნედლი მასალით, რომელსაც ღებულობენ ხე-ტყის დასამუშავებელ რაიონებიდან. ტფილისის ქარხანა ღებულობს მასალას აწყურის რაიონიდან; რაც შეეხება ტრესტი წარმოებების დაკვეთებს, შეიძლება ითქვას, რომ ტფილისის წარმოებები სავსებით უზრუნველყოფილი არიან 5 თვით და ამჟამად ღებულობენ დაკვეთებს საფეიქრო სინდიკატიდან და კომუნისტურ უნივერსიტეტიდან. სახერხი ქარხნებიდან ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ტფილისის სახერხი ქარხანა № 3, რომელიც აგრეთვე სავსებით უზრუნველყოფილია და ამჟამად ასრულებს ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის დაკვეთებს. დანარჩენი პროვინციის ქარხნები უზრუნველყოფილი არიან დაკვეთებით უმეტესად მაგარ დახერხილ მასალაზე.

ტრესტი ღებულობს ზომებს კონკურენტების თავიდან ასაცდენად, რომელსაც წარმოადგენენ რკინის გზა, რომელიც აწარმოებს დამოუკიდებელ დამზადებას და რუსეთის ტრესტები.

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(21 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	28,200
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	2,200
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	28,100
„ ჩეკები —	26,000
დოლარები ეფექტ. —	6,150
„ ჩეკები —	5,550
ოსმ. ქაღ. ლირა ეფექტ.	4,000
იტალიური ლირა — —	220
ფრანგული ფრანკი —	300
საბჭ. ფულის ნიშ.	19

მუშკოპის ფასები.

(21 აგვისტო).

პური გირ.—140 ათ. ნატეხი შაქარი—1.600 ათ., ფხვნილი შაქარი—1.250 ათ. ძროხის ხორცი—500-550. ცხვრის ხორცი—750. თუშური ყველი—750. ჰოლანდიური ყველი—800. მაკარონი—425. ვერმიშელი—400. ალდაშის ბრინჯი—300 ათ. ერევნის ბრინჯი—375. წითელი ლობიო—40 კარტოფილი—85. პამიდორი—175 ათ. ხახვი—125. ქვა მარილი—150. მარმარილოს საპონი—600. ბადრიჯანი ც. 25.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(21 აგვისტო).

პური 1 ხარ.—230-250, პური 2 ხარ.—150. ნატეხი შაქარი—1.600 1,800 ათასი. ფხვნილი შაქარი—1.350. ერბო 1.300—1.600 ათ. კარაქი—1.600—2 მილ. მზესუმზირას ზეთი—900. თუშური ყველი—800-900. იმერული ყველი—600 ათასი. ძროხის ხორცი 500—550, ცხვრის ხორცი—750—800. კარტოფილი—100. პამიდორი 250—300. კომბოსტო—150 ბადრიჯანი—25—50 ც. კვერცხები 10 ც. 600. ათასი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(21 აგვისტო).

ბორჯომის კანიფოლი. ფრანგული გაწმენდილი სკიპიდარი. იტალიანური კონსერვები. გაზისა და წყალსადენის მილები. ინგლისური თეთრი თუნუქი. გამომწვარი აგურები. მზესუმზირას ზეთი რუსეთის. ფანჯრის მინები. ბოთლები. კაუსტიური სოდა. რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. ს. მ. უ. ს. საფეიქრო, საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსსის. სახურავის რკინეულობა. ქაღალდი და კარტონები. რკინეულობა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(21 აგვისტოს).

უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. ადგილობრივი და ყუბანის ფქვილი. სალმასი კრასნოდარის. ცემენტი პორტლანდის შვეიცარული ყველი. მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი. ინგლისური შაბიამანი. ნახიჩევანისა და ბახმუტის ქვამარილი. ტომრები ცეილონის ჩაი. გოგირდი „ბუდა" ყუბანისა და ადგილობრივი ხორბალი. კარტონები. კალა. კანიფოლი. საკვები ფქვილი. ქერი. მზესიმზურას ზეთი.

ბირჟის საქონლის განყოფილების გარიგებანი.

(21 აგვისტოს).

ნარმა ხმელი 4 | 4, 0,08 ჩერ. მეტრი, ფრანკო—გამყიდველის საწყობი. ასანთი „ლენინის სახელობის" ქარხნის 1,6 ჩერ. ყუთი გადახდილი აქციზით, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

თბილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

თბილისის საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება 21 აგვისტოს, წინა დღესთან შედარებით უცვლელია.

გორის მაზრის მენშევიკურ ორგანიზაციის ყოფილ წევრთა კონფერენცია

კონფერენციის გახსნა.

ხუთშაბათს, 2 აგვისტოს, ქ. ხაშურში, ე. ი. იმ ადგილს, რომელიც საქართველოში მუშათა მოძრაობას ყოველთვის ერთგვარ ტონს აძლევდა, გაიხსნა გორის მაზრის მენშევიკური ორგანიზაციის ყოფილ წევრთა კონფერენცია. კონფერენციას ხსნის საინიციატივო ჯგუფის სახელით ამხ. ნიკო მიქაძე.

ნიკო მიქაძის სიტყვა.

ხაშურის რაიონის საინიციატივო ჯგუფის სახელით დღევანდელ სამაზრო ყოფილ მენშევიკთა კონფერენციას გახსნილად ვაცხადებ (ინტერნაციონალი).

მე მსურს ინფორმაციის სახით გაგაცნოთ ის მუშაობა, რომელიც სწარმოებდა ქ. ხაშურში ჯერ სარაიონო კონფერენციის და შემდგომ სამაზრო კონფერენციის მოსაწვევად.

საინიციატივო ჯგუფში შედიოდა 11 ამხანაგი, რომლებმაც ტონი მისცეს მთელს მაზრას ამ ყრილობის მოსაწვევად. ჩვენი მიზანი იყო გადაფასება ჩვენი წარსულისა, აწონდაწონვა ჩვენი აწმყოსი და გათვალისწინება მომავლისა. ჩვენ გვსურდა მოგვეხდინა ერთგვარი გადახალისება და, აი, ეს გადახალისება თქვენს წინ გადმოიშალა. ქ. ხაშურში მოხდა მრავალრიცხოვანი კრება მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრებისა, რომელსაც მრავალი კომუნისტებიც ესწრენ. ყოფილი პარტიის წევრები გარკვეულად და ნათლად მოვიდნენ წარსულის შესაფასებლად, ერთხმად გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლითაც ისინი ჰგმობდენ წარსულს და თავის მომავალ ბედს უკავშირებდენ იმ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს დღეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს, ე. ი. კომუნისტურ პარტიას. და აი დღეს, ხაშური, როგორც ყოველთვის ერთგვარი ტონის მიმცემი მთელი მაზრისა, როგორც ადგილი, სადაც პირველად ჩაისახა მძლავრი მუშათა მოძრაობა, იწვევს კონფერენციას, **რომლის მიზანია დაშალოს ყოფილ მენშევიკთა გორის მაზრის ორგანიზაცია** და თვისი ხმა შეუერთოს საქართველოს დანარჩენი კუთხეების გამორკვეულ მუშათა ხმას. ცნობს რა ამ კრებას, საინიციატივო ჯგუფის სახელით წინადადებას ვიძლევი არჩეულ იქნენ კონფერენციის საპატიო თავმჯდომარეებათ: 1) სტალინი, 2) ფ. მახარაძე, 3) ს. ფარნიევი და 4) მიხა ცხაკაია; თავმჯდომარეებათ: 1) ვ. მურვანიშვილი, 2) ნ. [illegible], 3) არ. როსტომაშვილი, 4) ლ. მანჯგალაძე, 5) მ. მუხურაძე, 6) [illegible]. მდივნებათ: 1) ნ. მიქაძე, 2) გ. ვარდოიანი და 3) შ. გაჩეჩილაძე; ხოლო სამანდატო კომისიაში: 1) ბ. ტურაშვილი, 2) ლ. ბერაძე და 3) არ. ელისაშვილი.

სია ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება რუსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ—აკ. ჭუმბურია.

2) საქართველოს სოციალ-დემოკრატია 1921 წლამდის. ს. ფარნიევი.

3) მენშევიკური პარტიის არალეგალური მუშაობა—კ. შენგელია.

4) არჩევნები სრ. საქართველოს ყოფ. მენშევიკების ყრილობაზე.

5) მიმდინარე კითხვები.

შემუშავებულ იქნა რეგლამენტი, რომლის ძალით ს. ფარნიევს მოხსენების გასაკეთებლათ მიეცა 1 საათი, დანარჩენ ორატორებს 40 წუთი, მოკამათეებს 10 წუთი და თუ მეორედ მოისურვეს კამათი—5 წუთი.

ამხ. ჭუმბიას მოხსენება.

ამხანაგებო! ჩემს მოხსენებას რუსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ არა აქვს პირდაპირი დამოკიდებულება ჩვენს კონფერენციასთან, მაგრამ მე მაინც მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს გაშუქებულ იქნეს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა საბჭოთა რუსეთისა მისი მე-6 წლის ბატონობის თავზე.

ამხანაგებო! დღეს კაცობრიობის ისტორიაში ვამჩნევთ ერთგვარ გადაჯგუფებას ორი ბანაკის ირგვლივ: ერთს ბანაკშია პროლეტარიატი, რომელიც იბრძვის საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლათ პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით, და მეორეს მხრივ—ანტანტა, რომლის მიზანია რევოლიუციის დამარცხება და იმპერიალისტურ ზრახვათა განხორციელება. პირველს ხელმძღვანელობს აი უკვე მე 6 წელიწადია—საბჭოთა რუსეთი, ხოლო მეორეს—ფაშიზმი. საბჭოთა რუსეთში დღეს კლასთა გადაჯგუფებას ფართო ხასიათი აქვს და ჯგუფები მიილტვიან საბჭოთა ხელისუფლების ორიენტაციის გზით. ეკლესიაც კი იცავს საბჭოთა რუსეთის ორიენტაციას. რუსეთში დაარსდა ეგრედ წოდებული „ცოცხალი“ ეკლესია, რომელსაც საფუძვლად ახალი პრინციპები დაედო. საბჭოთა ხელისუფლებას სცნობენ ეგრედ წოდებული „სმენავეხოვცები“. რუსეთის სოციალისტურ პარტიებსაც აღარ შეეძლოთ დარჩენილიყვნენ ძველ გზაზე და ძველ ხიდზე, და აი რუსეთში ოდესღაც ძლიერ პარტიას, ესერების პარტიას ჰქონდა ყრილობა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ამ პარტიის გაქარწყლება, გათქვეფა. დღეს ესერების პარტია არარაობას წარმოადგენს. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, იგი ყოველთვის სუსტი იყო რუსეთში და დღეს მისი ჩანასახიც აღარ არსებობს. ამ პარტიის დახმარებით თებერვლის რევოლიუციის შემდეგ აშენდა ბურჟუაზიული ხუხულა, მაგრამ დაჰბერა ოქტომბრის რევოლიუციის გრიგალმა და ხუხულა იგი დაინგრა, რითაც დამტკიცდა ამ პარტიის უძლურება. დღეს არც ერთი სოციალისტური პარტია რუსეთში არ წარმოადგენს ცოცხალ ძალას. ერთადერთი ცოცხალი, მამოძრავებელი ძალა არის კომუნისტური პარტია. ოქტომბრის რევოლიუცია პროლეტარული რევოლიუცია არის და აკი რუსეთის მშრომელი მასებიც გადიხარენ ამ რევოლიუციისაკენ. ეს გადახრა ემჩნეოდა უფრო სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. მას ადგილი ჰქონდა დიდ სამრეწველო ცენტრებში. მუშები ჰგმობენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ტაქტიკას და აღიარებენ საბჭოთა სისტემას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აქაც ხდებოდა ასეთი თანდათანობითი გადაჯგუფება და აი დღევანდელი კონფერენციები მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრებისა ამის ნათელი დამამტკიცებელია. ვინ დარჩა ეხლა თავის ძველ გზაზე?—ემიგრაცია და მეორე ინტერნაციონალი. ემიგრაცია გაწიწმატებულია შექმნილი მდგომარეობით. იგი ამბობს, რომ მიზეზი ამ გარდატეხისა და მენშევიკური პარტიის რიგების დატოვებისა მისი ყოფილი წევრების მიერ ეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემოღებული რეპრესიებია. მაგრამ დაე იცოდენ მათ, რომ რეპრესიებს აქვს ადგილი და ექნება მომავალშიც. მტკიცე პროლეტარული ხელისუფლების დამყარებისათვის აუცილებელია რეპრესიები მათ წინააღმდეგ, ვინც რევოლიუციის დასამარებისათვის იბრძვის. მაგრამ რეპრესიებს არ შეუძლიათ გამოიწვიონ მასიური გარდატეხა. რეპრესია გარდაქმნის ერთს ან ორ პიროვნებას, მაგრამ იგი ვერაფერს ვერ უზამს მასიურ მოვლენას. მასის გარდაქმნა შედეგია მისი შეგნებისა, ხოლო ამ შეგნებას ჰქმნის ამ მასის საზოგადოებრივი მდგომარეობა. მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას და არა ხიშტები. მაშასადამე ემიგრაციის აზრი, რომ თითქოს ამ გარდატეხის მიზეზი რეპრესიებია—სიცრუეა.

ამხანაგებო! მენშევიკების ბატონობის დროს მთელი ჩვენი ენერგია მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების დამცირებისაკენ. ჩვენ ყველგან ყოველთვის გავიძახოდით, რომ ბოლშევიკებმა დაანგრიეს და დაარღვიეს ყველაფერი და ახალი კი ვერ შექმნესო. ეხლა კი ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ ეს დანგრევა ზოგიერთ სფეროებში აუცილებელი და მიზანშეწონილი ყოფილა. წითელი ლაშქარი,—ეს სიამაყე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირისა,—არ შეიძლება შემდგარიყო ნიკოლოზის მიერ ნაანდერძევ ძველი ლაშქრისაგან. ძველი არმია ყოველთვის შეუფერებელია ამა თუ იმ რევოლიუციისათვის. ჰგრძნობდა რა ამას, საბჭოთა ხელისუფლებამ მიმართა ჯარს დაშლილიყო. დიახ, მან დაანგრია ძველი არმია და ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შეუდგა წითელი ლაშქრის შედგენას. და აი დღეს ჩვენ საქმე გვაქვს ჯარის მძლავრ ორგანიზაციასთან, რომელიც შიშის ზარს სცემს ანტანტის სახელმწიფოებს. მაშასადამე დანგრევა იყო გამოწვეული აუცილებლობით. უნდა დაგვენგრია ძველი, რომ მის ნანგრევებზე აღმოცენებულიყო ახალი სახელმწიფო. ყოველივე რევოლიუცია ჰგულისხმობს დანგრევას და სისხლის ღვრას; იგი არ გულისხმობს ქორწინებას და ზეიმს. ასეთივე იყო 1789 წ. რევოლიუცია საფრანგეთში. ბურჟუაზია უსაყვედურებს პროლეტარიატს სისხლის ღვრას და დანგრევას, მაგრამ თვით ამ ბურჟუაზიამ აწამა მეფე ლიუდვიგ მეთექვსმეტე. ერთი „კოზირი“ აქვთ ხელში საბჭოთა ხელისუფლების მტრებს,—ეს არის ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება. ამხანაგებო! ახალი ეკონომიური პოლიტიკა გამოწვეული იყო აუცილებლობით; იგი არის ეტაპი ბურჟუაზიული საზოგადოებიდან სოციალისტურ საზოგადოებაზე გადასვლის. მარქსიზმი არ არის მეცნიერება, რომელიც მოითხოვს გადაჭიუტებულ სვლას ან მარცხნივ ან მარჯვნივ. ამ შემთხვევაშიც ობიექტიური პირობები უკარნახებდენ საბჭოთა ხელისუფლებას შემოეღო ახალი ეკონომიური პოლიტიკა. და სწორედ ამ პოლიტიკამ შეიძინა შესაფერი კლასიური დეგრადაცია რუსეთის სინამდვილეში. რევოლიუციის მტრებს ეგონათ, რომ რაკი საბჭოთა ხელისუფლებამ ფეხი შესდგა დათმობის გზაზე, იგი დაიღუპება, მაგრამ ემიგრაციის იმედები არ გამართლდა. ყველა მსხვილი ინდუსტრიალური ერთეულები რუსეთის ხალხის ხელში იმყოფება, რაც შეეხება ნეპონურ ბურჟუაზიას, იგი მთავრობამ გამოიყენა არა როგორც მეპატრონე, არამედ როგორც ტეხნიკური პერსონალი. იგი მოკლებულია ყოველგვარ პოლიტიკურ ძლიერებას, იგი არარაობას წარმოადგენს. აღარ გავაგრძელებ ბევრს. შევეხები მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა სასურველად გადაჭრა, საბჭოთა ხელისუფლების აზრით, რევოლიუციის სრულ გამარჯვებას მოასწავებს.

პირველი კითხვა ხელისუფლებისათვის,—ეს არის გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის აღორძინება. მართლაც რუსეთი გლეხობის ქვეყანა არის და ხელისუფლებამ დამკვრელ ამოცანად გაიხადა მუშაობა სამეურნეო ცხოვრების აღორძინებისათვის. ხელისუფლება ჰგრძნობდა, რომ რევოლიუცია მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებდა, როცა ის ჰპოვებდა რუსეთის სინამდვილეში ისეთ მოკავშირეს როგორიც გლეხობა არის.

მეორე კითხვად დასმულია გლეხობასთან დაახლოვების კითხვა. უმთავრეს შემოსავალ წყაროს რუსეთის გლეხობისათვის პური და ნედლი მასალა შეადგენდა. ინგლისის მრეწველობა რუსეთის ნედლი მასალით საზრდოებდა. მაგრამ რევოლიუციას დროებით თან მოჰყვა ტრანსპორტის დაშლა. რუსეთი ვეღარ აწვდიდა თავის ნედლ მასალას უცხო სახელმწიფოებს. და ევროპის ბაზარი ხელში ჩაიგდო ამერიკის და კანადის კაპიტალმა. ნედლი მასალა თვით რუსეთში ეძებს ბაზარს და ეს კი იწვევს ფასების დაცემას სასოფლო-სამეურნეო საგნებზე, ფაბრიკატებთან შედარებით. მრეწველობის განვითარება დამოუკიდებელია იმ მოთხოვნილებისაგან, რომელიც არსებობს მასებში. ამიტომ დღევანდელი ლოზუნგია: „смычка с крестьянством“, „კავშირი გლეხობასთან“, „სოფლის კავშირი ქალაქთან“. მხოლოდ ასეთი შეკავშირებით და გლეხობასთან შედუღებით განმტკიცდა და მომავალში უფრო მეტად განმტკიცდება რევოლიუცია. ამ რიგად რუსეთის რევოლიუციას ღრმა ფესვები აქვს. ის არ არის არც მახნოვშჩინა, არც პარტიზანშჩინა. თუმცა კონტრ-რევოლიუციონერები იძახდენ: „ჩვენ ვაძლევთ საბჭოთა მთავრობას ერთი თვის არსებობის ვადასო“. მაგრამ რუსეთის რევოლიუციონური პროლეტარიატი დღეს აღრმავებს თავის მოქმედებას და მტკიცე საფუძველს უყრის პროლეტარიატის დიქტატურას; რევოლიუცია რუსეთისა ეკონომიური სინამდვილის მიერ გამოწვეული გარდაქმნა იყო და ყოფილ მენშევიკთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უსარგებლო და მიზანშეუწონელი ავანტიურა. ამიტომ დღეს ჩვენ აშკარად გულახდილი რევოლიუციონური გამბედაობით უნდა ვაღიაროთ, რომ მენშევიზმის გზა არ შეეფერება რევოლიუციას, იგი მიმართული იყო რევოლიუციის დამხობისაკენ. დღეს კი ჩვენს მოვალეობას შეადგენს ჩავდგეთ კომუნისტურ პარტიის რიგებში და მასთან ერთად ხელი შეუწყოთ რევოლიუციის განმტკიცებას.

გაუმარჯოს თქვენს რევოლიუციონურ წარსულს!

გაუმარჯოს თქვენს რევოლიუციონურ მომავალს!

ამხ. ფარნიევის მოხსენება.

ამხანაგებო! საინიციატივო ბიუროს სახელით მოგესალმებით დღევანდელ ისტორიულ დღეს. დღეს ხდება ჩვენი წარსული მოღვაწეობის დაფასება, აწონ-დაწონვა. საინიციატივო ბიურო არ ჰკარგავდა იმედს, რომ ყველა გულწრფელი რევოლიუციონერი, ქართველი მუშა, ქართველი გლეხი არის მომზადებული იმ გზისათვის, რომ მოხდეს გადაფასება ჩვენი წარსული მოღვაწეობისა.

იმედი გვქონდა და გამოჩნდა, რომ ჩვენ მართალი ვიყავით, ჩვენ არ ვცდებოდით. სრულიად საქართველოს მომავალმა კონფერენციამ უნდა გადასწყვიტოს ისტორიულად მნიშვნელოვანი საკითხი,—გადაფასება ჩვენი წარსული რევოლიუციონური მოღვაწეობისა და დადგომა ან ერთ გზაზე, ან მეორეზე. ერთი გზა არის,—გზა რეაქციისა, გზა კაპიტალისტური იმპერიალიზმისა, რომლის ხელმძღვანელი ანტანტა გახლავს; მეორე,—რევოლიუცია. ჩვენ უნდა ავირჩიოთ ერთი ამ გზათაგანი. და ჩვენი რევოლიუციონური ბუნება მოგვიწოდებს პროლეტარიატის გზისაკენ. ამ გზისაკენ მოგიწოდებთ თქვენც, ძვირფასო ამხანაგებო და თქვენც, დარწმუნებული ვართ, გულწრფელად გამოსთქვამთ თქვენი გულის ნადებს.

ამხანაგებო! საქართველოს მშრომელი ხალხის რევოლიუციონური მოღვაწეობა არ არის ჯერ ჩამოყალიბებული ქაღალდზე, არ არის აღწერილი ისტორიის ფურცლებზე. საქ. მშრომელ ხალხს არ აქვს საშუალება ჩაიხედოს ისტორიის სარკეში და დაინახოს გზის სისწორე და სიმრუდე. რევოლიუციონური მოძრაობის წინამორბედი საქართველოში არის ეგრედწოდებული მესამე დასი. დანიელ ჭონქაძე და ეგნატე ნინოშვილი, აი ის მწერლები, რომლებიც პირველად შეეხნენ საქართველოს სოციალურ მდგომარეობას, აღწერეს საშინელება ბატონყმობისა, რომლის მოწმენი იყვნენ ალბად ზოგიერთ აქ დამსწრეთა მამები. სოციალ დემოკრატიულ პარტიას, როგორც ასეთს საფუძველი ჩაეყარა 1900 წელს, მაგრამ თქვენს შორის ალბად არიან ისეთი რევოლიუციონერები, რომლებიც 1900 წლამდისაც მუშაობდენ. მესამე დასის მუშაობა მიმართული იყო ფეოდალების წინააღმდეგ. დასელები მოითხოვდენ ხალხის თავისუფლებას, მაგრამ 1900 წლამდის პარტიულად ჩამოყალიბებული ჯგუფები, რომელთაც განსაზღვრული პროგრამა ახასიათებთ, ჩვენში არ არსებობდენ. კლასიურ დანაწილებას ადგილი არ ჰქონია. იყო წოდებრივი დანაწილება: ერთის მხრივ თავადაზნაურობა, რომლის წინააღმდეგ ყველა იბრძოდა და მეორე მხრივ მშრომელი გლეხობა. ბრძოლა გაბატონებულ კლასის წინააღმდეგ ერთგვარ მოდათ იყო გადაქცეული; მაგრამ არც ერთი ჯგუფი საზოგადოებისა, ცოტად თუ ბევრად რევოლიუციონურად განწყობილი, არ მოექცა მუშათა კლასის რიგებში, არამედ მარჯვნივ გადაიხარა. ასეთ ჯგუფებს რუსეთში ეკუთვნიან „ნაროდოვოლცები“ და „დეკაბრისტები“ საქართველოშიც იყო აჯანყება რევოლიუციონური ხასიათისა, მაგრამ ამ აჯანყებას არისტოკრატია ხელმძღვანელობდა. არისტოკრატიის და მუშათა გზა კი სხვადასხვა იყო. ერთი რამ აერთებდა ზემოდხსენებულ ჯგუფებს და მუშებს,—ეს იყო ბრძოლა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა სწარმოებდა ერთად იქამდის, სანამდის არ მოხდა კლასობრივი ჩამოყალიბება. კლასობრივად ჩამოყალიბებას კი ხელი შეუწყო წარმოების გაფართოვებამ. წარმოების გაფართოვებასთან ერთად ჩაისახა პროლეტარული ორგანიზაციები. ევროპის სოციალისტური ლიტერატურა მოეფინა რუსეთის მშრომელთა მასას და შეიტანა მასში გათვითცნობიერება, თვისი კლასიური ინტერესების შეგნება საქართველოში კი ეს ასე არ ხდებოდა. ჩვენი ბუნება ნახევრად პროლეტარულია, ვინაიდან ჩვენ ერთსა და იმავე დროს პროლეტარებიც ვართ და კერძო მესაკუთრენიც; და ამიტომაც არის, რომ აღარ შევხვდით რევოლიუციას გულახდილად. მართალია მუშები აწარმოებდენ ოპოზიციას, როდესაც სწარმოებდა ბრძოლა სომხის პლუტოკრატიასა და ქართველ თავადაზნაურთა შორის, მაგრამ ვინაიდან ჩვენ პრესა არ გვქონდა, ამიტომ უშვებდით შეცდომებს და ხშირად გვიხიდავდა ის, რაც „ივერიის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა. მაგრამ ჩვენშიაც დაჰბერა კაპიტალისტური წესწყობილების სიომ და ჩვენი მუშებიც თანდათან ეცნობიან ინტერნაციონალის მიზნებს. პროლეტარიატი ჩამოშორდა ორჭოფულ, ორაზროვან ბრძოლას, მას აღარ აინტერესებს ბრძოლა ბანკებისა და ან მამულების გადაგირავების საკითხი. პროლეტარიატის მიზანი სხვა იყო. ეს მიზანი—პროლეტარიატის ბედნიერება. და აი ჩვენ განუყრელად ვიყავით დარაზმული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენში მოიკიდა ფეხი წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგიამ. ჩვენ ამ გზით ვიზრდებოდით და, უნდა მართალი ითქვას, მენშევიკებმა ამ მხრივ საუკეთესოდ აღზარდეს ქართველი მშრომელი ხალხი ჩვენ არ ვუქცევდით გვერდს რევოლიუციონურ დროშას. მაგრამ 1917 წლის შემდეგ ჩვენ მოვექეცით რუსეთიდან ცხრა სახელმწიფოს აქეთ, მოვიწვიეთ საქართველოს დამფუძნებელი კრება და დავაარსეთ დემოკრატიული რესპუბლიკა. 130 წევრიდან 109 დეპუტატი დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. მაგრამ ჩვენ ავუხვიეთ გვერდი რევოლიუციას და დავიწყეთ მოკავშირეების ძებნა და ეს შეცდომა მომდინარეობს თავიდანვე. ჩვენ, მენშევიკები ვიძახდით, რომ რუსეთის რევოლიუცია იქნება ბურჟუაზიული; ბოლშევიკებიც იზიარებდენ ამას. მათაც არ ეგონათ, რომ რევოლიუცია იქნება სოციალური, პროლეტარული. ცნობილმა სოციალ დემოკრატმა პლეხანოვმა ანკეტები დაუგზავნა ევროპის სოციალისტებს და ეკითხებოდა მათ: რუსეთის რევოლიუცია სოციალისტური იქნება თუ ბურჟუაზიულიო. საფრანგეთის სოციალისტის გედის გარდა ყველამ სთქვა, რომ რუსეთის რევოლიუცია არც სოციალური იქნება და არც ბურჟუაზიულიო. კ. კაუცკი ამბობდა, შეიძლება რუსეთის რევოლიუცია დარჩეს ქალაქში სოციალისტური ხოლო სოფელში ნახევრად სოციალისტურიო. და მართლაც ქალაქში ბურჟუაზიას უფლება აქვს მოსპობილი, ხოლო სოფელში კი ნახევრად სოციალისტურია. ბოლშევიკები რაზმავდენ მუშათა და გლეხთა რაზმებს, რომ მომავალი რევოლიუცია ბურჟუაზიული კი არა, მშრომელი ხალხის ყოფილიყო. შეიძლება მათ ნაკლი ბევრი ჰქონდეთ, მაგრამ მათი პრინციპი სწორი გამოდგა. 1917 წლამდის ჩვენ ამას ვერ ვხედავდით, რადგანაც არც ესენი და არც ჩვენ სახელმწიფოს მართვაგამგეობაში გამოცდილი არ ვყოფილვართ. ჩვენში ის გარჩევა იყო, რომ ჩვენ ვამბობდით, ვინაიდან ჩვენ კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილი ვართ, ამიტომ ამ გზით არ შეგვიძლია აღვზარდოთ მშრომელი ხალხიო. ეს ჩვენში შეცდომა იყო. ჩვენ არ გვსურდა გაგვეწყვიტა კავშირი ბურჟუაზიულ—ოპორტიუნისტულ პარტიებთან. ასეთი უიმედობით მივდიოდით წინ რევოლიუციის გზით. მართალია ჩვენც ვქმნიდით საბჭოებს; იდევნებოდენ მამასახლისები, ბოქაულები და მათს ადგილს გლეხთა და მუშათა საბჭოები იჭერდენ,—მაგრამ ჩვენი ნაბიჯი ყოველთვის გაუბედავი იყო პროპაგანდა-აგიტაციის მხრივ ჩვენ პრაქტიკულად არ ვსვამდით არასოდეს საკითხს ისე, რომ ამავე დროს არ დაგვეთმო ბურჟუაზიის წარმომადგენლებისათვის. ბოლშევიკები კი იძახდენ, რომ უნდა იყოს შემოღებული მუშათა და გლეხთა ხელისუფლება და ასეთი მთავრობის მიერ მოწვეული დამფუძნებელი კრება უფრო რევოლიუციონური იქნებაო. ბოლშევიკებმა აიღეს ალღო; ისინი მიხვდენ, რომ ბურჟუაზიასთან კავშირი არც დღეს და არც არასოდეს საიმედო არ იქნებოდა. ჩვენ ვამბობდით, რომ ჩამოვშორდით რუსეთს იქამდის, სანამდის იქ მოწვეული არ იქნება დამფუძნებელი კრება და არ გამოცხადდება დემოკრატიული რესპუბლიკა. არც თვით ნოე ჟორდანიას ჰქონია მიდრეკილება რუსეთის ჩამოშორებისადმი. ამით არ ვამბობ, რომ მე თითქოს წინააღმდეგი ვიყო საქართველოს დამოუკიდებლობისა. არა, არც მარქსიზმი და არც კომუნიზმი ამას არ უარყოფენ. თვით ლენინი აცხადებდა, რომ რუსეთის მიერ დაპყრობილი განაპირა ერები მოვალენი არიან მოითხოვონ დამოუკიდებლობაო, **მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ განთავისუფლებულმა ერმა თავისი ძალა დაუ[illegible]**

სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა

გაიხსნება

ტფილისში 25 აგვისტოს.

დღის წესრიგი:

1. ამხ მარტინოვის მოხსენება.
2. საქ სოც.-დემოკრატიის ტაქტიკა და პარტიის თვითლიკვიდაცია. (მომხ. ამხ ჭუმბურიძე).
3. საბჭოთა აღმშენებლობა. (მომხ. ამხ. ფარნიევი).
4. ეროვნული საკითხი. (მომხ. ამხ. ა რუხაძე).
5. დეკლარაცია.
6. მიმდინარე საქმეები.

საინიციატივო ბიურო.

სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობის მომწვევ ბიუროს მიერ

23 აგვისტოდან

გამოცემული იქნება ქართულ-რუსულ ენაზე

ბიულეტენი,

სადაც იქნება ვრცელი ინფორმაცია ყოფილ მენშევიკთა კონფერენციების შესახებ.

ბიულეტენში იქნება აგრეთვე წერილები ტაქტიკურ და პრინციპიალურ საკითხებზე და მომავალი ყრილობის დღის წესრიგში დასმულ მოხსენებებზე.

სარედაქციო კოლეგია სთხოვს ამხანაგებს მიაწოდონ რედაქციას წერილები და ინფორმაცია კონფერენციების მუშაობის შესახებ.

რედაქცია მოთავსებულია რუსთველის პროსპექტზე № 24.

რკინის, ნახშირისა და ნავთის იმპერიალისტური პოლიტიკა

(გაგრძელება *).

მაგრამ თუ გერმანეთის კაპიტალისტები ასეთს იმპერიალისტურ გეგმებს ის ხავდენ საფრანგეთის ტერიტორიის მიმართ, თვით საფრანგეთის კაპიტალისტებსაც არა ნაკლები მადა აღმოაჩნდათ და არა ნაკლებ სურდათ გერმანეთის მდიდარი ქვანახშირის რაიონები შეეუღლებინათ თავიანთი ბატონობის ქვეშ ბრიეს რკინის მადნებისათვის. როგორც აღვნიშნეთ პირველ წერილში ქვანახშირის მხრით საფრანგეთი ყველაზე უფრო ღარიბი ქვეყანა იყო ევროპაში. ამიტომ უზრუნველყოფა ქვანახშირითა და განადგურება გერმანეთის მეტალურგიულ ინდუსტრიისა, მთავარ ამოცანათ გადაიქცა საფრანგეთის იმპერიალისტებისათვის. „საფრანგეთი უნდა შეიქმნეს ქვანახშირის უდიდესი მპყრობელი“. აი პროგრამა, რომელსაც აყენებდენ საფრანგეთის იმპერიალისტები. (იხ. მ. პავლოვიჩი. „იმპერიალიზმი“ გვ. 213).

1916 წელს გაზ. „ლ-ენფორმასიონ“-ის რედაქტორმა, შავენონმა, შემდეგ სიტყვებში გადაშალა საფრანგეთის იმპერიალიზმის პროგრამა:

„თანამედროვე ომი ან საბოლოოდ სანქციას უზამს საფრანგეთის მდგომარეობას, როგორც პირველ ხარისხოვან მპყრობელს, და მისცემს მას რესურსებს, რომელნიც უზრუნველჰყოფენ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მის ლტოლვას, ან საფრანგეთი დაეცემა მესამე რიგის სახელმწიფო მდგომარეობამდე და დამოკიდებული იქნება ავაზაკ სახელმწიფოების ბოროტი და კეთილი სურვილებისაგან. ასეთს პირობებში ბასეინ ბრიესა და ელზას-ლორენის ფლობას ექნება უდიდესი მნიშვნელობა. დაიუფლებს რა ამ ოლქის რკინის მადნებსა და ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნებს და აგრეთვე საარის ბასეინის ქვანახშირსა, საფრანგეთი გადაიქცევა პირველ ხარისხოვან ინდუსტრიალურ მპყრობელი, მას ექნება ყოველი აუცილებელი პირველი საჭიროების მასალები ეკონომიური ბრძოლისათვის, და თუ მისი სურვილის წინააღმდეგ მას თავს მოახვევენ ომს, საფრანგეთი შესძლებს დაამარცხოს ყოველი თავხედი, რომელიც გაბედავს გამოიწვიოს იგი ბრძოლაში“. (იგივე გვერ. 197).

საფრანგეთის იმპერიალისტებს ყველაზე უფრო კარგათ ესმოდათ, რომ გერმანეთის იმპერიალიზმის სიძლიერე მისი მეტალურგიის სიძლიერეზე იყო დაყრდნობილი. „მეტალურგია იყო გერმანეთის არმატურა. სახელდობრ, მეტალურგიის წყალობით გერმანეთმა ომამდე შესძლო არსებობა და კონკურენციის გაწევა სხვა სახელმწიფოებისათვის. ომის შემდეგ გერმანეთი თავის მეტალურგიაში დაიწყებს საშუალებების ძებნას აღდგენისა და საგრძნობი ჭრილობების მოსარჩენათ. გერმანეთის დამარცხება თავის მეტალურგიაში—ნიშნავს ყველაზე უფრო სწორი გზით მის დამარცხებას სასიკვდილოთ და ეს უნდა იყოს აუცილებელი შედეგი მოკავშირეთა გამარჯვებისა, და განსაკუთრებით საფრანგეთის გამარჯვების.

„გამოააშკარავა რა მეტალურგიის სიძლიერე, ომმა გვიჩვენა, რომ ყველაზე უფრო ნამდვილი გარანტია მშვიდობიანობისა გერმანეთისათვის მეტალურგიის სიძლიერის წართმევაში მარხია. წართმევა რეინის გადაღმა მხარის მეტალურგიის სუპრემაციისა კონტინენტზე და დამორჩილება გერმანეთის მეტალურგიისა სხვა ქვეყნების სიდერუგიულ მრეწველობისაგან შეიქმნება კანონი ევროპის ახალი წონასწორობის განსამტკიცებლად“. (გვერდი 200).

მაგრამ რა სახით უნდა დამარცხდეს გერმანეთის მეტალურგია და მისი სიძლიერე? ამის გასაღებიც ხელთ უჭირავს საფრანგეთის იმპერიალისტებს. პუბლიცისტი ენჟერანი სწერს: „რა კი საქმე უნდა გადასწყდეს მახვილით, ჩვენ წავართმევთ მათ (გერმანელებს) არა მარტო ელზას-ლორენს თავისი მდიდარი რკინის მადნებით, აგრეთვე საარის რკინის ბასეინსაც, რომელიც ეკონომიური დამატებაა ჩვენი რკინის რაიონების.. უნდა წაერთვას გერმანეთს არა მარტო ელზას-ლორენი, არამედ ყველა თავისი პროვინციები რეინსა და მოზელამდე, რომ დაკარგოს გერმანეთმა არა მარტო რკინა, არამედ ქვანახშირიც, ეს ორი საძირკველი თავისი მეტალურგიის მრეწველობისა, ეს საფუძველი მისი სიძლიერისა და აღდგენის“.

ჟურნალი „ლ-ნფორმასიონი“ შემდეგნაირ პროგრამას აყენებდა ამ საკითხის შესახებ: „წავართმევთ რა გერმანეთს რკინასა და ქვანახშირის ნაწილს, რომელიც აძლევს მას საშუალებას მოახდინოს რკინის უტილიზაცია, ჩვენ წავართმევთ გერმანეთს თუ საბაბს არა, ყოველ შემთხვევაში საშუალებას განაგრძოს შეიარაღება, ან შეიარაღდეს ჩვენ წინააღმდეგ და დაარღვიოს საერთაშორისო მშვიდობიანობა“. (იხ. „რკინის საკითხი“... გვერდი 28).

როგორც ვხედავთ ომის პროცესში საფრანგეთის იმპერიალისტებმა უკვე გარკვეული პროგრამა წამოაყენეს იმის შესახებ, რა გზით და როგორი მეთოდებით გაენადგურებიათ გერმანეთის იმპერიალიზმი. ვერსალის ზავმა გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ბრძოლის ველზე დამარცხებულთ და მთელი ძალა უფლება გადასცა ანტანტის მოკავშირეებს. თუ როგორი პირობები შეიქნა ვერსალის ზავისა და ანტანტის ბატონობის პერიოდში, ამის საუცხოვო სურათს გვაძლევს იტალიის ყოფილი პრემიერი ფრანჩესკო ნიტტი თავის ამ ერთი წლის წინათ გამოცემულ წიგნში „ევროპის გადაშენება“. ავტორი სწერს: „ომის დამთავრების შემდეგ დამარცხებულთ დაადევს ყველაზე უფრო საშინელი მოთხოვნილებანი, დაიმსხვრა ყველა ძველი აღთქმანი და გაბატონდა ყველაზე უფრო საშინელი—გაცოფებული ნაციონალიზმი, წინანდელი და ახალი. გამოიღვიძა ყველა ძველმა მტრობამ და შურისძიებამ. დამარცხებულთ წაართვეს არა მარტო მათი ტერიტორიების ფართო ნაწილები ყოველგვარ საჭიროების გარეშე, ყოველგვარ ნაციონალურ თვითგამორკვევის პრინციპების დარღვევით, არამედ აგრეთვე მათ დააკისრეს შეუსრულებელი მოვალეობანი და კოლოსალური გადასახადები, რომელნიც, როგორც ეს ნათელია ყველასთვის, ვისაც ჯერ კიდევ ჭკუა არ დაბნელებია ცრუ მორწმუნეობითა და უვიცობით, შეუძლებელია სისრულეში მოყვანილი იქნეს“. (იხ. ფრ. ნიტტი: „Вырождение Европы“. გვ. 17—18).

ჩვენ აქ არ შეუდგებით ფართოდ განხილვას იმ შედეგების და ეკონომიური დარღვევის, რომელიც გამოიწვია ვერსალის ხელშეკრულებამ განსაკუთრებით ევროპის კონტინენტზე. ამ პოლიტიკის შემუშავებაში გადამჭრელ როლს თამაშობდა საფრანგეთის იმპერიალისტებისა და მრეწველების ინტერესები. როგორც ვიცით საფრანგეთის პოლიტიკოსებმა მიზნათ დაისახეს გერმანეთის იმპერიალიზმის არა მარტო განადგურება, არამედ გერმანეთის ხალხის ფიზიკური დაუძლურებაც. ამ პოლიტიკას სისტემატიურათ ატარებენ ცხოვრებაში გამარჯვების შემდეგ საფრანგეთის ბანკირები და კაპიტალისტები. აქაც გადამჭრელ როლს თამაშობს ქვანახშირისა და რკინის ინტერესები. ნიტტი, აღნიშნავს რა თავის წიგნში ქვანახშირის, რკინისა და ფოლადის დიდ როლს ევროპის პოლიტიკაში, სწერს: „თუ გერმანიის მეტალურგია იყო ერთი მიზეზთაგანი ევროპის საშინელი ომისა, საფრანგეთის მეტალურგია წარმოადგენს ცუდი ზავის უმთავრეს მიზეზს... საჭიროა დაუბრუნდეთ საშუალო საუკუნოების ფეოდალიზმის ყველაზე უფრო გადაშენებულ ფორმებს, რომ შესძლოთ იპოვოთ მსგავსი იმ ძალდატანებისა და ცინიზმის, რასაც წარმოადგენს ამ ჟამად ახალი მეთოდები საერთაშორისო ძარცვისა და კერძო საკუთრების წართმევისა, რომელიც დაიწყო ომის შემდეგ. გერმანეთის ყველაზე უფრო ძვირფასი რესურსები თანდათან ირღვევა და ევროპის ბაზრის დეზორგანიზაცია უფრო და უფრო ფართოვდება (იხ. გვერდი 67,—70).

ერთი იმ პიონერთაგანი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გერმანეთის ფიზიკური განადგურება და მის ნანგრევებზე საფრანგეთის ბედნიერების აშენება, არის რაიმონდ პუანკარე, რომელსაც მეტს სახელად კომუნისტურმა აზროვნებამ „პუანკარე ომი“ უწოდა. ომის დამთავრების შემდეგ პუანკარე გაცხარებულ ბრძოლას აწარმოებდა კლემანსოსა და ბრიანის წინააღმდეგ იმ მოსაზრებით, რომ ეს ორი ყოფილი პრემიერები ვერ აწარმოებდენ მიზანშეწონილ (საფრანგეთის იმპერიალიზმის საზომით) პოლიტიკას გერმანეთის განადგურების საქმეში. პუანკარეს გამარჯვებას ევროპის ლიბერალური აზროვნებაც კი დიდი შიშით უყურებდა. ცნობილი ლიბერალი ეკონომისტი ჯონ მ ირანდ კეინსი, რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ვერსალის ზავი ჯერ კიდევ 1921 წ. პუანკარეს გამარჯვებას შემდეგს პერსპექტივებს უკავშირებდა ევროპაში.

„Разрыв переговоров привел бы к отставке Бриана и появлению у власти диких людей, Пуанкаре и Тардье; если публичные заявления этих людей следовало принимать в серьез, если они не были только хитрым маневром с целью добиться министерских портфелей, то их появление у власти нарушило бы мир Европи, прежде чем они были бы принуждены отказаться от нее“ (იხ. Дис. М. Кейнс: „Пересмотр мирного договора“. გვ. 17, 1922 წ.).

კეინსის პროგნოზი სავსებით გამართლდა და პუანკარეს საფრანგეთის ტახტზე ასვლამ ევროპის ისედაც დარღვეული წონასწორობა და საერთაშორისო ურთიერთობა უფრო გაამწვავა და დაუსრულებელი ანარქია შექმნა. აიწყვიტა თუ არა ამ მხეცმა და ჩაიგდო თუ არა ხელში სახელმწიფოს პოლიტიკური აპარატი, მესვე გაექანა შეიარაღებული ძალით რურისაკენ განცხადებით: „ჩვენ ვეძებთ რურში ქვანახშირსა და სხვას არაფერს“ რურის დაპყრობით „პუანკარე—ომმა“ 1914 წლის ომი კვლავ განაგრძო. მართალია, ფორმალურათ აქ არ ყოფილა ომი გამოცხადებული, მაგრამ ფაქტიურათ რურის ამბები აშკარა ომი არის, გერმანეთის ერის ფიზიკური განადგურების მიზნით, რურის დაკავებით, საფრანგეთმა გერმანეთს ხელიდან გამოაცალა ყველაზე უფრო უდიდესი წყარო და საფუძველი მისი ეკონომიური წარმატებისა და ინდუსტრიის სიძლიერისა. ასეთი პოლიტიკით გერმანეთის ეკონომიკა თანდათან იშლება, საერთაშორისო ბაზრები ირღვევა და გერმანეთის ხალხს ერთმევა საშუალება რაიმე აქტიური მოქმედებისათვის.

ჩვენ თანახმად იმ საკითხის გამორკვევისა, თუ როგორი ურთიერთობა შეიქმნა ევროპის კონტინენტზე ნახშირისა და რკინის საკითხის გადანაწილების შესახებ, მოვიყვანთ უკანასკნელ ცნობებს კეინსის ჟურნალიდან: „აღდგენა ევროპაში“ (№ 10). თანახმად უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ცნობებისა, ვერსალისა და საფრანგეთის პოლიტიკის შედეგათ საფრანგეთმა პირველი ადგილი მოიპოვა მთელს ევროპის კონტინენტზე მადანის საქმეში:

საფრან	4.369 მილ. ტონი	35.2 პროც
ინგლისი.	2.254 „	— 18,2 პროც.
შვეცია.	1 548 „	— 12,5 პროც.
გერმან.	1.374 „	— 11,1 პროც.

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მადანის მარაგის საქმეში ელზას-ლორენის, საარისა და სხვა რაიონების დაპყრობით უდიდეს გამარჯვებას მიაღწია.

შემდეგი ცხრილი ჩვენ გადაგვიშლის სურათს იმის შესახებ, თუ რა დაკარგა გერმანეთმა თუჯის, ფოლადისა და ქვანახშირის ამოღების საქმეში.

გერმანეთის დანაკარგი

	თუჯი	ფოლადი	ქვანახშ. მილ. ტონ.
	ტ ო ნ ე ბ ი თ		
რეინის ვესტფალია	8,209,157	10,112,042	114,5
ზემო სილეზია	994,602	1,407 304	43,5
ზიგელანდ-ნასაუ	994,927	388,297	15
გერ. ჩრდ ალმ. ცენტ. ნაწ.	1,001,321	740,859	
საქსონიის ნაწილი	—	331,125	
გერმანეთის სამხრეთ ნაწ.	320 456	253,020	
საარის ბასეინი	1,370,980	2,079 825	13,25
ელზას-ლორენი	3,869,866	2,286,354	3,75
ლუქსემბურგი	2,547,861	1,336 263	—
	19,309,170	8,935,089	190*)

ამ ცნობებიდან მკითხველი ნათელ წარმოდგენას იქონიებს თუ რა სურს საფრანგეთის იმპერიალიზმს და როგორ ეკონომიურ მდგომარეობაში აყენებს არა გერმანეთის კაპიტალისტებს, არამედ გერმანეთის მთელს მშრომელ მასას. ის რაც გერმანეთმა დაკარგა ქვანახშირის, რკინის, თუჯისა და ფოლადის სამეურნეო ფაქტორების სახით, ფაქტიურად უდრის გერმანეთის მრეწველობის გახადგურებას.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ საერთაშორისო ომის პროცესში, ზავის შემუშავების დროს და თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ვითარებაში, ქვანახშირი და რკინა მეტად დიდ როლს თამაშობდენ, ომის დამთავრების შემდეგ ამ სამეურნეო ფაქტორებს ახალი ფაქტორიც მიემატა, რომელიც არა ნაკლები სიძლიერით ამოძრავებს სახელმწიფოთა პოლიტიკას და იწვევს საერთაშორისო კონფლიქტებს ეს არის ნავთი.

დღეს ბევრისათვის გაუგებარი ხდება ნავთის საკითხისა და პოლიტიკის დაკავშირება. ბევრი ეჭვში შედის და არ სჯერა ასეთი კავშირი პოლიტიკასა და ნავთს შორის. მკითხველი საზოგადოება, მოკლებული უტყუარსა და ნამდვილს ცნობებს თანამედროვე ვითარების შესახებ, ვერ ხედავს იმ დიდ როლს, რომელსაც თამაშობს ნავთი საერთაშორისო პოლიტიკის საქმეში.

უკანასკნელი ათეული წლების ისტორია და ეკონომიკა ჩვენ გვეუბნება, რომ ნავთმა, რომელსაც აქამდე მეტად მცირე ადგილი ჰქონდა მიჩნეული სახალხო მეურნეობაში, დიდი წარმატება მოიპოვა და მეტად დიდი ადგილი დაიჭირა მსოფლიოში. სათბობი მასალის მხრივ დღემდე პირველი ადგილი დათმობილი ჰქონდა ქვანახშირს და როგორც დავინახეთ, საერთაშორისო იმპერიალისტები ამ მასალის ხელში ჩასაგდებათ დაუცხრომლად იბრძოდენ ერთი მეორეს. თანამედროვე ტეხნიკამ და განსაკუთრებით კი საერთაშორისო ომმა, დაამტკიცა, რომ ნავთი ბევრად უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი სათბობი მასალა არის, ვინემ ქვანახშირი... აქედან იწყება ნავთის პირველ ადგილზე დაყენება და ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ნავთით მდიდარი ტერიტორიების ხელში ჩასაგდებათ. პოლიტიკა, დიპლომატია, სტრატეგია დიდტანიან სახელმწიფოებისა ერთნაირის ინტერესით ამოძრავდა ნავთის გარშემო; მდიდარი კაპიტალისტური ტრესტები, სხვა და სხვა გვარი საზოგადოებანი და ეკონომიური ორგანიზაციები, გვერდში ამოუდგენ თავიანთ სახელმწიფოებს და ხმა შეწყობილად იბრძვიან თავიანთი ნაციონალური წარმოებისათვის ამ მეტად მიმზიდველი სითხის მოსაპოვებლად.—ბრძოლა ნავთისათვის—აი რით ხასიათდება თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა უმთავრესად. არ მოწვეულა არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენცია, სადაც არ დასმულიყოს ნავთის საკითხი კონფერენციაზე თუ არა, მის კულისებში მაინც და არ ეთამაშოს მას (ნავთს) ესა თუ ის როლი დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობის საქმეში.

ომმა ძირითადი გარდატეხა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაში და მას ახალი პრობლემები წამოუყენა გადასაწყვეტად. როგორც ომის გამოცდილებამ დაამტკიცა, ნავთი მეტად დიდი მნიშვნელობის სათბობს წარმოადგენს: მთელს რიგს სამხედრო ორგანიზაციებსა და წარმოებაში ნავთმა გამოდევნა ნახშირი და უპირატესობა მოიპოვა; სამხედრო უწყებაში, სამხედრო გემებში, ავტომობილების და საჰაერო სამხედრო ფლოტში შეჰქრა ამ ნივთიერების სითხის ელემენტები. თავის თავად ცხადია, რომ რომელ მებრძოლ მხარესაც უფრო მეტი აღმოაჩნდებოდა ეს სითხე ის შესძლებდა ზედმეტი წინააღმდეგობა გაეწია მოწინააღმდეგისათვის და ომის პროცესში შესაფერისი საშუალებისათვის მიემართა. გერმანეთის კოალიცია მოკლებული იყო ნავთის წყაროებს: მის განკარგულებაში იყო მხოლოდ გალიციისა და რამოდენიმე მცირე ღირებულების ნავთის ჭები. სამაგიეროდ მოკავშირეები ამ მხრივ დიდ უპირატესობაში იმყოფებოდენ. თითქმის 95 პროცენტი მთელი მსოფლიოს ნავთის წარმოებისა მათ განკარგულებაში იყო. ამერიკის მდიდარი ნავთის წარმოება უხვად ასაზრდოებდა საფრანგეთისა და ინგლისის სამხედრო უწყებებსა და წარმოებას ნავთით. ამ გარემოებამაც გამოიწვია მდგომა-

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 190.

*) ცნობები ამოღებულია სტოკლიცკის წიგნაკიდან: „От войны к войне“ გვ. 51—2, 1923 წ.

დაპირობ რევოლიუციას. ის, ვინც რევოლიუციის კავშირში შევიდოდა, მას არ მოელოდა განადგურება პროლეტარიატისაგან. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ობიექტიურ პირობების გამო იძულებული იყო ევროპისკენ დაეწყო ცქერა, ვიდრე რუსეთის რევოლიუციისაკენ. ეს იყო ჩვენი უდიდესი შეცდომა და ამ შეცდომის გადაფასება ჩვენ დავიწყეთ 1921 წელს. ჩვენი პარტიის უკანასკნელი და ლეგალური კრება მოხდა 1921 წლის აპრილის 10-ს. ჩვენ მაშინ ვამბობდით, რომ თუ საქართველოს მშრომელი ხალხი მუშათა და გლეხთა ხელისუფლების სისტემას გაიზიარებს, ჩვენ სოციალ-დემოკრატია ამის წინააღმდეგი არ ვიქნებით, არ ვიმუშავებთ არალეგალურად, მაგრამ ამავე დროს არც პოლიტიკურად შევუკავშირდებით ბოლშევიკებს. რაც შეეხება კულტურულ და ეკონომიურ ფრონტს, ამ მხრივ ქართველ ხალხს მოვუწოდებდით მუშაობისაკენ. ჩვენ აგრეთვე წინააღმდეგი ვიყავით ყოველგვარი ინტერვენციის მაგრამ ეს მუხლები მალე დავიწყებულ იქნა ჩვენი პარტიის მიერ. მხოლოდ ჩვენ, მუშების ნაწილს, მაშინ მცირეს, დღეთ კი უმრავლესობას, გვახსოვდა ეს. და აი დღეს ჩვენ ვახდენთ წარსული მოღვაწეობის გადაფასებას. ამხანაგებო! რეაქცია ირაზმება;—ფაშიზმი მტკიცე ორგანიზაციას წარმოადგენს მუსოლინის მეთაურობით; მეორეს მხრივ არის რევოლიუციონური პროლეტარიატი, რომელმაც დაამყარა მშრომელთა ხელისუფლება. ამ ორ მიმართულებას შორის არის გაჩხერილი მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალი, რომელიც უკვე შეუერთდა მე-2 ინტერნაციონალს. იგი არ მიდის არც მარცხნივ, არც მარჯვნივ. იგი ამბობს, რომ სოციალიზმისკენ სვლა შეიძლება დამფუძნებელი კრებებით, პარლამენტებით, კენჭის ყრის გზით. მაგრამ მოწინააღმდეგი კლასები ნებით არაფერს იძლევიან. მარქსი 1871 წლის პარიზის კომუნის შესახებ ამბობდა, თქვენ ვერ მიაქციეთ ჯეროვანი ყურადღება მართვა-გამგეობის საქმეს; თქვენ ყურადღებას აქცევდით, თუ როგორ აძრობდენ სპეკულიანტები ტყავს მშრომელებს, მომავალში პროლეტარიატი უფრო ფხიზლად უნდა იყოსო. ეს გვიანდერძა მარქსმა და ეხლა დავრწმუნდით, რომ არაფრის მომცემი არ ყოფილა დემოკრატიული წესწყობილება ეს გვაძლევს საბაბს დავდგეთ მებრძოლი პროლეტარიატის და გლეხობის რიგებში და მზათ ვიყოთ. ჩვენ წინეთ ვამბობდით, რომ სახელმწიფოს მართვა - გამგეობაში არ მოვიქცეთო, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ მოვიქეცით და თვითონ ვაკეთებდით ბურჟუაზიის საქმეს. **ჩვენი ნამდვილი მიზანი კი დავკარგეთ.** დღეს პარტიას ჩამოშორდა დიდი უმრავლესობა მუშების და გლეხებისა. ამხანაგებო! ვთქვათ კომუნისტები გვტყუებენ, ვთქვათ ისინი ვერ ახორციელებენ რევოლიუციონურ პრინციპებს, მაგრამ ხართ თუ არა თქვენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მომხრე; მე ვფიქრობ, რომ თქვენ ამ სისტემის წინააღმდეგი არა ხართ. მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოები ჩვენი შექმნილია, მაგრამ ჩვენ დავკარგეთ, ჩვენ დავთვერით ჩვენის გამარჯვებით და გვეგონა, რომ ამის გარდა არაფერი არსებობს. ვინც ჩვენ წინააღმდეგ წამოვიდა, უნდა შევბრძოლებოდით და ჩვენ ვიყავით მოწმე უსაფუძვლო ომებისა. დახმარებისათვის მივმართეთ ევროპის ბურჟუაზიას და რა მივიღეთ? ერთხელ დე-იურე, მეორედ დე-ფაქტო. საბედნიეროდ ჩვენდა, მეტი არაფერი მოგვცეს, თორემ დღეს ვექსილებს წარმოგვიდგენდენ. დღეს კი სრულიად თავისუფალნი ვართ და თავისუფლად ვმსჯელობთ. ჩვენ ვართ ბატონი და პატრონი, მტერი და მოყვარე ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებისა. საბედნიეროა ის, რომ დღეს ჩვენ მტკიცედ დავდექით მსოფლიო პროლეტარიატის რიგებში.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონურ რიგებს!

გაუმარჯოს მსოფლიოს სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მის აშკარა და სწორს გამომხატველს, მე 3-მე ინტერნაციონალს!

ქ. შენგელიას მოხსენება.

დღევანდელი დღე, ამხანაგებო, ისტორიული დღეა ჩვენს ცხოვრებაში. ოცი წლის თავზე ხდება იმ გათიშულ ამხანაგების შეერთება, რომელნიც ერთი დედის მიერ იყვნენ შობილნი. ეს არის უდიდესი რევოლიუცია, ეს არის უსისხლო რევოლიუცია. ამ შეერთებას ჩვენი მტრები სხვა და სხვა გვარათ ხსნიან. ზოგი ამბობს, შეშინდენ, ჩეკამ შეაშინა, მოისყიდესო, მოტალატეები არიანო. რამდენად შეიძლება იმ რევოლიუციონერების შეშინება, რომლებიც ებრძოდენ ჟანდარმერიას. შეიძლება თუ არა იმ რევოლიუციონერის შეშინება, რომელიც 5 და 6 წელიწადი ციხეში იჯდა და არ უთქვამს: „ნიკოლოზო, ჩვენ ვიზიარებთ შენს რეჟიმს“-ო. მერე განა დღევანდელი ციხე ჰგავს მაშინდელ ციხეს. ციხეც არის და ციხეც. დღევანდელი ციხე წარმოადგენს თეატრს, აუდიტორიას, კულტურულ დაწესებულებას, აღმზრდელობითი დაწესებულებას. დღეს ციხეს სახელიც კი შეეცვალა, მას „გამასწორებელი სახლი“ ეწოდება; და თუ ნაკოლოზის ციხემ ვერ შეაშინა, განა ეს ციხე შეაშინებდა. გადავიდეთ მეორე საკითხზე—მოსყიდვაზე; ყველაფრის ყიდვა შეიძლება, სკამის, მაგიდის, მაგრამ ტვინის ყიდვა, აზროვნების ყიდვა არ შეიძლება. ღალატით ვიღას ვღალატობ ? ჩვენ ვღალატობთ რევოლიუციას? არა, ჩვენ ვღალატობთ კონტრ-რევოლიუციას. ეს არის ბუნებრივი და ამას ღრმა ფესვები აქვს გადგმული. 1914 წელს, ე. ი. როდესაც იმპერიალისტური ომი დაიწყო, რუსეთის მშრომელთა დიდი უმრავლესობა ომის წინააღმდეგ წითელი დროშებით იყო გამოსული. ასეთივე გამოსვლა იყო ბაქოშიც, გამოსვლა არ ყოფილა ტფილისში და დასავლეთ საქართველოში. სწორედ ამ წელს პირობები უკვე მომზადებული იყო რევოლიუციისათვის. მაგრამ აი ნიკოლოზმა გააბა კავშირი ვილჰელმთან, მოკლეს ვილაცა პრინცი და მსოფლიოს მუშათა კლასი ომში ჩაითრიეს მე-2 ინტერნაციონალი ხელს უწყობს ამ ომს. ეხლაც რურში პუანკარეს შემოჰყავს ჯარი. მე 2 ინტერნაციონალი მხოლოდ მშრალს საყვედურს უგზავნის მას. არა, ეს არ არის საკმარისი; მას უნდა მოეხდინა რევოლიუცია, ეს კი რუსეთთან კავშირს მოასწავებდა. იქ ტეხნიკა, აქ კი რეალური ძალა—ეს იქნებოდა დაპყრობა მთელი მსოფლიოსი. რას უშვრებიან კომუნისტურ პარტიას ევროპაში? ვინაიდან ის ბრძოლისათვის არის განწყობილი, ამისათვის ციხეებში აგზავნიან, ასახლებენ, ხვრეტავენ. სწორედ ამ დროს ხდება მე 2 და 2 ნ.ხ. ინტერნაციონალის კონგრესი, მათი შეერთება, რატომ არ არის დევნილი მე 2 ინტერნაციონალი ბურჟუაზიის მიერ? იმიტომ, რომ იგი აკეთებს ბურჟუაზიის საქმეს ბურჟუაზიას ომი სწყურია, ეს ფაქტია, ავიღეთ, თუ გნებავთ, ვოროვსკის მოკვლა; იგი ომის სურვილით იყო გამოწვეული, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მოქნილმა პოლიტიკამ ომი თავიდან აიცდინა. მე-2 ინტერნაციონალი გულგრილათ უყურებს ამას. როდესაც ლედებურგი ამბობს, რომ ჩვენს შორის კავშირი მაშინ იქნება, როდესაც თქვენ რიგებში იქნება მე 3 ინტერნაციონალიო; აბრამოვიჩი კი ბრძოლას უცხადებს მე-3 ინტერნაციონალის. მაგრამ მე-3 ინტერნაციონალის ავტორიტეტი დღითი დღე მატულობს. მე 2 ინტერნაციონალში ირიცხებოდა 27 მილ. წევრი დღეს კი იქ არის 15 მილიონი, ხოლო მე-3 ინტერნაციონალში 12 მილიონი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ ლენინის მეთაურობით ალლო აუღო თანამედროვე მდგომარეობას და მთელი კაცობრიობა ორად გაყო, კლასთა ბრძოლა გააჩაღა. შუა გზა არ არის. ვინც შუა გზაზე გაჩერდება, იქ ღრმაა წყალი და დაიხრჩობა. მერყეობას, გვერდზე ხედვას დღეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, დღეს მენშევიკი უნდა მივიდეს კომუნისტთან და უთხრას მას: „გამარჯვება შენი“. შემცდარ გზაზე ვიყავი, რევოლიუციამ ეს გზა მაპოვნინა. ჩვენი პარტია დარღვეულად უნდა გამოცხადდეს ჩვენ პარტია გვყავს, პარტია კომუნისტური, ჩვენ მივალთ მის რიგებში. ჩვენ უნდა ვსთქვათ ეს დღეს, უნდა ვსთქვათ სრულიად საქართველოს მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრთა კონფერენციაზე. ამხანაგებო! მოგიწოდებთ თქვენ ამიტომ გაბედულ ნაბიჯისაკენ. როგორი გაბედული ნაბიჯიც დღევანდელმა თქვენმა კონფერენციამ გადასდგა, ვისურვოთ, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგას მსოფლიო პროლეტარიატს და ყველა მშრომელი მისულიყოს მე-III ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს თქვენს გაბედულს ნაბიჯს! (ტაში)

შეკითხვები.

მოხსენების შემდეგ იყო რამოდენიმე წერილობითი შეკითხვა, რომლებზედაც მომხსენებლებმა შესაფერისი პასუხი მისცეს. იყო შემდეგი შეკითხვები:

1) აქვს თუ არა საქართველოს ეხლა დამოუკიდებლობა და თუ აქვს, რა მიზეზია, რომ რუსის ჯარი მაინც საქართველოში არის 2) როგორი ხასიათის უნდა იყოს შეთანხმება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. 3) პრესის თავისუფლების შესახებ

ს. ფარნიევმა უპასუხა პირველ შეკითხვაზე. არის ორგვარი დამოუკიდებლობა: დამოუკიდებლობა ნაციონალისტური და ნაციონალური. ჩვენ გვწამს ნაციონალური დამოუკიდებლობა. ქართული ენა მშრომელ ხალხში, ისევ ჩვენში ინახება, თორემ ისინი, ვინც იცავდა ნაციონალისტურ დამოუკიდებლობას, ქართულად ლაპარაკს არც კადრულობდენ. წაბრძანდით თქვენ ბორჯომში, სურამში ან წაღვერში და თქვენ დარწმუნდებით, რომ მათი მანდილოსნები ეხლაც არ კადრულობენ ქართულად ლაპარაკს. რაც შეეხება რუსის ჯარის აქ ყოფნას, ეს დროებითია და იგი იქნება იქამდის, ვიდრე საქართველოს იმპერიალისტურ თავდასხმისაგან საფრთხე მოელის, ვიდრე ჩვენ თვით არ შევქმნით საკუთარ წითელ ლაშქარს.

მეორე შეკითხვაზე უპასუხებს კ. შენგელია შემდეგს: „შეთანხმება ჩვენ ასე გვესმის: თუ დასაგმობია ერთი ხაზი, ჩვენ ვდებთ მას ქვას. ჩვენ უნდა შეუერთდეთ კომუნისტურ პარტიას, ვინაიდან პარტიაში პარტიის შექმნა არ შეიძლება. მენშევიკური მოძღვრება არ არის მუშათა კლასისათვის მიზანშეწონილი, მაშასადამე ჩვენ იგი უნდა დავტოვოთ. საქმე გაჭედილია მე-3 ინტერნაციონალში და ჩვენც მას ვუჭერთ მხარს. განა ჩვენ არ გვინდა ის, რაც კომუნისტებს უნდათ? ჩვენ ვერ წავალთ 8 საათის სამუშაო დღის, შრომის დაზღვევის, პროლეტარული სკოლის, აგრარული რეფორმის და მუშათა კანონმდებლობის წინააღმდეგ. ჩვენ ვერ გავაკეთეთ ეს, კომუნისტებმა გააკეთეს და ჩვენც მათ მხარეზე ვართ. დიახ, კომუნისტურმა პარტიამ ყოველივე ეს მისცა მუშათა კლასს, **ხოლო ბურჟუაზიას მისცა ჩეკა, ტყვია და სისხლის ღვრა.** ასე რომ არ ყოფილიყო, რევოლიუცია დამარცხდებოდა.

პრესის თავისუფლების დროს პასუხს იძლევა ამხ. აკ. ჭყონია, რომელიც აცხადებს, რომ რევოლიუციონური ბრძოლის დროს შეუძლებელია პრესის თავისუფლების განხორციელება. პირიქით, უნდა სწარმოებდეს დაუნდობელი ბრძოლა რევოლიუციის მტრების წინააღმდეგ. კ. მარქსი პარიზის კომუნის უარყოფით მხარედ იმას სთვლიდა, რომ იგი დაუნდობელი არ იყო მტრებთან ბრძოლაში. დასასრულ ჭყონია ამბობს, რომ ასეთი შეკითხვებით, რომლებიც დაწერილია **ერთი ხელით,** სოციალ-დემოკრატია ამტკიცებს თავის იდეურ და ორგანიზაციულ გახრწნილებას. პრესის, სიტყვის და კრების თავისუფლება შეიძლება მაშინ, როდესაც ეს პრესა, სიტყვა და კრებები პროლეტარიატის ინტერესების დამცველი არიან.

შეკითხვების შემდეგ იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ყოფილ მენშევიკების მხრივ ფოცხვერაშვილმა, ვარდოიანცმა, მუშა მახათაძემ, მურვანიშვილმა, ჯაფარიძემ და ფარნიევმა, ხოლო დამსწრე კომუნისტების მხრივ მუშა ძაძამიამ, წითელარმიელმა ხომერიკმა, ალ. ბუხნიკაშვილმა, კომკავშირიდან საყვარელიძემ და პარტკომიდან გეგეშიძემ.

ამხ. ფოცხვერაშვილის სიტყვა.

ამხანაგებო! ათი წელიწადია ვიცნობ ს. დ. პარტიას. ეს პარტია რევოლიუციის მამოძრავებელი პარტია იყო, მისი უმთავრესი ღერძი. 1903 წლიდან პარტია გაიყო: ბოლშევიკებად და მენშევიკებად. რუსეთში უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდენ, საქართველოში მენშევიკები. მენშევიკები უაღრესად რევოლიუციონერები იყვნენ; ისინი ხშირად არც კი იზიარებდენ რუსეთის მენშევიკების ტაქტიკას. ამის დამამტკიცებელია 1914 წლის ომი, როდესაც მენშევიკური პარტია გვერდში ამოუდგა ციმერვალდის კონგრესიდან წამოსროლილ ლოზუნგს და მხარს უჭერდა სოციალიზმს. როდესაც დადგა რევოლიუციის ხანა, პარტიაში წამოიჭრენ ტაქტიკის საკითხები. მენშევიკების ფრთა იცავდა პრინციპს დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ, ხოლო კომუნისტები პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას აღიარებდენ. რუსეთის პროლეტარიატმა კომუნისტების მეთაურობით მოახდინა ოქტომბრის რევოლიუცია, საქართველოს მენშევიკების წინაშე კი წამოიჭრა საკითხი დამოუკიდებლობისა. რუსეთში რომ დემოკრატია ყოფილიყო და საქართველოში რეაქცია, საქართველოს სოციალ-დემოკრატია მხარს დაუჭერდა დამოუკიდებლობას, ვინაიდან დამოუკიდებლობა მაშინ ტაქტიკის საკითხი იყო და არა პრინციპის. ჩვენ ამ დროს ვებრძოდით კომუნისტებს და თავს ვაფარებდით მე-2 ინტერნაციონალს, რომელიც მხარს უჭერს კლასთა თანამშრომლობას. დღეს კი როდესაც ფაშიზმი იარაღს ისხამს რევოლიუციონურ მოძრაობის ჩასახშობად და მე-2 ინტერნაციონალი კი, სდუმს, ჩვენთვის ერთად ერთი-ღა გზა არსებობს; ეს გზაა პროლეტარიატის დიქტატურა.

ამხ. ვარდოიანცის სიტყვა.

ამხანაგებო! ამა თუ იმ პარტიას აქვს ერთგვარი ხაზი, იდეოლოგია 1917 წ. ჩვენ გაკვლეული გზა გვქონდა, ჩვენ რევოლიუციონურ პარტიას წარმოვადგენდით. გარკვეული გეგმით, ვებრძოდით თვითმპყრობელობას. დღეს კი ჩემთვის ჩემს წინაშე გამორკვეული არაა. რას წარმოადგენს მენშევიკური პარტია ამ ჟამად. ბოლშევიკებს აქვთ გარკვეული გზა. კარგია თუ ცუდი, ამას ისტორია დააფასებს. ჩვენ მსაჯულები არ ვართ; ამხანაგებო! ეს გარდატეხა პარტიის წევრებში დღეს კი არ მოხდა მარტო, იგი მოხდა 1917 წელს, ზოგიერთებში 1921 წელს, ზოგიერთებში კი შემდეგ. რას წარმოადგენს საქართველოს დღევანდელი არალეგალური ლიტერატურა. აბა ერთი გადაათვალიერეთ. პარტიისათვის მთავარ ღერძად ნაციონალური საკითხი გამხდარა მაგრამ განა მარტო ნაციონალური საკითხები დაგვაკმაყოფილებს. მერე სად არიან ის საკითხები, რომლნიც ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებდენ. პროგრამას მენშევიკებში ველარ ვხედავთ და ამიტომ ჩვენ კი ვყავით უარი ასეთი გადახალისებით, არამედ ვინც არალეგალურად მუშაობს, მათ უარჰყეს, დაჰგმეს ძველი გზა; ჩვენ კი ყოველთვის იმ დროშის ქვეშ ვიდგებით, რომელიც აქ ავაფრიალეთ 1901 წ. და 1904 წელს. ეხლა გადავიდეთ ინტერნაციონალის საკითხზე.

ამხანაგებო! სად ხართ, ვის რიგში? რევოლიუციის თუ კონტრ-რევოლიუციის? ჩვენს წინაშე დღეს ეს საკითხი უკვე გადაჭრილია. მენშევიკებს აღარა აქვთ ლოზუნგი. ჩამოვა ტფილისიდან ამხანაგი, ჩამოიტანს რაიმე ჭორს და ასე: ჭორი გუშინ, ჭორი დღეს, ჭორი ხვალ. მაგრამ დღეს განა ჭორი საკმარისია. დღეს ფაშიზმის სახით ირაზმება მსოფლიო ბურჟუაზია და ჩვენ უნდა უარვყოთ ყველა ის საკითხები, რომლებიც დღეს სასარგებლონი არ არიან. ჩვენ თუ ვსთქვით ანი, უნდა ვსთქვათ ბანიც. აქ გვეკითხებიან, რა დაუთმეთ კომუნისტებსო. არაფერი არ დაგვითმია. როგორი რევოლიუციონერიც ვიყავი, ისეთივე ვარ. არ უნდა მიგვაჩნდეს სირცხვილად ის, რომ ჩვენ კვლავ ვდგებით რევოლიუციონურ გზაზე.

ძირს რეაქცია, გაუმარჯოს რევოლიუციას, გაუმარჯოს იმ პარტიას, რომელმაც ეს რევოლიუცია შეინარჩუნა.

ამხ. მუშა მახათაძის სიტყვა.

ამხანაგებო! ვინ იმსხვერპლა პარტიათა შორის ბრძოლამ. იმსხვერპლა ისევ ის საწყალი მუშა. მშრომელი კლასის გზა დაიბნა. მოხდა შერყევა მშრომელი კლასის შეუგნებელი მშრომელი სიტყვიერი დაპირებებით გადითრიეს და ჩვენ არ ვიცოდით, რომელ გზაზე მიგვეზიდებოდენ. ვაჭრები ძველებურად მუცელს იძღობდენ: როდემდის უნდა ყოფილიყო ეს მუშა დაჩაგრული. რა იწვევდა მუშის სიღარიბეს? რა და პარტიათა შორის განხეთქილება. დღეს კი მოხდა ისევ შეერთება მუშებისა.

მაშ გაუმარჯოს ამ შეერთებას.

ამხ. მურვანიშვილის სიტყვა.

მესამე წელიწადია თითქოს გლოვის ზარში ვიყავი, თითქოს კუნჭულში ვიყავი მიმჯდარი. დღეს კი გვეღირსა ისევ თავისუფლათ ლაპარაკი. მენშევიკურ პარტიაში პატარა მახანჩალა ვიყავი. გვინდოდა გაგვეკეთებინა მუშურ-გლეხური საქმე, მაგრამ ამ პარტიაში იყვნენ მიკიტნები და ვაჭრები, რომელთაც მუშურ-გლეხური საქმისათვის არ სცხელოდათ. პორტფელებით სისხლს უშრობდენ მშრომელ გლეხობას. ჩვენი სურვილია, რომ ის ნაკლი, რაც მენშევიკებს ჰქონდათ. კომუნისტებმა არ გაიმეორონ. როდესაც შევჯგუფდებით, შევერთდებით, უნდა განვდევნოთ პარტიიდან „შკურნიკები“ (ტაში), უნდა გამოვძებნოთ ნამდვილი რევოლიუციონერები. მე აქამდის დადუმებული ვიყავი, მაგრამ ეხლა მეც თქვენთან ვარ. ჩვენ უნდა მოვიწვიოთ პატიოსანი მშრომელი ხალხი და პორტფელიანებს კი შევძახოთ: „პორთფელისათვის ნუ იბრძვით, ხალხის საქმე გააკეთეთ“.

მაშ გაუმარჯოს იმ მთავრობას, რომელიც გლეხისა და მუშის პატიოსან ინტერესებს იცავს!

ამხ. ჯაფარიძის სიტყვა.

გავეცანი პარტიას 1901 წელს, მაგრამ პარტიაში არ შევსულვარ. აღვიზარდე იმ წრეში, სადაც იყვნენ ბოლშევიკები და მენშევიკები. 1904 წელს დავიწყე აქტიური მუშაობა. 1905 წელს დამაპატიმრეს და 1917 წელს გამოვედი ციხიდან და დაქანცული, ჯანგატეხილი—1917 წლის შემდეგ არ ვიღებდი არავითარ მონაწილეობას პარტიულ მუშაობაში. მოსკოვში გამოვლისას მე შევნიშნე ბოლშევიკური სულისკვეთება. შევნიშნე, რომ მუშათა რიგები იყოფოდენ და გული მტკიოდა. გულწრფელი მომხრე ვარ კვლავ შეთანხმების. ჩვენ კინკლაობა და ქიშპობა ურთიერთ შორის არ გვარგია. მომხრე ვარ საერთო ხაზის, საერთო გეზისა. მხოლოდ უნდა გამოცხადებულ იქნეს თავისუფლება კრებების, სიტყვის და პრესისა და განთავისუფლებულ იქნენ ის ამხანაგები, რომლებიც დღეს ციხეებში არიან.

გაუმარჯოს შეთანხმებას!

გაუმარჯოს იმ ინტერნაციონალს, რომელიც ამ შეთანხმებას მოახდენს!

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას!

ამხ. ფარნიევის საბოლოო სიტყვა.

ამხანაგებო! ჩვენი მოლოდინი გამართლდა, წინააღმდეგობა არ არის, მაგრამ აქ გავიგეთ სიტყვები, თითქოს მარტინოვი იყოს მიზეზი ამ გარდატეხისა—მე ვაცხადებ, რომ მარტინოვის ჩამოსვლამდის მენშევიკების გულში და სულში მომზადებული იყო კონფერენციის ნიადაგი. ასე რომ არავითარი გავლენა მარტინოვისა არ ყოფილა. თვით ჩვენ რევოლიუციონერებმა ჩავიდინეთ „შეცდომა“, ეს მარტინოვის მოსვლამდის გამოვარკვიეთ და შევდექით რევოლიუციის გზაზე. ტფილისის საქალაქო კონფერენციაზე ციხიდან განთავისუფლებული 38 კაცი გამოცხადდა. ამიერიდანაც, ვინც გაიზიარებს ჩვენს პლატფორმას, ისინი ციხეში არ გაჩერდებიან. ჩვენ არ ვთხოვთ მათ ჩვენს პლატფორმაზე დადგომას, ჩვენ მხოლოდ ვაუწყებთ: გაიზიარეთ ჩვენი პლატფორმა, დადექით რევოლიუციის გზაზე, ერთად გავსწიოთ წინ სოციალიზმისაკენ. და ისინი ციხეებში არ იჯდებიან. რევოლიუციამ არ იცის არც შვილი, არც მამა; არც ნათესავი და არც მეგობარი. მტერი რევოლიუციისა უსათუოდ უნდა ისჯებოდეს. ციხეში მჯდომნი ამხანაგები გაიზიარებენ ჩვენს პლატფორმას, განთავისუფლდებიან, არა და, ალბად, იქამდის ისხდებიან, ვიდრე ვადა არ გაუვათ. აქ, სხვათაშორის, „შკურნიკობაზე“ იყო ლაპარაკი, მაგრამ თქვენც იცით, რომ კომუნისტები მკაცრად სჯიან დამნაშავეს. ჩვენც მივუთითებთ ეხლა მათ შეცდომებზე. თუ დავინახავთ დამნაშავეს, გაძევებას მოვითხოვთ. ეხლა შეთანხმების შესახებ. მენშევიკების ც. კ. წინააღმდეგია მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისა. ჩვენ კი მშრომელი ხელისუფლების სიმტკიცის მომხრენი ვართ. ჩვენ ვერ მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პარლამენტს, ჩვენ უკვე უკან ვიღარ დავიხევთ. აქამდის პროგრამა ერთი გვქონდა. ჩვენ ვერ შევძელით მისი განხორციელება. კომუნისტებმა ჩამოგვართვეს და გვითხრეს, ჩამოდექით გზაზე, ჩვენ განვახორციელებთო. და ეხლა, როდესაც რეაქცია ძლიერდება, ჩვენსა და მათ შორის შეთანხმება კი არა—შეერთება ხდება. გაუმარჯოს ჩვენს კონფერენციებს, გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალს გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

ფარნიევის სიტყვის შემდეგ კამათი სწყდება და თავმჯდომარე რეზოლიუციების შემოტანის წინადადებას იძლევა. შემოტანილია ერთი რეზოლიუცია, რომელსაც აქვე ვათავსებთ და, რომელიც ერთხმად იყო მიღებული. შემდეგ სიტყვებს ამბობენ ამხ. კომუნისტები.

მუშა ძაძამიას სიტყვა.

ამხანაგებო! დიდის სიხარულით მოველოდი ამ დღეს „ძმა ძმისთვინაო, შავი დღისთვინაო“ ნათქვამია ქართულად. ჭეშმარიტებამ ჩაინათა ჩვენი ამხანაგების გულში. ამიერიდან ნამგალი და ჩაქუჩი მათაც ერთმანეთს გადააჭდეს და ჩვენ ვიხილავთ იმ ბედნიერებას, რომელიც ასე შეთანხმებული მუშაობის შედეგი იქნება. შეერთებული პროლეტარიატი თავისი ჩაქუჩით დალესილ კბილებს ჩაუმტვრევს ბურჟუაზიას. გაუმარჯოს მშრომელი ხალხის შეერთებას! ვინც დღეს ჩვენთან არ არის,—ის მშრომელთა მტერია.

სოკრატ ბარბაქაძის სიტყვა.

ამხანაგებო! მოგილოცავთ შეერთებას. ჩვენი შეერთება დიდი ბედნიერება არის. თუ ჩვენ ერთად ვიქნებით,—ვერავინ ვერ დაგვამარცხებს შემდეგ ბარბაქაძე მიმართავს ინტელიგენტებს, რომ მათ თავისი კალმით დახმარება გაუწიონ მუშებს.

გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას, ჩვენს შეთანხმებას.

წითელარმიელის ხომერიკის სიტყვა.

ნორჩი საქართველოს წითელი ჯარის სახელით, ამხანაგებო, გილოცავთ შეერთებას, რომელიც გაასალკლდევებს მუშათა რიგებს. დღეს წითელი არმია მძლავრ ორგანიზაციას წარმოადგენს და კერზონისთანა ნოტები მას ვერ დააშინებს. ორი დროშა დაისო დღეს: წითელი და ყვითელი; ერთზე ნამგალი და ჩაქუჩია, მეორე კი ნგრევას განიცდის. გაუმარჯოს იმ წითელ დროშას, რომლის ფუძეს ამაგრებს პროლეტარიატი და ფრთებს უშლის წითელი ლაშქარი!

ალ. ბუხნიკაშვილის სიტყვა.

ამხანაგებო! ხაშურის უბნის რკინის გზის პროფესიონალური კავშირის სახელით გილოცავთ დღევანდელ დღეს. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მთლიან ფრონტი მშრომლებისა ორ ბანაკად გაიყო, და დაიწყო ძმათა შორის სისხლის ღვრა. დღეს ეს ორი ბანაკი კვლავ ერთდება, მშრომელთა შვილები კავშირდებიან და ეს დღე ჩვენთვის ისტორიული არის. ჩვენთვის დაუშვებელი იყო, რომ მუშები გაიყოფოდენ, მაგრამ საუბედუროთ, 1914 წელს ნათლად წარმოსდგა 1903 წლის გათიშვა. 1914 წელს მენშევიკურმა პარტიამ თანხმობა გამოუცხადა ჯალათებს, ხოლო კომუნისტური პარტია ომის წინააღმდეგი იყო. მაგრამ მაშინ ამ პარტიამ ვერ შესძლო თვისი ლოზუნგების განხორციელება. ომისათვის ხმის მიცემა დიდი შეცდომა იყო მენშევიკურ პარტიის მხრივ და ამას ისტორია აღნიშნავს თავის დროზე. 1917 წლის რევოლიუცია და ხელისუფლება ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში. მენშევიკები მათთან კოალიციის მომხრენი იყვნენ, ხოლო კომუნისტური პარტია ეწინააღმდეგებოდა ამას. მან მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ბურჟუაზიას და აი დღეს უკვე მოწმენი ვართ კომუნისტური პარტიის ბატონობისა. ჩვენ ვამაყობთ ამით. ვამაყობთ აგრეთვე იმით, რომ დღეს თქვენ ჩვენთან საერთო ენა გამონახეთ, აღიარეთ თქვენი შეცდომა. დღეს აღიარეთ შეერთების საჭიროება და საერთო მტრის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ კისერზე იჯდა და ჩვენს სისხლს სწოვდა, შებრძოლება. დღეს ბედნიერია როგორც კომუნისტური, ისე ყოფილი მენშევიკური პარტია.

გაუმარჯოს სოლიდარობას!

გაუმარჯოს კომპარტიას!

გაუმარჯოს ამხ. ლენინს!

ამხ. საყვარელიძის სიტყვა.

ამხანაგებო! არ შემიძლია სიტყვიერად გამოვსთქვა ის აღფრთოვანება, რომელსაც მე განვიცდი. დღევანდელი დღე წითელი ზოლით აღინიშნება ისტორიაში. ვულოცავ დღევანდელ დღეს იმ მუშებს, რომელთაც სწორე გეზი აუღიათ. ვისურვებთ, რომ თავისი სიტყვები მიეყვანოთ გამარჯვებამდის და მსოფლიო რევოლიუციის მოხდენამდის. ვწუხვართ მხოლოდ იმას, რომ დღეს არ ისმის ხმა ახალგაზრდა მარქსისტებისა, რომლებიც გვერდში უდგნენ თავის უფროსს ამხანაგებს. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში ისინიც შეიგნებენ, რომ ცუდ პლატფორმაზე იდგნენ. ამხანაგებო! კომუნიზმის აჩრდილი დაფრინავს ევროპაში, რომლის წინაშე ძრწის დახავსებული ბურჟუაზია. ვიბრძოლოთ ერთად საბოლოო გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას!

გაუმარჯოს ამ ბრწყინვალე დღესასწაულს!

გეგეშიძის სიტყვა.

ამხანაგებო! დღევანდელი დღე დიდი ისტორიული მოვლენა არის. დღეს ერთი ჯგუფი შენანიებით მოდის იმ ბანაკში, რომელმაც ბოლომდის დაიცვა მარქსიზმის პრინციპები. დღეს მენშევიკური მიმართულება კომუნიზმის დროშის ქვეშ სდგება და ვუსურვოთ, რომ დღევანდელი ხელის ჩამორთმევა ყოფილიყოს საფუძველი მომავალი გამარჯვებისა. მარქსმა სთქვა, რომ შესაძლებელია იყოს 15—30 წელი სამოქალაქო ომი არა მარტო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არამედ თავის თავის წინააღმდეგაც. და ეს ასეც მოხდა. ჩვენ ვებრძოდით ერთმანეთს. ერთხანს ჩვენ გვიჭერდენ, ეხლა ჩვენ ვიჭერთ. და კაპიტალიზმი არ იქნებოდა მუშებისათვის მაჯლაჯუნა, რომ იგი არ თიშავდეს მუშათა რიგებს. ჩვენც გავითიშეთ დროებით. და აი ამ გათიშვის დროს დედამიწის ერთ მეექვსედზე ჩვენ ჩვენი უფლება განვამტკიცეთ უთქვენოდ. შევქმენით რაღაც და კაცობრიობა საშინელი მდგომარეობიდან გამოვიყვანეთ. ბრძოლის დროს ცოტა უკანაც დავიხიეთ, დავთმეთ; შევქმენით ნეპო, მაგრამ ძალაუფლებას ხელიდან არ გაუშვებთ. ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ჩვენს რიგებს ვწმენდთ, ვამაგრებთ, ვამტკიცებთ. დღემდის ჩვენ შევინახეთ ძალაუფლება, რომელიც უთქვენოდ დავიპყარით. მაგრამ სოციალიზმის დამყარება მარტო ჩვენ არ შეგვიძლია. საჭიროა შეიქმნეს ფართო ფედერაცია, საჭიროა ვემზადოთ წინ შეტევისათვის. გავიმარჯვებთ თუ არა ამ ბრძოლაში? რასაკვირველია, გავიმარჯვებთ. ამის თავდებია ის, რომ დღეს ძველი რევოლიუციონერები ჩვენთან არიან და ერთად მოუღებთ ბოლოს კაპიტალიზმს.

გაუმარჯოს ხელი-ხელ ჩაკიდებულ წინსვლას დასავლეთ-ევროპის ციხე-კოშკების წინააღმდეგ!

გაუმარჯოს კომინტერნს!

გაუმარჯოს ლენინს!

გაუმარჯოს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს კომუნისტური დროშის ქვეშ!

სამანდატო კომისიის მოხსენება.

სიტყვების შემდეგ მოხსენებას აკეთებს სამანდატო კომისიის წევრი ამხ. ბერაძე. გორის სამაზრო დელეგატები არჩეული არიან 610 წევრის მიერ, ხაშურიდან არჩეულია 28 კაცი, ბორჯომიდან 16, გორიდან 12 და სურამიდან 3. სრულიად საქართველოს მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა კონფერენციაზე გორის მაზრიდან გაგზავნილია 16 კაცი.

რეზოლიუცია.

ძველი სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება, როგორც მოძღვრება წმინდა ინდუსტრიალურ პროლეტარიატის, ჩაისახა იქ, სადაც კლასს ჩაეყარა განვითარების პირველი საფუძველი. რუსეთში და კერძოდ ამიერ კავკასიაში ის არ ყოფილა შინაგან ეკონომიურ განვითარებით პირდაპირ წარმოშობილი, არამედ უფრო მზამზარეულ მეცნიერების სახით მოევლინა მას დასავლეთ ევროპისაგან. საქართველოში, სადაც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს უკვე შემოატანა კაპიტალიზმის სუსხმა და სადაც უმიწაწყლო გლეხობა საშინელ ექსპლოატაციას განიცდიდა, სოც. დემ. მეცნიერებამ პოხიერი ნიადაგი ჰპოვა და სწრაფი ნაბიჯით იწყო განვითარება, ჯერ კიდევ გარკვეულ კლასად ჩამოუყალიბებელმა საქართველოს გლეხებმა და ნახევრად პროლეტარებმა ამ პარტიის განვითარება—წინმსვლელობას თავისი დაღი დაასვა და შიგ შეიტანა საკუთარი სოციალური სული. ამიტომ იყო, რომ თუ რუსეთში სადმე გაისმოდა სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ ფრთის ხმა, მათ შორის ყველაზე მძლავრი და მქუხარე ქართული მენშევიზმის ხმა იყო, მაგრამ ყოველივე პოლიტიკურ პარტიის ზრდა და განვითარება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეეხამება ის დროისა და გარემოების მოთხოვნილებებს, რამდენად გამოხატავს ის საკუთარ მასის სულისკვეთებას და რამდენად პროგრესიულია და არა რეგრესიული ქართული მენშევიზმი თავის ჩასახვის დღიდანვე სწორედ ასეთ წინმსვლელობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. მან პირველად გამოუცხადა დაუნდობელი ბრძოლა ექსპლოატაციას და ჩაგვრას; მან გადმოისროლა სოციალურ-პოლიტიკური საკითხები და სასტიკი იერიში მიიტანა ეროვნულ შუღლის და მტრობის წინააღმდეგ. ამ ლოზუნგების გარშემო რაზმავდა ის რამდენიმე ათეულ წლობის განმავლობაში ქართველ მშრომელ ხალხს და მის რევოლიუციონურ მაჯის-ცემას ერთი წუთითაც არ ჩამორჩენია.

მაგრამ დროთა მსვლელობაში რუსეთის და მასთან საქართველოს სოციალ დემოკრატია ასცდა თავიდანვე აღებულ რევოლიუციონურ ხაზს და იდეურ გაკოტრების გზაზე შესდგა ფეხი. ამის პირველი მერცხალი,—მერცხალი საერთაშორისო მენშევიზმის სასიკვდილო ჯალამბერზე დაწოლის,—იყო, იმპერიალისტური ომი და სამხედრო კრედიტების დადასტურება ამ პარტიის მიერ გერმანიის რეიხსტაგში აქედან ერთხელვე გაკოტრების გზაზე შემდგარი საერთაშორისო მენშევიზმი შეუჩერებლივ ეშვებოდა ძირს და მისი გამოსწორების, გონზე მოსვლის იმედი უსაფუძვლო შეიქნა. საერთაშორისო ომს მოჰყვა მთელი რიგი რევოლიუციების დამარცხებულ ქვეყნებში. სოციალ-დემოკრატიამ აქაც აშკარად დაამტკიცა თავისი უფხიანობა და იდეური სიკოტრე. სოციალ-დემოკრატიის მიერ რუსეთის რევოლიუციის შეფასება, მისი პროგნოზი სრულიად გააქარწყლა და გააცამტვერა ამავე რევოლიუციის მსვლელობამ და განვითარებამ. დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება თავის არსებობის მეექვსე წელში იმყოფება, როცა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება არ კმაყოფილდება მხოლოდ, ძალა-უფლების შენარჩუნებით და დღითი-დღე ძლიერდება როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად როცა რუსეთის მშრომელმა ხალხმა შესძლო გამარჯვებული გამოსულიყო თეთრი გენერლების ბრძოლიდან და სამუდამოდ ამოეფხვრა ის რუსეთის სინამდვილიდან, დღეს ყველა გულწრფელ და პატიოსან რევოლიუციონერისთვის აშკარაა, რომ ოქტომბრის რევოლიუცია, რევოლიუცია რუსეთის პროლეტარიატის არ ყოფილა მოკლებული შინაგან ეკონომიურ განვითარების საფუძველს. ის არ ყოფილა ჩვეულებრივი პარტიზანშჩინა და მახნოვშჩინა, როგორც ეს ბევრ მის მტრებს და მათ რიცხვში სოციალდემოკრატიას წარმოედგინა; წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ შეეძლო რეპრესიების და ძალმომრეობის სახით არა თუ განემტკიცებია და გაეღრმავებია თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა, არამედ ძალა-უფლება შეენარჩუნებია რამდენიმე ხნით მაინც. რუსეთის სოც.-დემოკრატია ოქტომბრის „მეამბოხეთ“, როგორც თვითონ ამბობდა, მოკლევადიან არსებობის ვადას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ სინამდვილემ აქაც დაამტკიცა ამ შეხედულების სიყალბე.

ოქტომბრის რევოლიუციის პროცესში, როცა რუსეთის პროლეტარიატი ომისგან დაღუპვის კარამდე მიყვანილ ქვეყნის მეურნეობით ხელში სისხლით იცლებოდა კონტრ-რევოლიუციასთან უმაგალითო ბრძოლაში, რუსეთის სოციალ-დემოკრატია სავსებით გაჰქრა პოლიტიკურ ასპარეზიდან ზოგ შემთხვევაში კი აშკარა კონტრ - რევოლიუციასაც უჭერდა მხარს. საქართველოს სოციალ-დემოკრატიამაც იმავე გზით იწყო სვლა, რომლითაც მისი თანამოძმენი მიდიოდენ რუსეთის დანარჩენ პერიფერიებში. ოქტომბრის რევოლიუციის უარყოფის მიზნით, მან საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ისეთი პატარა და ეკონომიურად განუვითარებელი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, რუსეთიდან მოწყვეტის შემდეგ უნდა შესულიყო ეკონომიურ და მასთან ერთად პოლიტიკურ კავშირში სხვა სახელმწიფოებთან. და ჩვენ ვხედავთ. რომ ამ კავშირმა საქართველოს მშრომელ ხალხს ნიკოლოზ 2 უღელი ევროპის იმპერიალისტების უღლით შეუცვალა; მთელი სამი წლის განმავლობაში, ქართველი ხალხი ნებით თუ უნებლიეთ კონტრ-რევოლიუციის ბანაკში მოექცა და მის გამარჯვებას ემსახურებოდა.

მაგრამ, როცა საქართველოში შემოიჭრა ოქტომბრის ქარიშხალი, როცა ჩვენი [illegible] პროლეტარულ რევოლიუციის ფერხულში, ქართულმა სოც.-დემოკრატიამ არც აქ ისურვა სინამდვილესთან შერიგება მთელი მისი ენერგია და უნარი საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ მომართა. ბრძოლის უმთავრეს საგნად—კი ეროვნული კითხვა გაიხადა და პირველ მოთხოვნილებად საქართველოდან წითელი ჯარის გაყვანა გამოაცხადა. ეს მაშინ, როცა თვით ეს პარტია აშკარა საბოტაჟის გზაზე დგას, როცა თვით ის დაინტერესებულია იმაში, რომ ჩამოაშოროს საბჭოთა ხელისუფლებას ქვეყნის ცოცხალი ძალები. ასეთ პირობებში, როცა სოც.-დემოკრატია უაღრეს რეაქციონურ პარტიებთან გაერთიანებული ფრონტით ირაზმება პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, ძნელია ადგილობრივ შეიქმნას ეროვნული წითელი ლაშქარი, რომელიც უზრუნველყოფს რევოლიუციის მონაპოვართა ხელშეუხებლობას. ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა, აქამდე გათიშულ მშრომელი მასის რევოლიუციონურ აღმშენებლობისკენ დაბრუნება დააჩქარებს პროლეტარულ ხელისუფლების ადგილობრივ გამკვიდრებას და ხელს შეუწყობს ეროვნულ დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

დღეს მთელი მსოფლიო ორ მებრძოლ ბანაკად არის დარაზმული. ერთი მხრივ ძველი, რეაქციონური ანტანტა და მეორე მხრივ რევოლიუციონური პროლეტარიატი და საბჭოთა რესპუბლიკები. მომავალი უსათუოდ უკანასკნელს ეკუთვნის. ისტორია არავის არ აპატიებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, რა კეთილი განზრახვითაც არ უნდა ხდებოდეს ის. ყოველი ნაბიჯი პროლეტარულ რევოლიუციის წინააღმდეგ, ყოველი ცდა მისი დამარცხების,—ისტორიულ დანაშაულობად ჩაითვლება რევოლიუციის წინაშე.

გამოვდივართ რა ყოველივე ნათქვამიდან, ჩვენ სრული შეგნებით ვიზიარებთ მესამე ინტერნაციონალის პლატფორმას, დაშლილად ვაცხადებთ გორის მაზრის მენშევიკურ პარტიის ორგანიზაციებს და მოვუწოდებთ ყველა მშრომელ ხალხის კეთილმოსურნე ამხანაგებს ჩადგენ რევოლიუციის რიგებში.

გაუმარჯოს ჩვენს პროლეტარულ ძმობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

ამხ. პოლიტიკურ პატიმრებს!

ამხანაგებო! საქ. სოც.-დემ. პარტიის რევოლიუციონურმა ელემენტებმა უკვე ჰპოვეს ის გზა, რომლისკენაც მათ საკუთარი სოციალური ბუნება მოუწოდებდა. დღეს იყრება საქართველოში პროლეტარული სოლიდარობის და ძმობის ურყევი საფუძველი. ამხანაგებო! ვინ არ იცის, რომ უდაო ჭეშმარიტებაა, რომ მუშათა კლასის გამარჯვების და საბოლოო მიზნის მიღწევის თავდები პირველ ყოვლისა მუშათა კლასის მთლიანობაშია. რა გინდათ თქვენ, ამხანაგებო, დღეს ციხის კედლებში, ვის ებრძვით და ვის წინააღმდეგ ირაზმებით? რევოლიუციონურ აღმშენებლობის, ისტორიაში ჯერ არნახულ ეკონომიურ-პოლიტიკურ გარდატეხის დროს, საით არის თქვენი სიმპატია და თანაგრძნობა? დღეს უკვე სადავო აღარ არის, რომ სოც. დემ. პარტია ობიექტიურად კონტრ-რევოლიუციის ბანაკში მოექცა. ეს აშკარად აღიარა თბილისის, გურიის, ქუთაისის კონფერენციებმა; ამას გეუბნება თქვენც გორის სამაზრო კონფერენცია. როცა კონტრრევოლიუციას და მთელ ძველ რეაქციონურ ქვეყანას იერიშები მოაქვს საბჭოთა რესპუბლიკების, პროლეტარულ რევოლიუციის წინააღმდეგ, თქვენი ვალია საკუთარ კლასის რიგებში იდგეთ და მის გამარჯვებას ემსახურებოდეთ. რევოლიუციონერს არ შეშვენის რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა. აღიმაღლეთ, ამხანაგებო, ხმა, გადალახეთ ფუჭი, უადგილო თავმოყვარეობა და განაცხადეთ გაბედულად ის, რასაც გრძნობს თქვენი რევოლიუციონური გული და რასაც გეუბნებათ თქვენი საკუთარი სინიდისი. რას ელოდებით მანდ. ჩვენ არ გვჯერა, რომ თქვენ დაინტერესებული იყოთ საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებაში.

რევოლიუციისკენ მოგიწოდებს თქვენ თქვენი საკუთარი წარსული და თქვენც აქეთკენ მოგიხმობთ ჩვენ, ახალ გზაზე შემდგარი თქვენი ამხანაგები!

ძირს ჩვენი მტრობა და შუღლი!

გაუმარჯოს მთლიან რევოლიუციონურ ფრონტს!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

საქართ. ყრილობაზე გაგზავნილი დელეგატების სია.

ხაშურიდან

1. ბერაძე ლავრენტი, 2. მახათაძე კოტე, 3 მანჯგალაძე ლავრ. 4. ჩიკვაიძე დიმიტრი, 5. კვალიაშვილი მოსე.

ბორჯომიდან

6. როსტომაშვილი არშაკი, 7. მუხურაძე მოსე, 8. ელისაშვილი არჩილი, 9. ვარდოიანი გიორგი.

გორიდან

10. გაჩეჩილაძე შალვა, 11. ქერეჭაშვილი ნესტორ, 12. მურადოვი სტეფანე, 13. ტურიაშვილი ჩიტა, 14 ნავროზაშვილი ვანო.

სურამიდან

15. მურვანიშვილი ვანო, 16. ვარსიმაშვილი მიხა.

კანდიდატები:

1. ნოზაძე სანდრო, 2. კვინიკაძე ლავრენტი, 3. ლომიძე ნოსები, 4. კორძაია ისიდორე, 5. ქალიაშვილი სერგო, 6. გოგიჩაშვილი დავით, 7. შუბლაძე ანდრო.

რკობის სხვა მიმართულებით დასრულება, ვინემ ამას ფიქრობდენ გერმანიის იმპერიალისტები.

ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ცნობებიდან მტკიცდება, თუ როგორი დიდი როლი ითამაშა ნავთმა ომის წარმოებაში. ომის შემდეგ გენ. ფოში ამბობდა: „ჩვენი გამარჯვება გერმანეთზე იყო გამარჯვება „გრუზავიკისა“ ორთქლმავალზე“.

1918 წელში, როდესაც იწყება გადამწყვეტი შეტაკებანი გერმანიის წინააღმდეგ, საფრანგეთის მაშინდელი პრემიერი კლემანსო, ისტორიული წერილით მიმართავდა ვილსონს ნავთით დახმარების შესახებ, რომელიც „უფრო აუცილებელია გამარჯვებისათვის საერთო მტერზე, ვინემ სისხლი“. ლორდ კერზონმა თავის ერთ სიტყვაში (1918 წ.) ისტორიული ფრაზა გადმოისროლა ნავთის მნიშვნელობის შესახებ საერთაშორისო ომში: „მოკავშირეები გამარჯვებისაკენ მისცურავდენ ნავთის ტალღებზე“. ფრანგმა სენატორმა ბერანჟემ აღნიშნა: „უნავთოთ ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით გერმანეთზეო“, ცნობილი დიპლომატები და ეკონომისტები დაბეჯითებით აღნიშნავდენ, რომ 1914 წლის საერთაშორისო ომმა აღმოაჩინა ნავთიო. ეს მართალია იმდენად, რამდენადაც ომმა გამოააშკარავა ნავთის უპირატესობა ქვანახშირთან შედარებით და მისი ტეხნიკური ღირებულება როგორც ომის წარმოების საქმეში, ისე მრეწველობაში უდავო გახადა. ტეხნიკურად ნავთის ეკონომიური ღირებულება ცხადი შეიქმნა მას შემდეგ, რაც დიზელის მოტორები გახდა ერთ-ერთ დიდ ტეხნიკურ მიღწევად. ომმა მეცნიერულად აღმოჩენილი და დამტკიცებული და ახალი ტეხნიკის მიხედვით ნავთის გამოყენების მხოლოდ რეალიზაცია მოახდინა. ამგვარად, ნავთი ეკონომიური პრობლემის პირველ რიგში დგება. ეს სისხლზედ უფრო აუცილებელი სითხე საჭირო შეიქნა არა მარტო საერთაშორისო ომის დროს, არამედ მშვიდობიანი ცხოვრებისათვისაც; ნავთი ეკონომიურ ცხოვრების წარმატების ერთი ფაქტორთაგანი შეიქნა: საერთაშორისო პოლიტიკა დღეს ნავთისკენაც არის მიმართული.

1921 წელს, ცნობილ ეკონომიურ ჟურნალის „რივიუ ეკონომი ინტერნაციონალის“ რედაქტორი ამ საკითხზე სწერდა შემდეგს: „იმ ეკონომიურ პრობლემათა შორის, რომელიც უშუალო გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა პოლიტიკაზე, ნავთის საკითხმა ომის დასაწყისიდანვე მოიპოვა პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა. ხშირად გვესმის, რომ ჩვენ ვდგევართ ახალი კონფლიქტის წინაშე. „სტანდარტ ოილი“-ს „როიალ დეჩ“-თან ერთად, რომლებმაც ხელახლად გახლიჩეს მსოფლიო ორად, შეუძლიათ მიგვიყვანონ ინგლის-ამერიკის ომამდე“. ეს არის ბურჟუაზიული ჟურნალის რედაქტორის აზრი, ასე მწვავედ დასდგა ომის შემდეგ ნავთის საკითხი არა მარტო დიდ მონოპოლიურ ტრესტებს, არამედ დიდ სახელმწიფოთა შორისაც.

ნავთის გამო რასაკვირველია ომამდისაც არსებობდა ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლას უმთავრესად ნავთის ტრესტები აწარმოებდენ და თვით სახელმწიფონი იშვიათ შემთხვევაში ერეოდენ მათ საქმეებში. წინააღმდეგ იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ძალდატანებას ახდენდა ნავთის ტრესტებზე და სდევნიდა მათ, როგორც მაგ. ეს მოხდა ამერიკაში „სტანდარტ ოილი“-ს კამპანიის მიმართ რუზველტის პრეზიდენტობის დროს. ომამდე ტრესტებს უმთავრესად ბრძოლა უხდებოდა ნავთის გასასაღებელ ბაზრების დაპყრობის გარშემო. ომმა რადიკალურად შესცვალა ასეთი დამოკიდებულება და პოლიტიკა: ერთის მხრით მან თვით სახელმწიფოსა და ნავთის ტრესტების ინტერესები ერთი-მეორეს დაუახლოვა და შეაუღლა, მეორეს მხრით, ნავთის საკითხში აღნიშნულ ორგანიზაციების მთავარ ამოცანად წამოაყენა არა **ნავთის გასასაღებელი ბაზრების ძებნა, არამედ თვით ნავთიანი რაიონებისა და ახალი ჭების დაპყრობა.**

ს. ხ.

(დასასრული იქნება)

პროფკავშირებში

აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო მუშაობა.

კავშირების ძირითად უჯრედების რწმუნებულის ვადის გასვლის გამო, გატარებულ იქნა კამპანია მათი განახლების შესახებ.

ადგილკომების ახალ შემადგენლობაში შევიდნენ უფრო აქტიური მუშაკები.

ადგილკომების ხელახალი არჩევნები აგრეთვე ერთი საუკეთესო მეთოდთაგანი აღმოჩნდა პროფმუშაობის გასაცხოველებლათ.

აღნიშნული კამპანიის ჩატარების შემდეგ აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭომ შეუდგა პროფკავშირთა სრულიად საქართველოს 3 ყრილობის რეზოლიუციების პოპულიარიზაციის კამპანიის ჩატარებას.

სოფლის მეურნეობის მუშების ჩაბმა კავშირის მუშაობაში.

აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭომ ენერგიული ზომები მიიღო თამბაქოს პლანტაციების სოფლის მეურნეობის მუშების კავშირების მუშაობაში ჩაბმისათვის.

მუშაობა ამ მიმართულებით მეტად ფერხდება იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის მუშები დაქსაქსული და ნაწილობრივ შეუგნებელი არიან.

მუშების მცირე რაოდენობა უკვე ჩაბმულია კავშირების მუშაობაში, შემდეგში კავშირები შეეცდებიან მიიზიდონ სოფლის მეურნეობის ყველა მუშები.

წითელ ჯარში

გაზეთ „წითელ არმიელის" გავრცელების შესახებ

საქართველოს გასაბჭოების დღიდანვე დაიბადა მისი დამცველი ახალი შეიარაღებული ძალა, საქართველოს მუშათა და გლეხთა წითელი ლაშქარი. მასთანვე ერთად დაიბადა მისი ინტერესების და ცხოვრების გამომხატველი გაზეთი „წითელარმიელი", რომლის დანიშნულება არის ქართულ წითელ ჯარის აღზრდა და განვითარება როგორც სამხედრო, აგრეთვე პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში.

მიუხედავად მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, გაზეთ „წითელარმიელს" არც ერთ წუთითაც არ შეუწყვეტია თავისი მუშაობა და ის განაგრძობს თავის მძიმე მოვალეობის შესრულებას.

გაზეთ „წითელარმიელს" აქვს არსებობის მესამე წლის ისტორია, რომელსაც, სამწუხაროდ, დღემდე საკმაოდ არ იცნობენ, როგორც საბჭოთა დაწესებულებები, აგრეთვე საქართველოს ფართო მუშათა და გლეხთა მასები.

გაზეთ „წითელარმიელმა" თავისი მუშაობით ამ ხნის განმავლობაში საქართველოს წითელ ლაშქარში მოიპოვა დიდი ავტორიტეტი. წითელ მოლაშქრეს ცხოვრება მჭიდროთ არის დაკავშირებული გაზეთთან.

გაზეთ „წითელარმიელს", რომელიც ერთად-ერთი ორგანოა ქართული წითელი ლაშქრის, ყველა უნდა იცნობდეს, ვინც დაინტერესებულია საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვებით.

საქართველოს მშრომელი მასები ახლოს უნდა იყვნენ ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებასთან მისი ბეჭდვითი ორგანოს საშუალებით, რომ ამით ყოველდღიური ცოცხალი კავშირი იქონიონ წითელ ჯართან, რომელიც შესდგება მათივე ძმებისა და შვილებისაგან.

საბჭოთა რუსეთში მუშებს და გლეხებს, აგრეთვე სამკითხველოებს, სხვა გაზეთ-ჟურნალებთან ერთად აქვთ გამოწერილი წითელი ლაშქრის ჟურნალ-გაზეთებიც, რითაც მათ საშუალება აქვთ ნათელი წარმოდგენა იქონიონ როგორც წითელ ჯარში გაწვეულ თავიანთ შვილებზე, აგრეთვე საერთოდ წითელ ჯარის ცხოვრებაზე.

საქართველოში კი წითელ არმიის ერთად-ერთი ორგანო „წითელარმიელი" დღემდე არ არის საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული. საჭიროა ზომების მიღება მისი ფართო გავრცელებისთვის მშრომელ ხალხში.

ამის მიღწევა არც ისე ძნელია; საჭიროა მხოლოდ მშრომელთა ყურადღების აქეთ მიპყრობა. ყველა საბჭოთა დაწესებულებებმა, ფაბრიკა-ქარხნებმა და სამკითხველოებმა როგორც ქალაქათ, ისე სოფლად უნდა გამოიწერონ გაზეთი „წითელარმიელი" და მით გაეცნონ მშრომელთა სახელოვანი ლაშქრის ცხოვრებას. ეს საუკეთესო საშუალებაა წითელ ჯართან დასაახლოვებლად.

ქ. გვალია.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების კომიტეტის პირველი სხდომა

18 აგვისტოს მუშათა ცენტრალურ კლუბში მოხდა საჯარო საზეიმო კრება ფლოტის მეგობართა საზოგადოების დაარსების შესახებ. კრებაზე გამოსული ამხანაგები აუცილებელ საჭიროებათ სცნობდენ უკრაინისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად ა | კავკასიაშიაც დაარსდეს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება. ამავე კრებაზე არჩეულ იქნა საზოგადოების ტფილისის კომიტეტი, რომელმაც უნდა იკისროს ამ საზოგადოების შექმნა და ორგანიზაცია ჯერ საქართველოს და შემდეგ ა. | კავკასიის მასშტაბით. საზოგადოების მიზანია გასწიოს ხალხის ფართო მასებში საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ ფართო აგიტაცია, ხელი შეუწყოს ავიაციის განვითარებას საზოგადოების წევრთა დახმარებით. კონკრეტიულად ეს უნდა გამოიხატოს ლექციების და მოხსენებების მოწყობაში ავიაციის განვითარების შესახებ და აგრეთვე ავიაციის განსავითარებლად ნივთიერ სახსარის გამონახვაში.

კომიტეტის პირველი სხდომა ამხ. მარ ესენის თავმჯდომარეობით შესდგა 20 აგვისტოს, დილის 12 საათზე. კრებას დაესწრო კომიტეტის შემადგენლობა. დღის წესრიგში დასმული იყო სამი ძირითადი საკითხი: 1) წევრად ჩარიცხვის წესი, 2) საწევრო გადასახადის რაოდენობა, 3) წესდების შემუშავება.

საზოგადოებაში წევრად ჩარიცხვა შეუძლია ყოველ მოქალაქეს, რომლის მოქალაქეობრივი ღირსება შელანძღული არ არის რაიმე დანაშაულობით.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია წევრად ჩარიცხვის წესის გამომუშავებამ. როგორი გზით უნდა სწარმოებდეს წევრის მიღება—კოლექტიურათ თუ პერსონალურად. ზოგი ამხანაგთაგანი იცავდა კოლექტიურ წევრობას იმ მოსაზრებით, რომ ამ საშუალებით საზოგადოება უფრო გადიდდება და გაფართოვდება. მეორენი პირველ ხნობით საზოგადოების გაფართოებას საჭიროთ არ სცნობენ და უფრო დაინტერესებული იყვნენ საზოგადოებაში ისეთ წევრის მიღებით, რომელთაც ყოველგვარ უნებლიეთი ძალდატანების გარეშე იზიდავს საჰაერო ფლოტის განვითარების საქმე. ამ მოსაზრებით იცავდენ ინდივიდუალურ წევრობას. კამათის შემდეგ შემოტანილ იქნა წინადადება, რომლის მიხედვით ყოველ ორგანიზაციას, პროფკავშირს და ადგილკომებს ევალებათ პროპაგანდის გაწევა წევრობის შესახებ და აგრეთვე წევრების მიღება პერსონალურად. წევრად ჩაწერა შეუძლიათ მთელს ორგანიზაციებსაც, რომლებიც საწევრო გადასახადს იხდიან შეთანხმებით. თვითეულ წევრზე დაწესდა სამი მანეთი (ჩერვ.) საწევრო გადასახადი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს ნაწილნაწილად სამჯერ წელიწადში. წითელ არმიელებზე საწევრო გადასახადი დადგენილ იქნა 9 კაპიკი (ჩერვონც.).

ამაში არ შედის საკომანდო შემადგენლობა, წითელ არმიელნიც საწევრო ფულს იხდიან ნაწილ ნაწილად, შემდეგ არჩეულ იქნა კომიტეტის ბიურო, რომელსაც ევალება საზოგადოების ჩამოყალიბება და ორგანიზაცია. ბიუროში შედიან შემდეგი ამხანაგები: სუტირინი, ხეჩინოვი, ვარტაპეტიანცი და მაჭავარიანი. კანდიდატებად: ავალიანი და ნაზაროვი. კომიტეტის და ბიუროს დროებით ბინად რჩება კომ. პარ. ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების ოთახი. საზოგადოების წესდების შედგენა მსგავს ორგანიზაციების მიხედვით და რედაქცია დაევალა ამხ. **სუტირინს**. გადაწყდა აგრეთვე შემუშავებული იქნა საზოგადოების წევრთათვის სათანადო გერბი.

კრება დღის ორ საათზე შესწყდა.

ქრონიკა

— **ყალბი ფულების შესახებ.** ა.—კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ყალბი ფულები (1 მ.) № A. 02005 და № 10004 დაბეჭდილია უბრალო ქაღალდზე და არა აქვს წყალის ნიშნები (ფონი). სერია A. 02005 ა—კ. ნამდვილ ფულის ნიშნებში სრულებით არ არის. დანარჩენი ფულის ნიშნები მათ შორის სერია 10004 წყლის ნიშნით ყალბი არ არის და სავალდებულოა მისაღებათ.

— **სიების წარდგენა.** შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს ცირკულიარი სტატისტიკურ ბიუროსთან ერთად, რათა ყველა წარმოებებმა თავის დროზე წარმოადგინონ შრომის კომისარიატში თავიანთი მუშა მოსამსახურეთა სია.

— **მევენახეობა მეღვინეობის საცდელი სადგური.** კახეთში გაიხსნა მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგური, რომლის საშუალებით უკვე დაიწყო კახეთის ნიადაგის გამოკვლევა.

— **მეღვინე-მევენახეთა ყრილობა.** 21 აგვისტოს წინანდალში გაიხსნა მეღვინე-მევენახეთა ყრილობა. ყრილობის მიზანია გამოარკვიოს მევენახეობის მდგომარეობა საქართველოში და გამოიმუშაოს გეგმა მევენახეობის გასაუმჯობესებლათ.

— **შტატის გადიდება.** შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა მუშაობის გასაძლიერებლათ გადიდებული იქნეს სტატისტიკურ ბიუროს შტატი.

— **ნიადაგის გამოკვლევა.** მიწადმოქმედების კომისარიატის საცდელი ქვე-განყოფილება 25 აგვისტოს გზავნის სპეციალურ კომისიას ქიმიკოს კალინის თავმჯდომარეობით, აღმოსავლეთ საქართველოში ნიადაგის გამოსაკვლევათ.

— **გლეხების ექსკურსია რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.** 27 აგვისტოს სპეციალისტების ხელმძღვანელობით მიემგზავრება გლეხების ექსკურსია მოსკოვში, რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლათ.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასანათხოვრებელი პუნქტები.** მიწად-მოქმედების აგრონომიულ დახმარების ქვე-განყოფილების გამგემ დაათვალიერა რესპუბლიკაში არსებული სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღების გასანათხოვრებელი პუნქტები და გასცა განკარგულება პუნქტების იარაღებით უზრუნველყოფის შესახებ.

— **შაბიამან-გოგირდის მიწოდება.** მიწად-მოქმედების კომისარიატი აგრონომიულ დახმარების ქვე-განყოფილებამ წელს ყველა მაზრების მოთხოვნილება სავსებით და თავის დროზე დააკმაყოფილა შაბიამან-გოგირდის მიწოდებით.

— **მუშაობის პირობების მოწესრიგება პურის საცხობებში.** შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს მეფურნეებში, საკონდიტეროებში და საერთოდ პურის საცხობებში მუშაობის პირობების გეგმა მწარმოებლებთან შეთანხმებით.

უმუშევართა დაზღვევის ინსტრუქციის შეცვლა. შრომის კომისარიატმა დაამტკიცა ინსტრუქცია სახელმძღვანელო უმუშევართა დახმარების და შეღავათის აღმოჩენის შესახებ ზოგიერთი ცვლილებით: 1) შრომის ბირჟაში აღრიცხვის ვადა მუშაობის შეწყვეტიდან განისაზღვროს 2 კვირის მაგიერ 4 კვირით, 2) 6 მუხლში აღნიშნული დახმარების ვადა 6 თვე შეცვალოს არა უმეტეს 6 კვირით, 3) 23 მუხლი შეიცვალოს შემდეგით: „უარზე დახმარების მიცემის შესახებ შეიძლება განსაჩივრება". ინსტრუქცია ძალაში შევა 1 სექტემბრიდან.

— **ჯარის პოლიტ ხელმძღვანელთა კურსანტების ექსკურსია.** 25 აგვისტოს ბორჯომ-ბაკურიანში გაემგზავრება პოლიტ-ხელმძღვანელთა კურსების მსმენელთა ექსკურსია.

— **ბავშვთა საავადმყოფო.** აღმასკომმა დაადგინა კუკიის საავადმყოფოში გახსნას ბავშვთა ცალკე საექიმო კაბინეტი, სადაც მოწვეულნი იქნებიან სპეციალისტი ექიმები.

— **შენობების დაბრუნება.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა საცეკვაო სკოლების გაუქმების გამო განთავისუფლებული სახლები გადაეცემათ პატრონებს იმ შემთხვევაში, თუ ხსენებულ სახლებში ჩასახლებულ შეღავათიან მდგმურთა რიცხვი აღემატება 35 პროც.

— **გრილი სასმელების შესახებ.** ქალ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ დაადგინა გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც გამაგრილებელ სასმელების დამამზადებელ ქარხნებში მუშაობას უნდა ხელმძღვანელობდენ პროვიზორები და ქიმიკოსები, აგრეთვე სასმელების ბოთლებზე აღნიშნული უნდა იქნეს სასმელი შაქრით არის თუ სახარინით დამზადებული.

— **მარქსისტული ლიტერატურა.** ა.—კ სახ. კომისართა საბჭომ სახელმწიფო გამომცემლობას მარქსისტული ლიტერატურის გასაიაფებლათ და გასავრცელებლათ გადასცა 10 მილიარდი მან.

— **ალექსანდროპოლში არხის გაყვანა** ა.—კ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა ალექსანდროპოლში არხის გასაყვანად.

— **საქართველოს რესპუბლიკის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.** ა—კ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის (ივნისის ივლისის და სექტემბრის) ხარჯთ-აღრიცხვა.

— **იურიდიული კურსები.** იურიდიული კურსები, რომლის მიზანია მოამზადოს სასამართლოს დარგში მუშაკნი, უკვე დაამთავრა 60 კაცმა, რომლებიც დაიგზავნენ ადგილებზე სამუშაოთ.

— **სამოქალაქო კოდექსი.** იუსტიციის კომისარიატი შეუდგა სამოქალაქო კოდექსის და საქართველოს სასამართლოს წესდების ბეჭვდას, რომელიც მიღებული იყო სრ. საქ. ცენტრ. აღმასკომის მეოთხე სესიის მიერ.

— **სასამართლოს რეფორმა.** იუსტიციის სახ. კომისარიატმა უზენაეს და საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეებთან ერთად გამოიმუშავა ინსტრუქცია სასამართლოს დაწესებულებების რეორგანიზაციის შესახებ.

— **მოსავალი რაჭა-ლეჩხუმში.** რაჭის და ლეჩხუმის მაზრებში პურის მოწევა უკვე დამთავრდა მოსავალი საშუალოა.

— **ნახნავ-ნათესის არე.** მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობით წელს მთელ საქართველოში აფხაზეთის და აჭარა-ქობულეთის გამოკლებით დათესილია 600,000 დესეტინა მიწა, რაც უდრის ომის წინა დროის რაოდენობას.

— **კონკურსი არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის პროექტზე.** არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ამგებ კომისიამ გამოაცხადა კონკურსი ხსენებულ ძეგლის პროექტზე. პირველი ჯილდო 15 ჩერვონეცი, მეორე— 10 ჩერ.

— **უმუშევრობა.** 18 აგვისტოს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 454 უმუშევარი აქედან 236 კაცი და 218 ქალი. ამავე დღეს ჩაეწერა ახალი უმუშევრები 122—56 კაცი და 66 ქალი. სამუშაოზე გაიგზავნა 68 უმუშევარი.

— **სტუდენტთა მიმღები კომისიები.** განათლების კომისარიატის დადგენილებით დანიშნული არიან სტუდენტთა მიმღები კომისიების თავმჯდომარეებათ. სახელმწიფო უნივერსიტეტში—ღ. რუხაძე და პოლიტეხნიკუმში ე. მამულაიშვილი

— **საქონლის ჭირი.** ივლისში საქონლის ჭირი გავრცელებული იყო ტფილისის და ბორჩალოს მაზრებში. უკანასკნელ რიცხვებში ციმბირის ჭირმა ფართე ხასიათი მიიღო აგრეთვე ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში. ჭირის საწინააღმდეგოთ მიღებულია ენერგიული ზომები.

ხელოვნება

ოპერა მუშათა კლუბის თეატრში.

სახელმწიფო ოპერის ახალგაზრდა მსახიობთა კოლექტივს მიზნათ დაუსახავს მუშათა კულტურული დონის ამაღლება და ამ მიზნით ის მუშათა კლუბის სცენაზე სდგამს საოპერო წარმოდგენებს. ასეთი განზრახვა ყურადღების ღირსია პირველათ იმიტომ, რომ მისი მიზანი მეტათ სიმპატიურია და მეორეც საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულების გამო როგორც საოპერო პარტიების ამსრულებელთა მხრივ, ისე ორკესტრის პარტიის შემსრულებელის მხრივაც, რომელიც ამ წარმოდგენებზე ტეხნიკურ პირობათა გამო შეცვლილია ფორტეპიანოს აკომპანიმენტით (clavier).

დიდი მუშაობა დააწვა სახელმწიფო ოპერის კონცერტმეისტერ მელიქ-ფაშაევს, რომელმაც იკისრა ოპერების საორკესტრო პარტიების შესრულება; ასეთი სამუშაოს დაძლევა დამთავრებული სახით შეუძლია მხოლოთ განსაკუთრებულ მუსიკალურ ნიჭს, რადგან ერთ და იმავე დროს საჭიროა აკომპანიმენტის შესრულება, თვალყურის დევნება ვოკალურ შესრულებათათვის, და აგრეთვე რიტმისა, ტემპისა და დინამიურ დასურათებისათვის.

ეს სამუშაო მეტათ დიდია და კონცერტმეისტერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მსახიობმა სრულიად დამაკმაყოფილებლათ ჩაატარა თავისი პარტია, რამდენათაც ამას ხელს უწყობდა დადგმის ტეხნიკური პირობები და პარტიტურის ცოდნა და მუსიკალური გამოცდილება. ამიტომ ზოგიერთი დეფექტები, რომელნიც სჩანდენ შესრულების დროს: 1) შემცდარი ტემპი: კულისებს გარეშე გუნდი,—მეფისტოფელის კუპლეტები, 2) არა საკმაო დინამიკა, 3) კონტრასტების უქონლობა და 4) ყოველთვის არა გარკვეული ფრაზიროვკა,—არ შეიძლება ნათლათ ჩაეთვალოს ახალგაზრდა მაესტროს, რომელმაც ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ ვოკალურ შემსრულებელთა შესაძლებელ ანსამბლისათვის მიეღწია. რიტმი, რომელიც საფუძველია აკომპანიმენტის, ზოგიერთი გამონაკლისით, (ვალენტინას არია) სწორი იყო.

აკომპანიმენტის ნაკლი უმთავრესათ აიხსნება იმით, რომ ფორტეპიანო დაშლილი იყო; საჭიროა მისი მოწყობა. საჭიროთ მიმაჩნია ავღნიშნო აგრეთვე აკომპანიმენტის დადებითი მხარეებიც; კარგი იყო მეფისტოფელის სერენადას აკომპანიმენტი კონტრაპუნქტული თვისებებით და აგრეთვე მარგარიტას ვოკალურ სცენის აკომპანიმენტი და განსაკუთრებით ფინალი (მიმართვა ვარსკვლავებისადმი).

საორკესტრო ნაწილის შესრულების მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ახალგაზრდა კონცერტმეისტერის სახეში ჩვენ ვხედავთ სერიოზულ მუსიკალურ მოღვაწეს და იმედი გვაქვს, რომ მისგან გამომუშავდება კარგი დირიჟორი იმ აუცილებელ პირობით, რომ ის მკაცრ ანალიზს და თვითკრიტიკას გაუკეთებს თავის მოღვაწეობას; ის არ უნდა გაიტაცოს იმ ადვილმა გამარჯვებამ, რომელიც მან აუდიტორიის თვალში მიიღო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდა კონცერტმეისტერს უეჭველი ნიჭი აქვს და საჭიროა მისი განვითარება.

დავუცადოთ მოქ. მელიქ-ფაშაევის შემდეგ გამოსვლებს უფრო ხელსაყრელ პირობებში, რომ საბოლოვო დასკვნა შევიმუშაოთ მისი ნიჭის შესახებ.

მარგარიტას პარტიას ასრულებდა სახელმწიფო ოპერის მსახიობი ქალი მაზოვეცკაია, მეტად მუსიკალური და ნიჭიერი მომღერალი. საჭიროა მომღერალმა ყურადღება მიაქციოს ხმის ტეხნიკურად დეტალურ დამუშავებას (კოლორატურა ვერ არის მკაფიო), ფრაზიროვკის გაუმჯობესებას და სიმღერის რიტმიულობას. მთელი სცენიური გადმოცემა მოფიქრებულია, განსაკუთრებით სცენა ვალენტინთან მესამე მოქმედებაში. აქ ბევრი რეალური პროზა იყო.

მშვენიერი ხმა აქვს სახელმწ. ოპერის მსახიობს ბლაგოობრაზოვს (მეფისტოფელი)—კეთილშობილი ტემბრი, ფართო კანტილენა. მომღერალი კარგათ ხმარობს ხმას ყველა რეგისტრებში. სცენიურმა გადმოცემამ დადებითი შთაბეჭდილება დასტოვა.

სახელმწიფო ოპერის მსახიობი იგონინი წარმატებით მიდის წინ, მშვენიერათ მღერის მსახიობი პირველ სცენას. კავატინაში საჭიროა მეტი ლირიზმი. გრიმი და კოსტიუმი მოხდენილი იყო.

სახელმწიფო ოპერის მსახიობმა მოქ კრიჟანოვსკიმ დიდი ხანია უკვე სახელი გაითქვა თავის მუსიკალობით და ხმის მშვენიერი ტემბრით. საჭიროა პირველი არიის უფრო რიტმიულათ სიმღერა. ძალიან კარგი იყო სცენიური გადმოცემა.

პირველათ მოვისმინეთ ჩვენ ზიბელის პარტია ტენორის შესრულებაში ის დაწერილია Mezzo soprano-სთვის ან და contralto-სთვის. მოქ. კურბატოვმა მშვენივრად შეასრულა პარტიის ვოკალური მხარე და ახალგაზრდა სტუდენტის ლამაზი სახე მოგვცა. საერთოდ მსახიობი შესამჩნევათ მიიწევს წინ.

მართა მოქ. ზასლავსკაიას შესრულებაში მხიარული და შარჟს მოკლებული გამოვიდა.

გუნდის შესახებ გავჩუმდები. დადგმა სრულიად მისაღებია. სავსე აუდიტორიამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ყველა ამსრულებელნი.

სარეჟისორო და სუფლიორის ნაწილი გამოცდილი პირების ხელშია.

მუსიკოსი.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

(სახალხო სასურსათო კომისარიატის ცნობებით)

რევიზორ-ინსტრუქტორთა საქმიანობა.

მთელი წინასწარი საგადასახადო მუშაობა აღმოსავლეთ საქართველოში შესრულებულ იქნა სახალხო სასურსათო კომისარიატის რევიზორ-ინსტრუქტორთა უახლოეს მონაწილეობით. ადგილებში მუშაობის შესამოწმებლად და საქმის სახელმძღვანელოდ აგრეთვე დაიარებოდნენ საგადასახადო ინსპექტორები. აღმოსავლეთ საქართველოში ამ რთულ წინასწარ მუშაობის დასრულების გამო რევიზორ-ინსტრუქტორთა უმრავლესობას თავისი მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოში გადააქვთ, სადაც საგადასახადო მუშაობამ უკვე დაკვრითი ხასიათი მიიღო.

გადასახადის წარმატებით აკრეფისათვის.

სახალხო სასურსათო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენელთ ამ ჟამად ხშირ-ხშირად აქვთ თათბირი მომავალ საგადასახადო მუშაობის წარმატებით შესრულების მიზნით. დღემდე მათ შორის სრული კონტაქტი და თანხმობა იყო დღევანდელი მათი საქმიანი თათბირები საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მუშაობა კვლავაც შეთანხმებული ექნებათ. სხვათაშორის, მიღებულია ზომები, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს ადგილებში დროზე გადაეცეს სახალხო სასურსათო კომისარიატის აპარატი იმ რაიონებსა, თუ მაზრებში, სადაც მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მხოლოდ ფულად უნდა აიკრიფოს. თანახმად ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატისა და ა. | კ. ფინანსთა სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ გამოცემულ „ინსტრუქციისა", ამ აპარატის გადაცემა მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სახალხო სასურსათო კომისარიატის აპარატი მთლად დაასრულებს მთელს წინასწარ საგადასახადო მუშაობას და ჩამოაყალიბებს მას გადამხდელთათვის შეწერილობის ფურცლების ჩაბარებით. სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატების ორგანოთა შორის უკვე არსებულ სრულ კონტაქტის დასაცავად და მომავალში უფრო გასაძლიერებლად „ინსტრუქცია" საჭიროდ აღიარებს, რომ იმ მაზრებში, სადაც გადასახადი მხოლოდ ფულად უნდა აიკრიფოს, კვლავ დარჩეს თავის თანამდებობაზე სამაზრო სასურსათო კომისარი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მუშაობაში და თანასწორი პასუხისმგებლობა ზიდოს საფინანსო ინსპექტორებთან ერთად.

საცდელ მინდვრების განთავისუფლება გადასახადისაგან.

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიის დადგენილება, რომლითაც, თანახმად მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის დეკრეტისა, გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდეს საცდელი მინდვრები, სანერგეები და სათესლე პლანტაციები. ამ მამულების სია ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა დაბეჭდილი.

მთავრობის განკარგულება საგადასახადო მუშაკთა საყურადღებოდ.

თანახმად ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მ. ორახელაშვილის განკარგულებისა სახალხო სასურ. კომისარ. ცირკულიარულად აცნობა თავის რწმუნებულთ ადგილებში, რომ ადგილობრივ ხელის უფლებათა განკარგულებანი, რომელიც ეწინააღმდეგება მთლიან სასოფ.-სამეურნეო გადასახადის დეკრეტს, შესრულებული არ უნდა იქმნეს; ყველა ის საკითხი, რომელიც საგადასახადო მუშაობის დროს აღიძრება და რომლის გადაწყვეტაც ამიერ კავკასიის ცენტრალურ აღმასკომისა და ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს კომპეტენციას შეადგენს, არ უნდა იქნეს გადაჭრილი ცენტრის უდასტუროდ.

გადასახადის ჩაბარების ვადები, წესები და ანგარიშების წარმოება.

საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატმა ადგილებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად უგზავნა ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატისა და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული „დებულება", რომელიც შეეხება მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩაბარების ვადებსა და წესებს და ცენტრში საგადასახადო ანგარიშების წარდგენას. დებულება ვრცელია, შეიცავს 5 თავს და 44 მუხლს. დებულება დაწვრილებით აღნიშნავს, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს გადასახადის ტეხნიკური განხორციელება და რა წესით და რა ვადებში უნდა უდგენდეს ადგილები ცენტრს ანგარიშებს გადასახადის საქმის შესრულების შესახებ. მოგვყავს ამ დებულებიდან ზოგიერთ უმთავრეს მუხლის შინაარსი:

გადასახადის ჩაბარების ვადები. გადასახადის ჩაბარების უკანასკნელ ვადებად როგორც იმ რაიონებში, სადაც გადასახადი ნატურით უნდა აიკრიფოს, ისე იმ რაიონებში, სადაც ფულად უნდა იყოს აკრეფილი, დაწესებულია: ა) აზერბეიჯანისათვის: დაბლობს ადგილებში—1923 წლის სექტემბრის 15, ხოლო მთა-გორიან ადგილებში—1923 წ. ნოემბრის 1; ბ) აღმოსავლეთ საქართველოსთვის: დაბლობს ადგილებში—ოქტომბრის 1, ხოლო მთა-გორიან ადგილებში—1923 წ. ნოემბრის 15; გ) სომხეთისთვის: 1923 წლის დეკემბრის 1 და დ) დასავლეთ საქართველოსთვის აფხაზეთ-აჭარით 1924 წლის თებერვლის 1.

იმ რაიონებში, სადაც გადასახადი ნატურით უნდა აიკრიფოს, მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო სასურსათო კომისარიატები, სამაზრო საგადასახადო სამეულთა დადგენილებათა თანახმად, იმ მიწის სივრცის მიხედვით, რომელიც სხვა და სხვა მარცვლეულის კულტურას უჭირია, აწესებენ გადასახადის რაოდენობას, რომელიც შეტანილ უნდა იქნას მოსახლეობის მიერ სხვა და სხვა სახის მარცვლეულით; ამის მიხედვითვე განსაზღვრავენ გადასახადის ნატურით შეტანის ცალკე ვადებს თვითეულ მაზრისათვის და მხედველობაში იღებენ მარცვლეულის დაბინავების დროს ერთისა და იმავე პროდუქტის ჩაბარება რამდენიმე სხვა და სხვა ვადაზე ყოვლად შეუწყნარებელია.

ნატურალურ რაიონში გადასახადი ფულად ჩაბარებული უნდა იქნეს იმავ ვადაზე, რომელიც დაწესებულია ნატურის ჩაბარებისთვის.

გადასახადის ჩაბარების ვადები აღმასკომებმა თვითეულს სოფელში უნდა გამოაცხადონ შეწერილობის ფურცლების დარიგების დროს.

საბოლოო ვადაზე გაუსტუმრებელი გადასახადი ან მისი ნაწილი ნარჩენად უნდა ჩაითვალოს და გადახდევინებულ იქმნას იძულებით და საურავის ზედშეწერვით, რომლის რაოდენობაც უნდა უდრიდეს ორს პროცენტს თვითეულ გადაცილებულ თვეზე; ეს გარემოება ხელს არ უშლის, რომ ამას გარდა არა პირიანი გადამხდელი პასუხისგებაში იყოს მიცემული საადმინისტრაციო, ან სასამართლოს წესით.

გადასახადის ჩაბარების წესი. როდესაც სოფლად შეწერილობის ფურცლები დარიგდება და გადამხდელთ გამოეცხადებათ გადასახადის ჩაბარების ვადები, სათემო აღმასკომებმა იმ წამსვე ზომები უნდა მიიღონ, რათა მოსახლეობამ გადასახადი უნდა გაისტუმროს; მათ პირადათ, აგრეთვე საგანგებოდ გაგზავნილ პირთა საშუალებით უნდა აამოძრაონ თვითეული გადამხდელი საგადასახადო ვალდებულების მოსახდელად, აუხსნან მათ სასოფლო ყრილობებზე გადასახადის ჩქარა გასტუმრების საჭიროება და წინასწარ გააფრთხილონ, თუ რა პასუხისმგებლობა აწევს არა პირიან გადამხდელს.

ნატურალურს რაიონებში გადასახადი როგორც ნატურით, ისე ფულად ჩაბარებულ უნდა იქნას საგანგებო; ნატურალურ გადასახადის მისაღებად შერჩეულ და მოწყობილ ადგილებში, როგორიც არის დამამზადებელი კანტორები, შემნახველი და მიმღები პუნქტები და სხვ.

სამაზრო საგადასახადო სამეულები ნატურალურ რაიონების უბნებს და სოფლებს ანაწილებენ დამამზადებელ კანტორებსა, მიმღებ პუნქტებსა და სხვა ადგილებს შორის, სადაც გზავნიან იმ სოფლების სასოფლო სიების თითო ცალს, რომელნიც მიწერილია მაზე; ეს განაწილება საუბნო და სასოფლო აღმასკომებმა თვითეულს სოფელში უნდა გამოაცხადონ და გადასახადის გამღებლებმა გადასახადი უნდა შეიტანონ მხოლოდ იმ კანტორასა და ან მიმღებ პუნქტში, რომელზედაც ეს სოფელია მიწერილი.

თვითეული გადამხდელი ვალდებულია თვისი კუთვნილი ნატურალური გადასახადი საკუთარის საშუალებით მიიტანოს დამამზადებელს კანტორაში და უფლება არა აქვს, ამისათვის მოითხოვოს სახაზინო ტრანსპორტი, ან ფული.

თუ გადამხდელს ხორბლის ნაცვლად სხვა მარცვლეული შეაქვს, იმ შემთხვევისთვის დაწესებულია შემდეგი ეკვივალენტი ფუთ ხორბლისა: ბრინჯი—20 გირვანქა, ჭვავი—1 ფუთი, ქერი, ან შვრია—1 ნახ. ფუთი, სიმინდი—1 ნახ. ფ. და გაურჩეველი ბრინჯი—2 ფ. ფეტვი და „პოლბა" სრულიად არ მიიღება გადასახადის ანგარიშში. ჩაბარებული მარცვლეული კარგი ღირსებისა უნდა იყოს და შემდეგ პირობებს აკმაყოფილებდეს: არ უნდა იყოს ობიანი, ნესტიანი, დამპალი, შმორიანი, ან ჭიანი. უნდა იყოს სუფთა და მშრალი. ჩენჩქიანობა ფუთზე 1 ნახ. გირვანქას არ უნდა აღემატ[illegible] შეიძლება ერიოს ქერი, მაგრამ არა უმეტეს 15 პროცენტისა.

რაც შეეხება ფულად რაიონებს, გადასახადი ჩაბარებულ უნდა იქმნას მხოლოდ ფულად ფინანსთა სახალხო კომისარიატის კასებში. ფულად გადასახადს შეტანა სწარმოებს, რაც შეიძლება ერთბაშად მთელს სოფლის მიერ, ამისათვის სოფელი ირჩევს ერთს, ან რამდენიმე რწმუნებულს და მათ აძლევს ფულს კასაში ჩასაბარებლად.

რესპუბლიკათა სახალხო სასურსათო კომისარიატები და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი ადგილობრივს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სასტატისტიკო სამართველოსთან შეთანხმებით, აწესებენ და დეპეშით აცნობებენ ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატს და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ფუთს ხორბლის ფულადს ეკვივალენტებს თვითეულ რესპუბლიკისთვის ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით. ამიერ კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატი და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ეკვივალენტებს ამტკიცებენ, ან სცვლიან და დეპეშითვე აცნობებენ რესპუბლიკათა სახალხო სასურსათო კომისარიატებს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ. ამ ეკვივალენტებით ხელმძღვანელობენ რესპუბლიკებში გადასახადის ანგარიშში ფულის მიღების დროს როგორც ფულადს, ისე ნატურალურ რაიონებში ახალ ეკვივალენტის დაწესებამდე.

საჭიროების დროს შეიძლება სხვა და სხვა გვარი ეკვივალენტი დაწესდეს ერთისა და იმავე რესპუბლიკის ცალკე მაზრებსა და რაიონებში.

ეკვივალენტის შეცვლა სწარმოებს ამავე წესით იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცვლება ხორბლის საბაზრო ფასი, ან რამდენად დაიწევს, ან აიწევს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების კურსით.

გადასახადის ჩაბარების წესი საბჭოთა კომუნალურ და სხვა მეურნეობათათვის. იმ მეურნეობათა დასაბეგრად, რომელნიც სასოფლო საზოგადოებათა შემადგენლობაში არ არიან, მაგალითად რკინის გზის მოსამსახურეთა, ტყის მცველთა, აგრეთვე კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობათა, შედგენილ უნდა იქმნას საგანგებო სია იმავე წესით და ნორმით, რომელიც მიღებულია სასოფლო სიის შესადგენად. ამ მეურნეობებს გადასახადი შეაქვთ იმავ საფუძველით და განაკვეთით, როგორითაც გლეხთა მეურნეობას.

მცირე გამონაკლისს შეადგენს საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც გადასახადის ანგარიშში უნდა ჩაეთვალოს ის პროდუქტები, რომელნიც მას ეკუთვნით სახელმწიფოებრივ მომარაგების გეგმით.

საბჭოთა მეურნეობათა მოიჯარენი გადასახადით იბეგრებიან კერძო მიწების მოიჯარეებთან თანასწორად და ვალდებულნი არიან გადასახადი გაისტუმრონ იმის მიუხედავად, გადახდილი აქვთ თუ არა საიჯარო ფული.

პასუხი ამხ. „შამილს"

გაზ. „კომუნისტის" მე-187 ნომერში არის მოთავსებული „შამილის" წერილი, რომელიც ეხება დღევანდელ სასამართლოებს საერთოთ და კერძოთ ქიათურისას, და აღნიშნავს უკანასკნელის მიერ ნათლიმამობით საქმის გადაწყვეტას, ქვრივ ობლების დაჩაგვრას, სპეკულიანტების მიდგომა-მიმხრობას, მუქარა-ყვირილს და სხვა. ნიმუშათ მოჰყავს 28—29 ივნისს ა. წ. განხილული საქმე მოქ. ვაკალოპულოს და წერეთლის ობლების შორის ატეხილ დავაზე. ამ საქმეში „შამილი" განგებ ამახინჯებს ფაქტებს, რითაც საზოგადოება შეყავს შეცდომაში და ამის მიზეზი არის მოხსენებულ წერილის ბოლო სტრიქონებში „საქმე დღეს თბილისის სახალხო მოსამართლეთა საბჭოს ხელშია, რაც იმედს გვაძლევს საქმის სამართლიანათ გადაწყვეტისას".

ნამდვილათ კი საქმე შემდეგშია:

1. 1918 წელს ქ. ქუთაისში გვარდიელებს მოუკლავთ არა მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყებული ჯარის ნაწილების დელეგატი,—არამედ როგორც „ბოროტი ენები" ლაპარაკობენ, ბანდიტი და მძარცველი ტარიელ წერეთელი, (თუმცა მკვდარს ავათ არ იხსენიებენ, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუვალთ).

2) ტარიელ წერეთლის (მოკლული 1918 წელში) ობლების და ქონების მეურვეთ დამდგარა ა. წ. ივნისში მამიდა ობლებისა, ეკატერინა წივილაშვილ სა, რომელსაც აზრათ ჰქონია არა ობლების მოვლა-პატრონობა, არამედ ობლების იარაღათ გამოყენება, მოქალაქე ვაკალოპულოს ქონების ჩამორთმევა (სადაო ქონება) და ამ ქონების მეოხებით ქმრის მოხიბლვა. (სასამართლოს საჯარო სხდომის დროს ეკატერინა წივილაშვილის ქმარმა, გედეონ წივილაშვილმა, რომელსაც მოქ. ვაკალოპულოს ნაყიდობაზე ხელი აქვს მოწერილი, როგორც ვექილს აბესალომ წერეთლისას—ობლების ბაბუისას, განაცხადა, რომ მან იმიტომ მიატოვა პირველი ცოლშვილი და ითხოვა ეკატერინე, რომ მას სურდა დაპატრონებოდა სწორედ იმ ქონებას, რომელიც შეადგენს სადაო საგანს, თორემ ისე ეკატერინეს არ შეირთავდა. აი, სად არის ეკატერინეს მიერ ობლებზე მზრუნველობა.

3) მოქ. ვაკალოპულომ სასამართლოს წარმოუდგინა შორაპნის მაზრის მიწად მოქმედების განყოფილების დადგენილების ასლი, რომლიდანაც სჩანს, რომ ეს საქმე გაურჩევია ამ განყოფილებას წერეთლის და წივილაშვილის საჩივრის გამო და მოქ. ვაკალოპულოსათვის მიუსჯია განყოფილებას სწორედ ის ორი ქცევა ადგილი, სახლკარობითა და სხვა შენობებით, რომელიც შემდეგ განგებ ყოფილა შეტანილი სამეურნეო სია. ამავე დროს მოქ. ვაკალოპულოსთვის ჩამოურთმევიათ იმავე წერეთლიდან შეძენილი მიწის რაოდენობიდან რვა ქცევა, რომელიც გადაურიცხავს ფონდში და „საწყალ" ობლებისთვის კი არ მიუცია.

4) როგორც „ბოროტი ენები" ლაპარაკობენ, „საწყალ" ობლებს ქართლში ყოლია დედა, რომელსაც ჰქონია სახლ-კარი და რამდენიმე ქცევა ბაღი, რომელ ქონებაზედაც ცხოვრობდა (იყო ჩასიძებული) რამოდენიმე წელი მოკლული ტარიელი და ობლებიც დღემდის სცხოვრობდენ და საზრდოებდენ დედასთან, რომელიც დღესაც ცოცხალია; და თუ დღეს ეს ობლები ჩამოაშორეს დედას და ჩამოიყვანეს სოფ. პერევისაში (შორაპნის მაზრა) და მეურვეთ ამ მოყვანილ ობლებისა ინიშნება ეკატერინა, მამიდა და არა დედა ან ბაბუა ობლებისა—მიზანი ნათელია; უნდა წაართვას მოქ. ვაკალოპულოს მისი შეძენილი და მფლობელობაში მყოფი ქონება; ეს მიზანი მეურვის მიწის განყოფილებისათვის ნათელი იყო, როდესაც ის ობლებს არ აძლევს იმ რვა ქცევა მიწასაც, რომელიც მოქ. ვაკალოპულოს ჩამოერთვა.

5) სასამართლოს სხდომა იყო საჯარო, ხალხი ბლომად დაესწრო და თუ რაიმე მუქარა ან „ჩეკა" იყო ნახსენები,—დეე განსაჯონ დამსწრეებმა და კერძოთ კი წერეთლის ობლების ინტერესების დამცველმა, თ. მაჭავარიანმა.

6) რაც შეეხება მას, რომ ერთ-ერთ მსაჯულთაგანს ხელი არ აქვს მოწერილი განაჩენზეო, ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს, სასამართლომ დაუშვა შეცდომა (თუმცა არ ვფიქრობ, რომ ხელ მოუწერელი იყოს) და ასეთი უნებლიე ჩვენ მიერ შეუმჩნეველი კიდევ მრავალი შეიძლება იყოს ამ საქმეში, მაგრამ ამაში ხომ არ გამოიხატება ნათლი-მამობა.

7) რაც შეეხება ლოღიკას, სასამართლო სწორედ ლოღიკამ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქონება არ წაერთმია ვაკალოპულოსათვის და არ მიეცა ეკატერინე წივილაშვილისთვის თავის სატრფიალო გედეონ წივილაშვილის გულის მოსანადირებლად „შამილი" განზრახ იჩენს მართლაც ულოღიკობას.

მე, როგორც ერთი წევრთაგანი და მუდმივი თავმჯდომარე ქიათურის უბნის სახალხო სასამართლოსი (დანარჩენი ორი წევრი სასამართლოსი იყვნენ პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგები) მოვითხოვ „შამილისაგან":

1) ნათლად აღნიშვნა იმისას, თუ რითი გამოიჩინა სასამართლომ ამ საქმეში ნათლი-მამობა.

და 2) როცა ათავსებდა წერილს, ჰქონდა თუ არა მას ნათლად წარმოდგენილი საქმის გარემოება, და თუ ამას გაზეთის საშუალებით არ მოისურვებს, ვძლევ მას საშუალებას განმარტოს ეს იმ სახალხო სასამართლოს წინაშე, რომელსაც ქიათურის უბნის სასამართლო მიმართავს თავის შებღალულ პატიოსანი სახელის აღსადგენათ.

ქიათურის უბნის სახალხო მოსამართლე იპ. კაპანაძე.

ზესტაფონის შრომის სკოლის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები

ამ ერთი თვის წინად შორაპნის მაზრის სახალხო მასწავლებელთათვის რესპუბლიკის განათლების კომისარიატმა ქ. ზესტაფონში გახსნა მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები. კურსების საერთო ხელმძღვანელობა კომისარიატმა მიანდო განათლების კომისარიატის საშუალო სკოლების მთავ. ინსტრუქტორს ამხ. ნიკოლოზ კვინიკაძეს.

კურსებზე გამოცხადდა ასამდე სახალხო მასწავლებელი. ხსენებულ კურსების გახსნა მოხდა 16 ივლისს. კურსების გახსნის დღეს საზეიმო ხასიათი ჰქონდა. დაესწრენ ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და შორაპნის განათლების განყოფილების გამგე ამხ. პავლე გველესიანი. მსმენელებს მგრძნობიერი სიტყვით მიმართა კურსების გამგემ ამხ. კვინიკაძემ და განუმარტა მათ კურსების დიადი მნიშვნელობა და მოუწოდა მთავრობის სახელით, რომ ცხოვრებაში განახორციელონ ახალი სწავლების პრინციპები, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი გლეხების გონიერულ კულტურულ ამაღლებასაო. განათლების გამგემ ამხ. გველესიანმა სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ სახალხო მასწავლებელთ დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლის ცხოვრებაში და პოლიტიკურად მომზადებულს სახალხო მასწავლებელს მეტის კეთება შეუძლია სოფლად, ვიდრე რომელიმე დროებით მოსულ ორატორს. კურსებზე მოწვეულია ლექტორებად მაზრის საუკეთესო ძალები.

კურსების მუშაობით ძალზე დაინტერესებულია მსმენელები. კურსების მეცადინეობას არაგაწვეული მასწავლებლებიც ესწრებიან. კურსების ინტენსიური მუშაობა იმაში გამოიხატება რომ თითქმის ყველა საათები დაკავებულია, გაცხოველებულია წრეებში მუშაობა. გამოიცა კურსებზე ხელთნაწერი ჟურნალ-გაზეთები, კედლის გაზეთი და სხვა. ამ რამოდენიმე დღის წინად მოეწყო ექსკურსია მახლობელ სახელმწიფო მამულში: „სანერგეში", რომელშიაც ყველა მსმენელებმა და ლექტორებმა მიიღეს მონაწილეობა. ექსკურსია ჩატარებულ იქნა „საექსკურსიო მეთოდის" მიხედვით; მას ჰქონდა წმიდა პრაქტიკული ხასიათი, რომ ამ მაგალითით ისარგებლონ მსმენელებმა და სკოლის პრაქტიკაში განახორციელონ ასეთი. ასეთ სავსე ექსკურსიების მოწყობას ეპირებიან

მუშათა ცხოვრება

მუშა ხელის გაცდენა დაუშვებელია

(მუშათა და გლეხთა ინსპექც. სახკომისარიატის საყურადღებოდ).

„აქლემები წაიკიდნენ—კოზაკი შუაში გამოჭყლიტესო“ ნათქვამია ძველად. სწორედ ასეა ჩვენი საქმეც. მთელ ორი დღის განმავლობაში 28 მუშა „როზა ლუქსემბურგის“ სახელობის თამბაქოს ქარხანაში გულხელდაკრეფილი უსაქმოდ დაბორიალობდით და შევყურებდით იმას, თუ როდის გათავდებოდა თამბაქოს ტრესტის და სააქციზო სამმართველოს ერთიმეორეს შორის დავა. საქმე იმაში იყო, რომ ტრესტს რაღაც ანგარიშები ვერ გაესწორებია სააქციზო სამმართველოსთვის. უკანასკნელი კი არ რთავდა მას ნებას თამბაქოს გამოტანაზე და ამის წყალობით ამოდენა ხალხი ნაყოფიერი მუშაობის მაგიერ ტყუილა უბრალოდ ვკარგავდით ძვირფასს დროს.

ამგვარი დაუშვებელი მოვლენები ძალიან ხშირადა ხდება ჩვენს ცხოვრებაში. საჭიროა გამორკვევა იმისა, თუ ვისი ბრალია ასეთი დაუსრულებელი და მეურნეობისათვის დამღუპველი დავა კინკლაობა ტრესტსა და სააქციზო სამმართველოს შორის. საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ არანორმალურ ფაქტებს. ამის მოსპობა კი ჩვენის აზრით უნდა ევალებოდეს მუშათა და გლეხთა ინსპ. სახ. კომისარიატს.

მუშა ვარხამაშვილი.

დავიწყებული მუშათა უბანი

ორთაჭალის რაიონი, სხვა რაიონებთან გაცილებით დიდია.

ეს რაიონი აერთიანებს რამოდენიმე გარე უბანს, სახელდობრ:—ორთაჭალას, კრწანის, ძველ დამოენას, ხარფუხს, ბერძნების და ნაწილობრივ თათრის უბნებს.

მთელი რაიონი მოფენილია ფაბრიკა-ქარხნებით, როგორიც არის: ტყავის, ნაბდის, ბამბის, ზეთის, საპნის და სხვ. ქარხნები. ამასთანავე მრავალია კერძო სახელოსნოებიც. აქ მუშების რიცხვი აღწევს 2,000 კაცამდე. თუ მივიღებთ ამ საერთო რიცხვში მუშა-მებაღეების რიცხვსაც, მაშინ გამოვა 3.000-დე კვალიფიციური მუშა; ამას მიუმატოთ სამხედრო ნაწილები, მაშინ ზემოაღნიშნული რიცხვი ერთი ორად გაიზრდება.

აი ასეთ დიდ რაიონში, სამწუხაროთ, დღემდის არ არის არც ერთი კულტურული დაწესებულება (მე ვლაპარაკობ რაიონულ მასშტაბით), რომ მუშას საშუალება ჰქონდეს ქარხნის გარედე გაერთოს, განვითარდეს და ამასთანავე მისცეს მის ოჯახის წევრებს კულტურული გათვითცნობიერება. მართალია, აქ „არსებობს“ თეატრი, რომელიც ნახევრად დანგრეულია, მაგრამ წარმოდგენები და სხვა სასარგებლო გასართობები სრულიად არ იმართება აქ (მე არ ვაქცევ ყურადღებას „არშინ მალ-ალანებს“, „აშულყარიბებს“ და სხვა ამგვარ შეთხზულ ქუჩურ პიესებს, რომლებითაც „უხვად“ უმასპინძლდება ვიღაც ფადარიანცი აქაურ მუშებს).

თეატრში დეკორაციები არ არის და თუ მოიპოვება—თითო-ოროლა, ისიც დახეულ გაცვეთილებია და ფარდის (ვაი იმ ფარდას!) აწევის შემდეგ, კულისებში არც ერთი მოძრაობა არ ეპარებათ დამსწრე მუშებს.

ბაღში ხეები, რომელიც საკმარისად არის, მოუვლელობისაგან ხმება და ჰკნება, თვით კედლები, რომლითაც შეღობილია ბაღი, გადანგრეულია; ერთი სიტყვით სამწუხარო სურათი გადაეშლება თვალწინ იქ შესვლის დროს.

თვით ბაღი არ ირწყვება, მიუხედავათ იმისა, რომ აქ წყალი საკმარისად არის; დარაჯი, რომელიც აქვე სცხოვრობს მხოლოდ საღამოობით ესტუმრება ხოლმე ბაღს. ჩვენ შეკითხვაზე, თუ რატომ არ უვლის ბაღს, იგი გვიპასუხებს.

—„როდის ინებეთ ჯამაგირის მოცემა, რომ მუშაობას მთხოვთ?“-ო და სხვა.

სად არის კლუბის გამგეობა?! ან და ჰყავს თუ არა მას ასეთი!

ხარფუხის ძველი სცენის მოყვარეთა წრე შეუდგა აქ წარმოდგენების მმართვას, მაგრამ ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო ფერხდება მუშაობა.

სხვათაშორის აქ ინტრიგანობა საშინელ წერტილამდის არის მისული. ამ ინტრიგანობას ეწევიან სხვადასხვა გამვლელი სცენის მოყვარენი და ჯგუფები, რომლებიც სპეკულიანტობენ თეატრით.

საჭიროა საბჭოთა მაგარი ცოცხი, რომ ყველა ეს უპასუხისმგებლო არშინ მალ-ალანისტები გაცოცხილ იქნან მუშათა რაიონიდან.

მუშა გ. გ—ძე.

აუცილებლად უნდა დაიკეტოს
(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ჩვენ ხშირად ვწერთ და მოვითხოვთ, რომ მუშათა რაიონებში დაიხუროს სამიკიტნოები. ჩვენი მოთხოვნილება ხშირად სრულდება, მაგრამ სამიკიტნოების მაგივრად ეხლა მის როლის აღმასრულებლად გამოჩნდენ გასტრონომიული მაღაზიები, კერძო ბინები და სხვა, სადაც ჰყიდიან ღვინოს, არაყს და იქვე მართავენ სმაქეიფს. ერთი ასეთი გასტრონომიული მაღაზია არის დიდუბეში ელისაბედის და კოოპერატივის ქუჩების კუთხეში ვინმე ვანო გიგაშვილისა, სადაც ყოველდღე თითქმის ქეიფობენ მუშები და ხარჯავენ უკანასკნელ ფულს. ხშირად ვხედავთ იქ დან მთვრალ ხალხის გამოსვლას იმის მაგივრად, რომ ადმინისტრაციამ ამას ყურადღება მიაქციოს, მილიციონერები თვითონ (რასაკვირველია, უფასოდ) იღებენ მონაწილეობას ღვინის სმაში.

დიდუბის მუშები მოითხოვენ ასეთ გასტრონომიულ მაღაზიების დაკეტვასაც.

მუშკორი ერო

აუტანელი მდგომარეობა
(მილიციის საყურადღებოდ)

რუსთაველის პროსპექტთან და კრუზენშტეინის ქ, თავს იყრიან 20-30 ქურთი-მუშები, რომლებიც დილით-საღამომდისინ ლაზღანდარობენ, ჩხუბობენ, იგინებიან და ზოგჯერ ამ ქუჩაზე გამვლელ გამომვლელთ მასხარად იგდებენ, რის გამო აქ ხშირად მთელი აურ-ზაურია. დღეში აქ რამდენჯერმე მოდის მორიგი მილიციონერი და რეკავს მეკურტნეებს ზევით ქუჩაზე, მაგრამ ეს საქმეს სრულებით არ შველის. მეკურტნე მუშები აქ სჭამენ საზამთროს, ნესვს და ყოველნაირ სხვა დამპალ ხილს. იქვე გვერდით არის კანავა, რომელშიაც ისინი ჰყრიან ყოველნაირ სიბინძურეს. ამით იწამლება ჰაერი. ისე ვერ გაივლის ამ ქუჩით მოქალაქე, რომ ამის გამოც იმათთან არ მოუვიდეს ჩხუბი. ზლლარძუნის დროს იქნევენ კურტნებს და თასმებს, რითაც შესაძლებელია მიაყენონ გამვლელთ დიდი ზიანი.

მეკურტნეების ამნაირ საქციელს უნდა მოეღოს ბოლო, რათა აღნიშნულ ქუჩაზე დამყარდეს წესრიგი და სისუფთავე, საჭიროა ამ მეკურტნეების აქედან გაყვანა.

მუშკორი ასოთ-ამწყობი.

სახალხო კვების კავშირის 1-ი რაიონის მუშათა შორის

ა/წ. 8 აგვისტოს მოხდა ხსენებულ რაიონის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 180 კაცი.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საჰაერო ფლოტის შესახებ; 2) მოხსენება ადგილკომის მოღვაწეობის შესახებ; 3) შრომისა და კულტკომისიის არჩევნები; 4) მუშკორების არჩევნები და 5) მიმდინარე საკითხები.

საჰაერო ფლოტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ოკუჯავამ, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას მისი მნიშვნელობა და აუცილებლობა, რის შემდეგაც კრებამ ერთხმად გამოსთქვა გულწრფელი თანაგრძნობა და დაადგინა ყველამ შეძლებისადაგვარად შეიტანოს თავისი წვლილი მის გასაძლიერებლად.

ადგილკომის მუშაობა კრებას გააცნო პასუხისმგებ. მდივანმა ამხ. ვოსკანოვმა, რომლის მოხსენებითაც მუშები კმაყოფილი დარჩენ.

კავშირის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ნოვრუზოვის საინფორმაციო მოხსენების შემდეგ, ერთხმად იქნენ არჩეული კულტ. კომისიაში შემდეგი ამხ—ბი: მიმინოშვილი და ბიბილეიშვილი და შრომის დაცვის კომისიაში ამხ. ბოლქვაძე და სამარინი; მათ კანდიდატად ამხ. აირაპეტოვი (ახალ. კომ.).

მისივე მოხსენების შემდეგ ქართულ ენაზე მუშკორად კრებამ აირჩია ამხ. ჩიქვილაძე, რუსულ ენაზე კი ამხ. მაისურაძე და დაავალა მათ რაიონის მუშების მდგომარეობის და საერთოდ მუშათა ცხოვრების გაშუქება—გამოქვეყნება.

მიმდინარე საკითხებიდან კრებას მოხსენება გაუკეთა კავშირის კულტ. განყ. გამგემ ამხ. რაზმაძემ ახლო მომავალში ექსკურსიის მოწყობის შესახებ, რაზედაც კრებამ თანაგრძნობა გამოსთქვა და გადასწყვიტა ასეთის სისრულეში მოყვანა.

მუშკორი სანდო

მუშათა ქრონიკა

— **მუშა ქალთა კრება.** ჯანმრთელობის კომისარიატში ა. წ. 20 აგვისტოს შესდგა აღნიშნულ კომისარიატის მუშა თანამშრომელ ქალთა საზოგადო კრება, რომელზედაც ექიმ მარკოზოვის მიერ წაკითხულ იქნა მოხსენება დედათა და ბავშვთა დაცვის შესახებ.

შემდეგშიც სხვადასხვა სამეცნიერო მიზნებით. კურსებთან არსებობს პედაგოგიური საბჭო და მსმენელთა კომიტეტი, რომლებიც ხელის ხელ ჩაკიდებული მუშაობენ კურსების საკეთილდღეოთ. კურსანტები ეპირებიან ახლო მომავალში დადგან სამაგალითო საღამო-წარმოდგენა, რომლის მიხედვით მათ შეეძლებათ ასეთსავე საღამოების მოწყობა სოფლებში.

მთავარი პედაგოგიური ხასიათის ლექციები თითქმის ჩატარებულია. გაცხოველებულია მუშაობა წრეებში. არსებობს შემდეგი წრეები: 1) ლიტერატურული, 2) შრომის სკოლის. ორივეს ხელმძღვანელობს ლექტორი სავლე აბულაძე. 2) ისტორიულ-გეოგრაფიულს ხელმძღვანელობს ამხ. ნიქაბაძე და ნიკ. ბარნაბიშვილი. 3) დრამატიული—ხელმძღვანელობს ამხ. კალ. აბესაძე. ახლო ხანში დაარსდება აგრეთვე პოლიტიკური, პსიქოლოგიური და სხვანი. მსმენელების მიერ წაკითხულ იქმნა ამხ. აბულაძის ხელმძღვანელობით რამოდენიმე მოხსენება „შრომის სკოლის ახალი პრინციპების“ შესახებ.

აგრეთვე წაკითხულ იქნა მოხსენებები „საქართ. ეკონომიურ გეოგრაფიიდან“.

საერთოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ ზესტაფონის მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე ინტენსიური მუშაობა სწარმოებს. კურსების გამგეს და ლექტორ-მსმენელების მხნე მუშაობამ ამ მცირე ხანში დიდი ნაყოფი გამოიღო.

ალ. ილმელი.

განათლების კომისარიატის საყურადღებოდ

ლანჩხუთის რაიონში სოფ. ჯუნჯუათში იყო ერთი მივიწყებული სასწავლებელი, რომელიც ძველი მთავრობის დროს ქრთამების და სხვადასხვა კომბინაციების გამო იქნა აგებული ისეთ ადგილას, რომელიც ყოვლად მიუღებელი იყო როგორც ჰიგიენის მხრივ, აგრეთვე მცხოვრებთა მოთხოვნილების მიხედვით.

დღეს თვით მშრომელმა გლეხკაცობამ მიაქცია ამ საკითხს ყურადღება და აღძრა შუამდგომლობა, რათა ეს სასწავლებელი გადაეტანათ და აეგოთ იქ, სადაც ეს შესაფერი იქნებოდა. განათლების სამაზრო განყოფილებამ გაგზავნა იქ სპეციალური კომისია, რომელმაც გამოარკვია საკითხი ყოველმხრივ და აღმოაჩინა სასწავლებლისთვის შესაფერი ადგილი.

გლეხები უკვე შეუდგნენ სასწავლებლის ამ ადგილზე გადატანას, მაგრამ ამ დროს მოდის განკარგულება სახალხო განათლების კომისარიატიდან საქმის შეჩერების შესახებ, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ადგილობრივ ამხანაგებში.

ვეკითხებით განათლების კომისარიატს, ნუ თუ ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს უფლება თავისი განათლების და კულტურის საქმე მოაწყოს ისე, როგორც ამას მოითხოვს თვით ხალხის ინტერესები

ამ საქმეში ურევია საეჭვო პირების ბოროტი ხელი, რომელთაც შეცდომაში შეყავთ განათლების კომისარიატი. საჭიროა ამ საქმეს სათანადო ორგანომ მიაქციოს ყურადღება, ადგილობრივ თვითმოქმედება შეზღუდული არ უნდა იქნეს, მით უმეტეს, როდესაც ის მშრომელი გლეხობის ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ არის მიმართული.

კ. ბარამიძე.

საბურთალო 1921 წლის მოლოდინში
(ტფ. აღმასკომის ჯანმრთელობის საყურადღებოდ)

ამ ზაფხულზე გახშირებულ წვიმების გამო ტბებით აივსო საბურთალო. წვიმების პირველ ხანებში ტბების სივრცეებიც პატარა იყო და მოსახერხებელიც გახდა მაზუთის მოსხმა მალარიის გამავრცელებელ კოლოების გასაწყვეტათ. ამ უკანასკნელ დროის წვიმებმა კი იმდენათ აავსო ყველა დაბლობი ადგილები, რომ ყოვლად შეუძლებელია ზემოაღნიშნულ საშუალებების მიღება. როგორც გამოირკვა, ამ დღეებში გასინჯვით, ტბები სავსეა „Anophelis“ კოლოებით. ზოგიერთი მათგანი უკვე ამ ერთ კვირაში ფრენას დაიწყებენ და მათ კიდევ უთვალავი რიცხვი მოყვება უკან. ჩემის აზრით, ამ ტბების კოლოების რაოდენობა მთელ ტფილისს ეყოფა დასაშხამავათ და საბურთალოს მცხოვრებნი ხომ პირველ რიგში არიან. თუ მივიღებთ მხედველობაში დღევანდელ კვების პირობებს და ისიც საბურთალოს მცხოვრებთა—ადვილათ წარმოვიდგენთ რა უბედურება მოელის ამ უბანს სულ მოკლე ხანში. წინასწარ ადვილი წარმოსადგენია, 1921 წლის სურათი საბურთალოზე, როდესაც მკვდრების დამარხვას ვერ ასდიოდენ. იმ დროს გაცილებით მეტი მცხოვრები იყო საბურთალოზე და უბანში კიდევ შერჩენ მცხოვრებნი. მაგრამ ახლა რომ ასეთი უბედურება გაჩნდეს უბანი მთლათ ჩაკვდება და კოლოები ადამიანის სისხლის საძებნად ცენტრსაც ეწვევიან.

ამიტომ უნდა მიღებულ იქნეს ზომები ყოველგვარ კრებებსა და კომისიების არჩევის გარეშე, რათა არ დაგვიანდეს.

ზომები კი, ჩემის აზრით, მხოლოდ ერთგვარია—**ორი-სამი დღის განმავლობაში ჭაობის დაშრობა.**

საბურთ. ექიმი ვ. ჩხეიძე.

პროვინციაში

მეტი ყურადღება განაპირა სოფლებს

ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი ლაპარაკია ქალაქის სოფელზე შეფობის შესახებ. ამისათვის რუსეთის კომპარტიის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტმა გამოსცა სათანადო ცირკულიარიც. ქალაქის სოფელზე შეფობა გამონახულია, როგორც საშუალება პროლეტარიატის გლეხობასთან დაკავშირებისა. ამ საშუალებით სოფელი უნდა გავაქანოთ პროლეტარული კულტურისაკენ.

ქალაქის პროლეტარიატმა უნდა გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა ჩამორჩენილ გლეხობას და გაიყოლიოს ის საბოლაო მიზნისაკენ. გლეხობა უნდა დავარწმუნოთ, ძალადაუტანებლათ, მაგალითებით, რომ პროლეტარიატსა და გლეხობას გზა ერთი აქვთ მომავალისაკენ. ამისათვის საჭიროა ახსნა განმარტება; ახსნა-განმარტებისათვის საჭიროა მომზადებული, კომუნისტურ მსოფლმხედველობის ნიადაგზე მდგომი ამხანაგები. ასეთია ქალაქის მოწინავე მუშები და ქალაქის სოფელზე შეფობაც ამიტომაა შემოღებული მაგრამ ამით ავადმყოფობის წამალია მხოლოთ აღმოჩენილი. საჭიროა წამლის სათანადოთ მოხმარა და პირველ რიგში „მძიმე ავადმყოფთათვის“ დახმარების მიწოდება. ასეთი „ავადმყოფია“ დღეს ჩვენი განაპირა სოფლები, რომლებიც რკინის გზის ლიანდაგს მოშორებულია 30—40 და მეტი ვერსით. როგორია მდგომარეობა ამ განაპირა სოფლებში?

მაგალითისათვის მოვიყვანთ სოფელ მათხოჯს (ქუთაისის მაზრა), რომელიც, უნდა ითქვას სიმართლე, კულტურულათ საქართველოს მრავალ სოფლებზე მაღლა სდგას.

...ეს იყო ივლისის პირველ რიცხვებში. მე ჩამოვედი ტფილისიდან ხსენებულ სოფელში და როდესაც ჩემი მოსვლა გაეგოთ მეზობელ გლეხებს, მოვიდნენ ჩემთან.

მოსალმების შემდეგ, იმ წუთში დამიწყეს ახალ ამბებზე ლაპარაკი. მეც მოუყევი რაც ვიცოდი და როდესაც დავამთავრე ლაპარაკი, ერთ-ერთმა გლეხმა წამოიწია ახლოს და მითხრა:

— თუ იცით, ნეტავი, როგორ ეპყრობიან ინგლისელები მცხოვრებთ, ძალიან ხომ არ ავიწროებენ?

— არ ვიცი—უპასუხე მე გაკვირვებულმა, გამიკვირდა ასეთი კითხვა მათგან—ინგლისში მე არ ვყოფილვარ, მხოლოდ რამდენათაც გაზეთებიდან ვიცი, მუშები იქ ჩვენზე უარეს მდგომარეობაშია.

— არა, მე მოგახსენებთ ბათომზე.

— როგორ თუ ბათომზე!

— „როგორ, შენი ჭირიმე და ბათომი ხომ ეხლა „ფორთოფრანით“ (პორტოფრანკოთ) გამოაცხადეს, იქინა ინგლისის ჯარი შემოვიდა და ლაპარაკობენ, რომ მთელი საქართველო ინგლისელებზეა გადაცემული, მხოლოდ ხალხს გვიმალავენ—არ გვეცხადებენო“.

მე გამეცინა ყველა ამაების გამგონეს. მხოლოდ განცვიფრებაში მოვდიოდი მით, რომ ისინი ასე დარწმუნებულიყვნენ ამ ცრუ ხმებში და ისე მელაპარაკებოდენ, თითქოს ყველაფერი სიმართლეა და დიდათ სამწუხაროაო. მე განუმარტე ყველაფერი, აუხსენი როგორც „მოჭორილი“ ამბავის უსაფუძვლობა და სიყალბე, მაგრამ მათში ისე მაგრა ჰქონდა გადგმული ფესვები ამ აზრს, რომ ასე ჩქარა ძნელი იყო მათი დაჯერება. ასეთი მოვლენები ხშირია. სამწუხაროთ ჯერ-კიდევ ჰქონია ზოგიერთ კუთხეებში გასავალი მენშევიკების თერმინს „მოდიან“ „მოდიანს“-ს. ზემოხსენებულ „ჭორის“ გზის სინათლეზე გამოფენამდე დადიოდა ხმები თურმე, რომ ინგლისელები კახეთიდან შემოვიდენ და ბოლშევიკები გარბიანო. აგრეთვე იმ ხანებშივე, ამავე სოფელში გავრცელებული იყო ხმები, რომ „აბრეშუმის თესლიდან გველები გამოდიან, ზოგან გველეშაპიც გამოვა და ხალხს დასჭამსო“.

შემდეგ კომუნისტები, რომ „კატაზე, ძაღლზე, ქათამზე, სახლის ფანჯრებზე და სვეტებზე გადასახადს ახდევინებენ“-ო, ეს ხომ მოდაშია შემოსული.

ანტი-რელიგიური პროპაგანდის საქმე ხომ სრულიად უნუგეშო მდგომარეობაშია. „დავითი და კონსტანტინე“ თურმე გაპარულა და მის მაგივრათ მხოლოდ უბრალო მიცვალებულის ძვლები უნახავთ ბოლშევიკებს. აუარებელი „წმინდა სულებზეა“ ლაპარაკი და სხვ..

ადგილობრივი კომორგანოები მთელი თავისი ძალ-ღონით ებრძვიან ასეთ მოვლენებს, მაგრამ სათანადოთ მომზადებულ ელემენტების სიმცირის გამო, ისინი უძლური არიან ასეთ მოზღვავებულ ჭორებთან ბრძოლაში.

არ მოდის თავის დროზე ჟურნალ-გაზეთები. არ არის არავითარი კომუნისტური ლიტერატურა, გარდა „კომუნიზმის ანბანისა“ ადგილობრივ კომ-ორგანიზაციებში, იმ დროს, როდესაც ცეკას აუარებელი წიგნები და ბროშიურები აქვს გამოცემული ქართულ ენაზე.

ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული ბიბლიოთეკა-სამკითხველოების საქმე. იშოვება მხოლოთ „სამღვთო სჯულის“ და მეშჩანურ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამომხატველი წიგნები, რითაც სოფლის ახალგაზრდობა, რომლებიც კი კითხულობს წიგნებს, განსაკუთრებით კი მოწაფეობა, ირყვნება დახავსებულ, მეშჩანურ-ბურჟუაზიულ მსოფლ-მხედველობით.

ასე ხდება ისეთ სოფელში, რომელიც, როგორც ზემოთ ვსთქვი, კულტურულათ უფრო მაღლა სდგას, ვიდრე საქართველოს სხვა რომელიმე სოფელი.

რასაკვირველია ეს სოფელი, რკინის გზის ლიანდაგთან რომ ახლოს იყოს, რომ მას უფრო ადვილათ უხერხდებოდეს კავშირის დაჭერა ცენტრთან—ქალაქის მუშებთან, მაშინ მდგომარეობაც უფრო სხვაგვარი იქნებოდა და ყოველ კონტრ-რევოლიუციონერის ქსელში ასე ადვილათ არ გაიხლართებოდა.

თუ გადავხედავთ ეხლა უფრო ჩამორჩენილ სოფლებს, ცენტრიდან და რკინის გზის ლიანდაგიდან კიდევ უფრო მეტს დაშორებულს, მდგომარეობა უფრო უნუგეშოთ მოგვეჩვენება. იქ ჭორებსა და შეთხზულ ლეგენდებს უფრო მეტი გასავალი აქვთ, ვიდრე ცენტრთან და რკინის გზის ახლობლათ მდებარე სოფლებში. ასეთ მოვლენებს ყურადღება უნდა მიექცეს.

პირველ რიგში ქალაქის ორგანიზაციები უნდა გაუხდენ შეფათ ცენტრიდან და რკინის გზის ლიანდაგიდან მოშორებით მდებარე სოფლებს, უნდა მივაწოდოთ კომუნისტური კულტურა ისეთ სოფლებს, რომლებიც მოკლებულნი არიან მიმოსვლის საშუალებებს და ამ მიზეზით ვერ ახერხებენ ცენტრთან კავშირის გაბმას, თანამედროვე კულტურისა და კომუნისტური მსოფლმხედველობის შეთვისებას.

რ.

თელავის გამასწორებელი სახლი

ვინც ნათლად წარმოიდგენს ძველ ციხეს და შეადარებს ეხლანდელ გამასწორებელ სახლს, დარწმუნდება, რომ მათ შორის დიდი, არსებითი განსხვავება არსებობს. ძველ ციხეებში დიდხან შემხვედრია ბინადრობა და ცოტა ხნით გამასწორებელ სახლშიც მომიხდა ყოფნა და გაკვირვებული დავრჩი იმ მდგომარეობით, რომელიც არსებობს გამასწორებელ სახლში, სადაც ყოველი ზომებია მიღებული, რომ პატიმარი საბჭოთა სახელმწიფოს ნამდვილ მშრომელ და პატიოსან მოქალაქეთ გადაიქცეს.

ადმინისტრაცია პატიმრებს უზრდელ სიტყვებით და ლანძღვა-გინებით არ მიმართავს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ ციხეებში. დიდი ყურადღებით ეპყრობა პატიმართა განცხადებებს, სცდილობს მათ კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ანგარიშს უწევენ მათ ინდივიდუალურ თვისებებს და ყოველ ზომებს იღებენ მათ გასასწორებლათ.

ყოველი პატიმარი ჩაბმულია მუშაობაში და უსაქმურებს იშვიათად ნახავთ მათ შორის. პატიმართა უმრავლესობა იგზავნება გამ-სახლის მიერ აღებულ ყანების დასამუშავებლათ მინდვრებში, შეშის მოსაჭრელად ტყეში, ვენახის მოსავლელად და სხვა. თუ ამინდებმა არ შეუშალა ხელი, ყანებში კარგი მოსავალია მოსალოდნელი. გამ-სახლში მოწყობილია სკოლა, სწავლობენ წერა-კითხვას და კვირაობით ისმენენ ლექციებს, თუმცა საამისო ოთახების უქონლობის გამო, პატიმართა რიცხვის გამრავლების დროს განიცდიან სივიწროვეს

სურსათ-სანოვაგეს აღმასკომის საშუალებით ყიდულობენ ნაღდ ფულზე და მზადდება თვით პატიმრების მიერ. არც ამაში არის რაიმე ნაკლოვანება, ვინაიდგან აღმასკომს სათავეში უდგას მუყაითი და საქმის მცოდნე თავმჯდომარე ამხ მათიკაშვილი, რომელიც ყოველთვის მზათ არის დაეხმაროს გამასწორებელ სახლს. აღსანიშნავია ის, რომ უფროსი ამხ. ცააგას ინიციატივით და მოქ გიორგი ჩხუბიანიშვილის დახმარებით — შემოწირულებით შიგ გამ-სახლში გამოყვანილია წყაროს წყალი მილების საშუალებით ნახევერსის სიშორიდან. ეს წყარო დიდ საშუალებას წარმოადგენს პატიმართათვის რომლებსაც მუდამ აქვთ დასალევათ ცივი და სუფთა წყალი:

დილა, საღამოობით ადუღებენ ჩაის, თვეში ორ სამჯერ ეძლევათ—აბანო, კამერები იმდუღრება ცხელი წყლით; სარეცხი ირეცხება თავთავის დროზე, ეზო ირწყვება და ადგილი არ აქვს უსუფთაობას. ცხელ დღეებში თითქმის სრულებით არავითარ სიცხეს არ იგრძნობს პატიმარი—რადგანაც აქვს საშუალება ცივი წყლით გაგრილდეს აბანოში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თუმცა პატიმართა რიცხვი სამჯერ მეტია ნავარაუდევზე, მაგრამ არავითარი ავადმყოფობას არა აქვს ადგილი. ერთი სიტყვით გამასწორებელი სახლი არ გავს ძველ ციხეებს და სავსებით ასრულებს თავის დანიშნულებას პატიმართა გამოსწორების საქმეში.

ყოფილი პატიმარი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 28 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრში დანიშნულია სრულიად საუბნო კრება საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაც. მე-4 საუბნო კომიტეტის წევრებისა და კანდიდატებისა. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა. 15 წუთით დაგვიანებულ ამხანაგს კრებაზე აღარ შეუშვებენ.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 22 აგვისტოს, საღამოს ექვსის ნახევარზე, ჩოდრიშვილის სახელობის კლუბის დარბაზში (მუშტაიდში) დანიშნულია მე-2 საუბნო კომიტეტის ყველა წევრებისა და კანდიდატების საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. მოხსენება გერმანიის ამბების გამო.
2. მიმდინარე საქმეები.

ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-4 საუბნო კომიტეტი წინადადებას აძლევს იმ ამხანაგებს, რომელნიც მუშაობენ ეხლა, ან წინად მუშაობდნენ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში, გამოცხადდნენ სარეგისტრაციოდ აგვისტოს 26-დე. რეგისტრაციას ექვემდებარებიან: რედაქტორები, სარედაქციო კოლეგიის წევრნი, კორესპონდენტები და ჟურნალ-გაზეთების მუდმივი თანამშრომელნი.

პასუხისმგებელი მდივანი (ხელის მოწერა).
საღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების გამგე ისაკოვი.

— საექიმო პერსონალის (ორივე სქესის) კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა: ტფილისის და ტფილისის მაზრის ექიმების, კბილის ექიმების, ფარმაცევტების, ექიმის თანაშემწეების, მოწყალების დების და სანიტრების აღსარიცხავად.—წინადადება ეძლევათ ყველა ზემოდ—დასახელებულ სპეციალობათა ამხანაგებს გამოცხადდენ რეგისტრაციაში გასატარებლად და საექიმო კომისიის მიერ შესამოწმებლად. 3 დღის განმავლობაში, რეგისტრაციის პირველ დღეთ დანიშნულია ორშაბათი, ხოლო უკანასკნელ დღეთ—ოთხშაბათი 22 აგვისტო. რეგისტრაცია და შემოწმება მოხდება განსაკუთრებულ დანიშნულების 4-ე რაზმის ტფილისის ბატალიონის შტაბში კარლ მარქსის მოედანი № 12 დილის 11 საათიდან.

4-ე განსაკუთრებულ დანიშნულების ტფილისის ბატალიონის უფროსი დოლიძე.

განცხადებები

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი სილიბისტრო, დარიკო, იაკობ და ივანე სიმონის ძე სალარაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: პირველი უსაყვარლესი ამხანაგ-მეუღლის, მხოლოდ დანარჩენნი ძვირფასი რძალის

ნეო სალარაძის

უდროვო გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხონში ხუთშაბათს, 23 აგვისტოს. 1108 1—1

ევდუსი, ნადია, მარო, ქსენია, ნინო, ლიუსია, მეთოდე და ვასილ კაკაბაძენი ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ნათესავის

ნეო სალარაძის

უდროვო გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში ხუთშაბათს, 23 აგვისტოს. 1107 1—1

ბირჟის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ტფილისის საფონდო-საქონლის ბირჟის საქონლის განყოფილების მაკლერმა

მიხეილ ნიკოლოზის ძე ლიმარიოვმა

დაანება თავი სამსახურს 17 ამა მარიამობისთვიდან.

თუ ვისმეს რაიმე პრეტენზია აქვს ხსენებულ პირზე საბირჟო გარიგების შესახებ, ვთხოვთ მიმართონ ბირჟას ა. წ. 1-ლ სექტემბრამდე. (1—1)

ტფილისის აღმასკომის უ. ქ. ს.

სამნეო სექცია აცხადებს, რომ 26 აგვისტოს, 12 საათზე სამნეო სექციის შენობაში, მადათოვის კუნძული № 1, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

2 სახედრის და 10 კვიცის.

პირუტყვების ნახვა შეიძლება 10—2 საათამდე სექციის საჯინიბოში.

უ. ქ. ს. 2110 2—1.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგ. აგების სამუშაოთა უფროსის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 28 აგვისტოს

დანიშნულია

შეჯიბრება

იჯარით ასაღებათ ზაჰესისათვის სამასალო საწყობის ასაგებ სამუშაოთა, რომლებიც შესდგება:

1) ეკლიანი მავთულის ღობე ხუთ რიგად ბოძებზე 1 საჟ. სიმაღლით საერთო მანძილით 45 გრძივი საჟენისა.

2) მიწის ნაყარის პლატფორმა 0,5 საჟ. სიმაღლით და 5 საჟ.×40 საჟ.

3) ქვის კედლები—კირზე წყობით პლატფორმის ნაყარის დასამაგრებლად დაახლოვებით 16 კუბ. საჟ.

4) ხის ფარდული ლითონის სახურავით ნივხივით სიდიდით გეგმის მიხედვით 4,5 საჟ.×15 საჟ სიმაღლე 1,4 საჟ.

5) ხის შენობა საწყობისათვის ფიცრებიანი კედლებით ლითონის სახურავით გეგმის მიხედვით სიდიდით 4,5 საჟ×15 საჟ. და სიმაღლით 1,4 საჟ.

6) დროებით საცხოვრებელი შენობა ფიცრებიანი კედლებით და დახურული ყავრით, ხის იატაკით და ჭერით მთლიანად აგლესილი შიგნით საერთო ასპარეზით გეგმაში დაახლოვებით 50 კვ. საჟ და სიმაღლით 1,7 საჟ.

ყველა სამუშაო შესრულებული იქნება ზაჰესის მასალებით, ხოლო ხელსაწყო უნდა იქნეს მოიჯარადრის.

სამუშაოთა შესრულების ვადა ერთი თვე ნახევარი.

იმ პირებს, რომლებსაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაონი მთლიანად, უნდა შემოიტანონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაწესებული ნიმუშის თანახმად ბლანკზე დახურულ კონვერტებში წარწერით: ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 1923 წ. 28 აგვისტოს შეჯიბრებისათვის; ამ რიცხვს გაიხსნება კონვერტები.

ფასები აღნიშნული უნდა იქნეს ჩერვონეცის მანეთებში.

ფულის გადახდა იწარმოებს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით საგადასახადო ქვითარის შედგენით დღის კურსით, რომელიც იქნება საფონდო ბირჟის მიერ გამოცხადებული.

განცხადებასთან დართული უნდა იქნეს ქვითარი ზაჰესკომის სალაროში საიჯარო თანხის 5 პროც. საწინდრის შეტანის შესახებ.

საწინდარი უძრავი ქონების სახით და სხ. ამგვარი მხედველობაში არ იქნება მიღებული და საწინდრის შეტანისაგან არავინ არ იქნება განთავისუფლებული.

საწინდარი თანხები იმ ორგანიზაციების და პირების, რომლებსაც არ მიეცემათ სამუშაო დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე.

საწინდარი იმ პირისა, რომელმაც აიღო სამუშაო, რჩება ზაჰესკომის სალაროში და შევსებულ იქნება 10 პროცენტი საიჯარო თანხის, პირველ გადასახდელ თანხებიდან 10 პროცენტის დაჭერით და დაუბრუნდება სავსებით სამუშაოს დამთავრების შემდეგ.

ზაჰესკომი იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაო არა უმცირეს ფასებშიაც, მიიღებს რა მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მუშაობას, მის გამოცდილებას და მის მიერ სამუშაოს წესიერად შესრულებას.

ვრცელი პირობებისა და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში, ყოველ დღე, დილის 10—12 საათ. ქ. ტფილისი, ლ. დუმბაძის ქუჩა, სახლი № 3.

იქიდანვე გაიცემა დაწესებულ ნიმუშის მიხედვით ბლანკები განცხადებისათვის.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოთა უფროსი, ინჟ. ჭიჭინაძე.

570—3—1

განცხადება.

ზაჰესის მუშაობისათვის საჭიროა ნაძვის და ფიჭვის შემდეგი ზომის მასალა:

1) ძელები, სიგრძით 12 ადლი, სისხო-სიგანით სხვადასხვა ზომის სულ 2800 ღერამდე

2) ფიცარი—სხვადასხვა ზომის სიგრძით 12 ადლი, სულ 3173 ღერი

3) ფიცრები სხვადასხვა ზომის, სიგრძით 12 ადლი, სულ 1350 ღერი

4) ნაგვერდული, სიგრძით 12 ადლი, სიგანით 5 გოჯი, სულ 3000 ღერი

5) შუაზე დახერხილი მორი (ПЛАСТИНЫ), სიგრძით 12 ადლი სხვადასხვა ზომის, 250 ღერი.

6) რგვალი ფიჭვის—ნაძვის მორები ვიწრო თავში 3 გოჯიდან 7 გოჯამდე, სულ 1300 ღერი.

აღნიშნული მასალა უნდა იყოს ახალი ხის, საღი, უჭიანო, არა ნაფუტარი, არა ხვეული, არა ნაშურიანი, სწორი და სწორ ძაფიანი.

ნაჩვენები მასალა შეიძლება იქნეს დადგმული ან მთლად ან ნაწილობრივ. ზომების შესახებ დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ზაჰესის სამმართველოს სამასალო ნაწილში—აღმასკომის შენობა ოთახი № 12, ყოველ დღე, დღის 2 საათამდე.

აღნიშნული მასალის გასაცემად ზაჰესის სამმართველო ნიშნავს 25 ამა აგვისტოს, დილის 12 საათზე შეჯიბრებას და მსურველმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი დახურული განცხადება, რომელშიაც უნდა იქნეს აღნუსხული როგორც მასალის რაოდენობა, ისე მათი ზომა და ღირებულება ან ფრანკო ვაგონი სად. ავჭალა ან საწყობი ზემო-ავჭალაში ჩაბარებით.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს ზაჰესის სალაროში წინდაწინ 5 პროც. საწინდრის სახით იმ მასალის ღირებულებისა, რომლის აღებაც შეჯიბრებაში მონაწილეს სურს.

ფულის შეტანის ქვითარი უნდა იქნეს დართული განცხადებაზე. თუ შეკვეთა არ მიეცა, შემომტანს დაუყოვნებლივ დაუბრუნდება შემოტანილი თანხა.

განცხადების შემოტანის უკანასკნელი ვადა არის 25 აგვისტო დღის 12 საათი.

ზაჰესის სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი ჭიჭინაძე. 569 3—1.

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—16

ელექტრონის ხინათლის

სამკურნალო

სამოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] საჭიროებენ

[illegible] ექ. სერგო ყიფშიძის ხელმძღ.

სრულიად ტფილისი, კოლხეთის ქ. № 20 (ნომ. 25—23)

ქ. ტფილისის მე-4 უბნის სახალხო მოსამართლე
(ბებუთოვის ქ. № 4)

იწვევს ამის გამოცხადებიდან [illegible] (ძვ. 1106—1—1) სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა).

დაიკარგა პასპორტი სოლომონ ტატიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1109—1—1)

დაიკარგა პასპორტი კარაპეტ ქოჩაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1105—1—1)

დაიკარგა არაპარტიული [illegible] № 840 [illegible] № 871. ჩაითვალოს გაუქმებულად. (ძვ. 1104—1—1)

დაიკარგა [illegible] ჩაითვალოს გაუქმებულად. (ძვ. 1103—1—1)

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა კრუზენშტერნის ქუჩა № 4